გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 31 დეკემბერი, 2005 წელი.
№№304-305 (5337-5338)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.

# გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს



გივი ჯოლბორდის ფოტო

## ჯილდოები – ღირსეულთ



გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კანცელარიის შენობაში სახელმწიფო ჯილდოები გადასცა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილ წარმომადგენლებს.



## დამდეგი 2006 წელი მიულოცა



რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს დამდეგი ახალი წელი მიულოცა.

რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა იმედი გამოთქვა, რომ 2006 წელი აღინიშნება პოზიტიური ცვლილებებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ და კავკასიაში სტაბილურობისა და აყვავების ინტერესებისთვის.

## „ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“(?!)

იხ. მე-2 გვ.

## იკითხეთ ქართული გაზეთები, ბატონო პრეზიდენტო, სხვაგვარად ქვეყნის მართვა გაგიჭირდებათ!

იხ. მე-3 გვ.

## ახალ წელსაც გვახსოვდეს შობა!

იხ. მე-5 გვ.

## სამსახეობა პოეტისა

## რამ შეაყვარა ჭუჭერტს რუსთაველი

იხ. მე-12 გვ.

## მთელი წელი – ახალი წელი

იხ. მე-18 გვ.

◉ გილოცავთ!

# «ყველაფერი არის ძველებური კარგად...»(?!)

**ძნელი სათქმელია, რატომ ვულოცავთ ერთმანეთს ახალი წლის დადგომას, მაგრამ ტრადიციას ვერსად წაუხვალ – გილოცავთ! ტრადიციულად, გასული წლის შეფასებასაც ვცდილობთ ხოლმე. ერთნი – თავის მოსაწონებლად, მეორენი – სხვათა განსაქიქებლად, მესამენი – სხვათა მოსატყუებლად, სხვები – თავის მოსატყუებლად, ზოგიც – მოვლენათა შესამეცნებლად და დასკვნების გამოსატანად.**

ეკონომიკის, ან ფინანსთა მინისტრი რომ ვიყო, გეტყოდით, 2005 წელს საქართველოს ეკონომიკამ უკეთესობისკენ გიგანტური ნაბიჯები გადადგა, თქვენი შემოსავლები წინა წლებთან შედარებით ამდენი და ამდენი პროცენტით გაიზარდა, მთავრობამ ეკონომიკის განვითარების და თქვენი კეთილდღეობის ისეთი პროგრამა შეიმუშავა, გერმანელები და იაპონელები გაოცებას ვერ მალავენ-მეთქი. იმასაც გეტყოდით, რევოლუციურმა ხელისუფლებამ 2003 წელს თქვენთან დადებული ხელშეკრულება პირნათლად შეასრულა, თექვსმეტი ისეთი გამარჯვება მოიპოვა, თავისი დიდებულებით აუსტერლიცის მზესაც რომ დაჩრდილავს-მეთქი.

ღმერთმა თქვენცა და მეც დამიფაროს და, ოპოზიციონერი რომ ვიყო, თქვენს სიდუხჭირესა და ხელისუფლების გაიძვერობაზე ისეთ მაგარ-მაგრებს ვიტყოდი, თვით შალვა ნათელაშვილსაც კი შეშურდებოდა.

ვინაიდან სულ მალე, ამაღამ, ახალ, 2006 წელს, წითელი ძაღლის წელიწადს უნდა შევეგებოთ და ფიქრისთვის ძალიან ცოტა დრო გვრჩება, მოდი, გასული წლის მთავარი მოვლენები გავიხსენოთ. მხოლოდ გავიხსენოთ, განსჯა და შეფასება კი ისტორიას ვანდოთ.

ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, იყო საქართველოში ჯერ კიდევ გენერალ გოტლიბ კურტ ჰაინრიჰ ტოტლებენის ეპოქიდან (XVIII ს-ის 60-იანი წლებიძ დისლოცირებული რუსული არმიის გაყვანის დაწყება, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი და სამხრეთ ოსეთთან რეალური სამშვიდობო დიალოგის წამოწყება. აღსანიშნავია, რომ აწ უკვე შარშანდელი ამ მთავარი მიღწევების მთავარი შემოქმედი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი თანამდებობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად გელა ბეჟუაშვილი დანიშნეს. ალბათ, სწორი გადაწყვეტილებაა: საფრანგეთის მოქალაქე სალომე ზურაბიშვილისადმი საფრანგეთის მხარდაჭერა თვეში 15 ათასი ევროთი გამოიხატებოდა. ბატონი ბეჟუაშვილისადმი მანგლისელი ხალხის მხარდაჭერა კი იმ საცოდავ 15 ათას ევროს უთვალავჯერ აღემატება. თანაც, ჩვენში რომ დარჩეს, სად საფრანგეთის პრეზიდენტის და სად ბატონი გელას ძმის დავით ბეჟუაშვილის საერთაშორისო ავტორიტეტი და თუნდაც, ფინანსური შესაძლებლობები, რაც ესოდენ აუცილებელია დემოკრატიზმის რელსებზე შემდგარი და გაურკვეველი მიმართულებით მიმავალი ქვეყნისთვის.

დამნახველი დაინახავდა, რომ თბილისის რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე დაიგო ახალი ასფალტის საფარი (განსაკუთრებით იქ, სადაც ამის უკიდურესი აუცილებლობა არც არსებობდაძ; აშენდა ბევრი მარტივი ტიპის სპორტული მოედანი, აჩქეფდა ბევრი შადრევანი; შეიღება ძველი სახლების ფასადები; გამოჩნდნენ კარგად ჩაცმულ-დახურული, კარგად აღჭურვილი და ზრდილობიანი პოლიციელები; დაიწყო ძირეული რეფორმები განათლებისა და აკადემიის სისტემაში; გაძლიერდა ქართული არმია; განხორციელდა ქართული რევოლუციის ტრიუმფალური ექსპორტი აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის მიმართულებით; ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება პენსიებისა და შემწეობების გაზრდის თაობაზე (მინიმალური პენსია 2006 წლის განმავლობაში 28-დან 38 ლარამდე გაიზრდება!ძ; გაიხსნა ასი (!ძ უფასო სასადილო ღატაკებისთვის; ეს მინისტრმა მერაბიშვილმა დაარიგა პრემიები. საამაყოა, რომ დაჯილდოებულთა შორის ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უკვე ვიცით, რა მოსწონს ბატონ მერაბიშვილს. ანუ, ძნელი არ არის იმის დადგენა, სინამდვილეში რა წაადგება ქვეყანას.



და მაინც, 2005 წელს ქართული სახელმწიფოს ყველაზე დიდ მიღწევად მცირეხელფასიანი მოსამსახურეებისთვის სამსახურებრივი სარგოს საკმაოდ მნიშვნელოვანი გაზრდა უნდა ჩაითვალოს – მოსამართლეების ხელფასები, რანგთა ტაბელის მიხედვით, 1500-დან 3500 ლარამდე მერყეობს, ხოლო პარლამენტის წევრის მინიმალური ხელფასი 2500 ლარს შეადგენს! ეს ნიშნავს, რომ ჩვენი პენსიონერი გაისად, მთელი წლის განმავლობაში, დამატებით მიიღებს 65 ლარს. პარლამენტის დეპუტატი – 25 000-ს (ოცდახუთ ათასსძ! ეს ციფრები იქნებ ვიღაც ინტრიგანს არ მოეწონოს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს – პარლამენტის წევრს, პენსიონერთან შედარებით სხვა პრივილეგიებთან ერთად, 90-ჯერ მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი სადეპუტატო მოვალეობა სრულფასოვნად შეასრულოს და ხალხის გვერდით დგომა მოახერხოს.

მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდის – საქართველოში რამდენიმე ათეული ადამიანი ფუფუნებაში ცხოვრობს, რამდენიმე ასეული – სიმდიდრეში, რამდენიმე ათასი – კარგად და რამდენიმე მილიონი – სიღატაკეში.

ღატაკებმა და უუფლებოებმა (პენსიონერებმა, გარემოვაჭრეებმა, პატიმრებმა, მოსამართლეებმაძ რაღაც ბუნტის მაგვარი აქციების მოწყობაც კი სცადეს, მაგრამ უშედეგოდ – ხელისუფლება მტკიცე და შეუვალია: ხალხმა სწორედ ჩვენ მოგვანდო თავისი ბედი და გავაკეთებთ, რაც გვინდა!

ჰო, კინაღამ დამავიწყდა: მაღალი რანგის მოხელეებისთვის ხელფასების გაზრდა საბაზრო ფასების ზრდამ გამოიწვია. მომავალი წლიდან, ენერგომატარებლების გაძვირების გამო, ფასების კიდევ უფრო ზრდა გარდაუვალია. აქედან გამომდინარე, გაიზრდება „მშიერი ბუნტის“ ალბათობაც. ამ პრობლემას მშიერი ხელისუფლება ვერ მოუვლის. მაძღარ ხელისუფლებას კი მშიერის ამბოხის ჩახშობა არ უნდა გაუჭირდეს. თანაც, თუ სემეკის თავმჯდომარის, ბატონ გიორგი თავაძის ბრძნულ შეგონებას გავითვალისწინებთ, თავისუფლება ძვირი ღირს. თუ დამოუკიდებლობა გვსურს, შიმშილს, სიცივეს და უსამართლობასაც უნდა გავუძლოთ. აბა, როგორ!

ახალი წლის წინა დღეებში, პრეზიდენტის ინიციატივით, საქველმოქმედო ბიზნეს-ლანჩი გაიმართა – 30-მა ქართველმა ბიზნესმენმა რესტორანში 5000-5000 დოლარად შეფასებული მაგიდები შეუკვეთა. შემოსავალი მთლიანად უფასო სასადილოების გახსნას მოხმარდებაო. ვფიქრობ, არ უნდა იყოს მთლად რაციონალური გადაწყვეტილება – 150 ათასი დოლარი სამ მილიონზე მეტ ღატაკს ვერაფერს უშველის. აჯობებს, ამ ფულით ჩვენ, ღატაკებმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას ერთი კაი „ნავაროჩენი“ ჯიპი ვუყიდოთ. გაუხარდება ბავშვს! თუ არადა, ახალი ციხის მშენებლობაში ჩავდოთ – კარგი, მრავალფეროვანი პატიმრებით დაკომპლექტებული ციხე ხომ ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა!

გასულ წელს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ქვეყნის ქონების გაყიდვიდან შემოსულმა სახსრებმაც განაპირობა. რაც გასაყიდი იყო, თითქმის ყველაფერი გაიყიდა. დარჩა გაზსადენი (კოდური სახელწოდებით „ტრუბა“ძ და გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა თბილისის ცენტრში . „ტრუბის“ ფასი ჯერ არ დადგენილა და იგი, შესაძლოა, „სამშობლოს“ გასხვისებად დაგვიჯდეს. აი, „სამშობლო“ კი გრანდიოზულ თანხად – 20 მილიონ დოლარად შეფასდა. ალბათ, აქ განთავსებულ ჟურნალისტურ ორგანიზაციებს რაიმე ილუზიები რომ არ გაუჩნდეთ.

პარლამენტის გადაწყვეტილებით, ამიერიდან ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებს პრეზიდენტი განსაზღვრავს. თუ მისთვის პარლამენტის ხარჯზე მინიჭებულ სხვა უფლებებსაც გავითვალისწინებთ, პარლამენტს და მინისტრთა კაბინეტს, ალბათ, ფუნქცია უნდა შეეცვალოს – ზოგი ბიზნესს მიხედავს, ზოგი სპორტში გადავა, ზოგი ესტრადაზე გადაინაცვლებს (კობა ხაბაზი და მარიკა ვერულაშვილი უკვე ინტენსიურად მეცადინეობენ სიმღერაშიძ და ზოგი სახლში წავა (ძირითადად, ე. წ. ოპოზიციონერებიძ.

ქვეყნის მთავარმა პოლიციელმა უშგულში ნამდვილი თოვლის პაპა აღმოაჩინა და აქაური ბავშვების გასახარად, მისი თბილისში საზეიმო დეპორტაცია მოახდინა. ეთნოგრაფიული მუზეუმის სვანურ კოშკში დაბინავებული თოვლის პაპაც უხვად არიგებს საახალწლო საჩუქრებს. ახალი წლის ღამეს დიდ უფასო კონცერტებსაც გვპირდებიან. ქალაქი განათებულია, ნაძვის ხეები მორთულია, ბაზრები სავსეა პროდუქტებით და უცხოეთიდან ჩამოტანილი ნაძვის ხეებით, ფასები თავზარდამცემია, განწყობილება საზეიმოა.

ახლახან, ნიკოლოზობა დღეს, საქართველოს კიდევ ერთი ახალი მოქალაქე მოევლინა – ნიკა სააკაშვილი, მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსის მეორე ვაჟი. გულწრფელად მივულოცოთ მის ოჯახს ახალი წევრის შემატება. პატარა ნიკუშას და ყველა მის თანატოლს კი ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ცხოვრების მდიდარ, ბედნიერ, სამართლიან საქართველოში გატარება ვუსურვოთ.

**თეიმურაზ ძორიძე**

## საახალწლო მილოცვა

**საქართველოს მოქალაქეებს,
საქართველოს პრეზიდენტს,
ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

მვირფასო მეგობრებო!

შავი ზღვის უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების თანამშრომელთა სახელით გულითადად გილოცავთ დამდეგ, 2006 წელს!

გისურვებთ დიდ გამძლეობასა და ჯანმრთელობას ბედნიერი მომავლისკენ მიმავალ მძიმე გზაზე.

დაე, ჭყვაოდეს თავისუფალი საქართველო!

პატივისცემით
**მესუთ ბოზქირი,**
შავი ზღვის უნივერსიტეტისა და
„ჩაღლარის“
სასწავლო დაწესებულებების
სამეთვალყურეო
საბჭოების თავმჯდომარე

◉ ინფორმაცია

## პარლამენტის თავმჯდომარე საზღვარს ზვერავს

**გუშინ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი მოინახულეს.**

**ისინი შატილისა და ომალოს საგუშაგოებს ეწვივნენ და მესაზღვრეებს საახალწლო საჩუქრები გადასცეს.**

**საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელმა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ შვეიცარიელების მიერ მესაზღვრეებისთვის ახლად აშენებული ყაზარმა დაათვალიერეს.**

**მედიანიუსი**

## შეწყალება, ბატონო, შეწყალება!

**შეწყალების სახელმწიფო კომისია საახალწლოდ საქართველოს პრეზიდენტს იმ პატიმართა სიას გადასცემს, რომელთა საქმეების შესწავლა დაასრულა.**

**როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა, კომისიამ ამ ეტაპზე სულ 172 მსჯავრდებულის საქმე შეისწავლა, ამათგან პრეზიდენტს ხელმოსაწერად 71 პატიმრის საქმე გადაეცემა. აღნიშნულ პატიმრებს შორის 2 ქალი და 2 არასრულწლოვანია.**

**71 მსჯავრდებულიდან შეწყალების შემთხვევაში, 55 პირი პატიმრობიდან გათავისუფლდება, ხოლო დანარჩენს სასჯელის ზომა შეუმცირდება. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეწყალების აქტს ხელს 2006 წლის 14 იანვრის შემდეგ მოაწერს.**

**კანონით შეწყალების კომისია მსჯავრდებულის საქმეს მაშინ განიხილავს, როცა პირს სასჯელის ნახევარზე მეტი მოხდილი აქვს. კომისია პატიმრის პიროვნული მახასიათებლების შესწავლის შემდეგ, მსჯავდებულთა საქმეებს ხელმოსაწერად პრეზიდენტს უგზავნის.**

**მიმდინარე წელს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 287 მსჯავრდებული შეიწყალა.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ დღის თემა

# რას სთხოვდით თოვლის პაპას?



**კარლო კობერიძე, მწერალი:**

– თოვლის პაპას ვთხოვ, საქართველოს პარლამენტში რომ უსაქმურები, უკაცრაული ქართულია, დეპუტატები სხედან და ახლა კიდევ ხელფასს იმატებენ, კინწისკვრით გამოყაროს იქიდან და ადგილი ღირსეულს დაუთმოს.

საერთოდ კი, ვისურვებდი, რომ ამაზე უარესად აღარ წასულიყოს ჩვენი საქმე.

**ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი:**

– თუ ოცნებაა, ოცნება იყოს! თოვლის პაპას ვთხოვდი საქართველოს გაერთიანებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს შემომტკიცებას, ქართველების გამრავლებას!..

**ლიანა ასათიანი, მსახიობი:**

– ვთხოვდი, რომ მთელი საქართველო იყოს ბედნიერი, არავის თვალზე ცრემლი აღარ გვენახოს. ჯანმრთელად იყოს ჩვენი ერის სულიერი წინამძღოლი ილია მეორე.

**ჯემალ მონიავა, მსახიობი:**

– თოვლის პაპას ვთხოვდი, რომ მთავრობას მიეხედოს კულტურისთვის, რომელიც, ჭეშმარიტად, უაქციზო საქონელია და სახელთან ერთად დიდი ფულის შემოტანაც შეუძლია ჩვენს ქვეყანაში.

**ბუბა ხოტივარი, კინორეჟისორი:**

– რას ვთხოვდი და, ქართული კინოს აღორძინებას, ფეხზე დაყენებას იმ დარგისა, რომელიც ქართველ კაცს ყველაზე კარგად ეხერხება.

**ჯემალ ხუციშვილი, მხატვარი:**

– ვთხოვდი მშვიდობას, ვთხოვდი პენსიების გაზრდას.

**გოგი ავსაჯანიშვილი, არქიტექტორი:**

– დამიბრუნოს შთაგონება... დამიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო!..

SIC!

# იკითხეთ ქართული გაზეთები, ბატონო პრეზიდენტო, სხვაგვარად ქვეყნის მართვა გაგიჭირდებათ!

**ამერიკაში ამბობენ, პრესას პრეზიდენტის გარეშე ცხოვრება შეუძლია, პრეზიდენტი კი უმისოდ ფონს ვერ გავაო.**

**პრესის გარეშე ლიდერი დაბორკილი ცხენივითაა – ვერ გაჭენდება. პრესა სარკმელია, საიდანაც თვალნათლივ ჩანს პრეზიდენტის კაშკაშა ან მიბჟუტული ავტორიტეტი. რაც მთავარია, პრესა კამერტონია, რომლითაც პრეზიდენტი და მისი აპარატი განსაზღვრავს საზოგადოებრიობის განწყობას და შეშფოთებას. პრესა გამოკვეთს პრობლემებს, რომლებსაც პრეზიდენტის კაბინეტმა უპირველესი ყურადღება უნდა დაუთმოს...**

ეს, რაც ვთქვი, მხოლოდ ინფორმაცია არ არის. ეს ინფორმაციაა განსჯისათვის.

დილის 7 საათზე, სამუშაო დღის დაწყებისთანავე, ამერიკის პრეზიდენტს 20-გვერდიან (!) პრესის „დაიჯესტს" წარუდგენენ. „დაიჯესტი" მეორდება თორმეტის ნახევარზე, 3 საათზე და ექვსის ნახევარზე. გვიან საღამოს კი პრეზიდენტს უმზადებენ ცნობას, სადაც სისტემატიზებულია მიწურული დღის 6-7 უკანასკნელი უმნიშვნელოვანესი მონაცემი.

და ყველაფერ ამას პრეზიდენტი, თავისი უაღრესად დიდი დატვირთვის მიუხედავად – კითხულობს...

აი, ამერიკის პრეზიდენტის მეგობარი საქართველოს პრეზიდენტი კი თავისი ქვეყნის პრესას არ კითხულობს, თვით „დაიჯესტის" სახითაც კი.

ეს რომ ჩვენდამი მტრულად განწყობილ, ვთქვათ, რუსულ გაზეთებს დაეწერათ, თავს გავიგიჟებდით – ხედავთ, ეს საზიზღრები რას აბრალებენო?

მაგრამ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა თვითონ განაცხადა 28 დეკემბერს, ბიზნესლანჩზე, ტელეეკრანით: „მე ქართულ პრესას არ ვკითხულობ!"

იქვე ისიც დაუმატა, „მასში ღირებული ინფორმაცია საერთოდ არ არისო".

კეთილი და პატიოსანი, დავუშვათ მართლაც ასეა. მაგრამ, თუ მართლაც ასეა, მაშინ ამ ვითარებისთვის მორგებულია ანდაზა – „როგორიც ერიო, ისეთი ბერიო", ვისი ბრალია, ბატონო პრეზიდენტო, თუ ქართულ პრესაში „ღირებული ინფორმაცია არ არის"?

აქ ამონარიდს გაგაცნობთ ერთი ახალგაზრდა, პერსპექტიული, გამჭრიახი ქართველი პოლიტიკოსის ამ შვიდიოდე წლის წინანდელი პუბლიკაციიდან, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ჟღერადობა და რომელიც მშვენივრად მიგვანიშნებს იმ, საძიებელ „ბრალეულზე":

**„ჩვენთან ჯერ ბოლომდე ვერ მოხდა ბულვარული და სერიოზული პრესის გამიჯვნა. საკმაოდ შეზღუდულია ინფორმაციული მხარე, მაგრამ ეს ნაკლებად არის თავისუფალი მასმედიის ბრალი. ბევრი რამ ეკონომიკის, კერძოდ უფულობის შედეგია. თითქმის საყოველთაო ბულვარულობა კი ნაწილობრივ თავად პოლიტიკური პროცესების „გაყვითლებით" უფრო აიხსნება. რაც შეეხება საინფორმაციო ვაკუუმს, ეს იმითაც არის განპირობებული, რომ ძალზე მწირია ოფიციალური არხებიდან მიღებული ინფორმაცია და მაღალია სახელმწიფო ორგანოების გაუმჭვირვალობის ხარისხი".**

აგაშენა ღმერთმა, რა სწორად არის ყველაფერი განმარტებული, რა ზუსტად არის მინიშნებული, რომ „თითქმის საყოველთაო ბულვარულობა, პოლიტიკური პროცესების „გაყვითლებით" უფრო აიხსნება", ხოლო საინფორმაციო ვაკუუმი „იმითაც არის განპირობებული, რომ „ძალზე მწირია ოფიციალური არხებიდან მიღებული ინფორმაცია და მაღალია სახელმწიფო ორგანოების გაუმჭვირვალობის ხარისხი".

ისღა დამრჩენია, იმ ახალგაზრდა, პერსპექტიული, გამჭრიახი პოლიტიკოსის სახელი გაგიმხილოთ. ინებეთ: **მიხეილ სააკაშვილი!**

გაზეთმა „შანსმა", რომელიც ხშირად მიმართავდა უჩვეულო და საინტერესო ექსპერიმენტებს, თავისი 1998 წლის 27 ივლისის ნომრის რედაქტორობა ანდო 30 წლის პოლიტიკოსს მიხეილ სააკაშვილს. დღევანდელი გადასახედიდან ყველაზე საინტერესო ნომრის რედაქტორის სვეტში გამოქვეყნებული წერილია „ვის უშლის ხელს თავისუფალი მედია" (ზემოთ მოხმობილი ამონარიდი სწორედ აქიდან გახლავთ) წინასწარმეტყველური ქვესათაურით „როდის გახდება მასმედიის ლანძღვა ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა?".

აი, ბატონ მიხეილის კიდევ რამდენიმე მოსაზრება **„რედაქტორის სვეტიდან":**

**„კრიტიკაზე მეტად ხელისუფლების წარმომადგენლები მასმედიის მისამართით მადლიერებას უნდა გამოხატავდნენ. თუმცა ეს არ არის საკმარისი. სახელმწიფო უნდა ეხმარებოდეს მასმედიას. კერძოდ:**

**ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კანონით არ განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოს, უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი. ჟურნალისტი არ უნდა აწყდებოდეს მოხელის გადაულახავ წინააღმდეგობას და შეურაცხყოფას. ამ მოხელეს თავად კანონი უნდა ავალდებულებდეს მსგავსი ინფორმაციის გაცემას.**

**სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს პრესის, როგორც თვითანაზღაურებადი ბიზნესის განვითარებით, უნდა ეხმარებოდეს მას, თუ პირდაპირი სუბსიდირებით არა, ყოველ შემთხვევაში, საგადასახადო შეღავათებით მაინც. ქართული პრესა დღეს ბევრად უფრო თავისუფალია, ვიდრე მთლიანად მონოპოლიზებული რუსული მასმედია და ამ მდგომარეობის შენარჩუნება სულაც არ არის ადვილი.**

...როდესაც საქართველო ბოლომდე დემოკრატიული იქნება, მასმედია ამ დემოკრატიის ორგანულ ნაწილად იქცევა და მისი მთლიანობაში ლანძღვა ჩვეულებრივ ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად იქნება განხილული".

ამას ბატონი მიხეილი შვიდი წლის წინათ წერდა, როცა პრეზიდენტობა შეიძლება გულში კი ჰქონდა ამოჭრილი, მაგრამ ხმამაღლა ვერ იოცნებებდა. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ტახტზე ავიდოდა თუ არა, ყველაფერს უმალ დაივიწყებდა?

**ქართულ პრესას არ ვკითხულობ!**

აბა, საქართველოს ამბების „დაიჯესტს" ამერიკული გაზეთებით გიდგენენ, ბატონო პრეზიდენტო? რაგინდ ჩვენი დიდი მეგობრებიც არ უნდა იყვნენ, ამერიკელი ჟურნალისტები ზუსტ და უტყუარ ცნობებს სადღაც ცხრა მთის იქით მყოფ საქართველოზე ვერ მოგაწვდიან, ამერიკელი ცხოვრებას ამერიკული თვალით უყურებს, ქართველი კი – ქართული თვალით. ეს მცირე სხვაობა როდია. არც მხოლოდ „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის" – „რუსთავი-2"-ის იმედად ყოფნა კმარა.

იმის გამო, რომ ქართულ გაზეთებს არ კითხულობს, ბატონმა პრეზიდენტმა იქნებ არ იცის (მაინც ვუშვებთ ამ ალბათობას. წყალწაღებულები ხავსს ვეჭიდებით) იმ დარტყმის შესახებ, რაც ქართულ პრესას მიაყენა ხელისუფლებამ: აუქციონით იყიდება გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა, რომელშიც ათადან ბაბადან სახლობს უამრავი გაზეთის რედაქცია. რაც მთავარია, მას დაადეს იმდენად დიდი ფასი – 20 მილიონი დოლარი, რომელსაც ვერ შესწვდება ვერანაირი „პრესის კონსორციუმი".

**ასე რომ, პირწმინდად გადაიხაზა პრეზიდენტის მიერ უფლისწულობისას მჭექარედ ნათქვამი სიტყვები. უტყუარია: სახელმწიფო დაინტერესებული არ არის „პრესის, როგორც თვითანაზღაურებადი ბიზნესის განვითარებით".** ერთადერთი – ორწლიანი საგადასახადო შეღავათები გვეწყალობა და იმასაც ერთი წლის შემდეგ გასდის ყავლი.

**იკითხეთ ქართული გაზეთები, ბატონო პრეზიდენტო, სხვაგვარად ქვეყნის მართვა გაგიჭირდებათ! ჩვენი უმწიფარი, „თინეიჯერი" სახელმწიფო მოხელეების რკინაბეტონებისებრი შეუვალობის მიუხედავად, ჩვენი გაზეთები იმდენ ინფორმაციას მაინც მოიპოვებენ, რომ სულ სხვა თვალით (და არა ვარდისფერი სათვალით) შეგახედონ ქვეყნისთვის.**

**დაბოლოს. დიდი მადლობა ხელისუფლებას, რომელმაც გამიზნულად, სპეციალურად, შეგნებულად სწორედ წინასაახალწლოდ (თითქოს ამის გაკეთება ნაახალწლევს არ შეიძლებოდა!) გამოგვიცხადა თავისი ნება პრესის სახლის გაყიდვის თაობაზე და ჩაგვამწარა მომავალი ზეიმი.**

**ალეკო ასლანიშვილი**



**რედაქციისაგან: ამ წერილის ავტორს, გამოჩენილ პუბლიცისტს, წლების განმავლობაში სხვადასხვა პოპულარული გამოცემის („სახალხო განათლება", „კომუნისტი", „7 დღე", „საქმიანი კვირა", „საქართველოს რესპუბლიკა") ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და შემოქმედებით მუშაკს ალეკო ასლანიშვილს ხვალ, 1 იანვარს 65 წელი უსრულდება..**

**ვულოცავთ!**

**1968 წლიდან დღემდე, რაც ბატონი ალეკო პრესაში მოღვაწეობს, გამოქვეყნებული აქვს ასობით წერილი საგანმანათლებლო, პოლიტიკურ, ისტორიულ, დემოგრაფიულ თემაზე. მან მკითხველს მიაწოდა ოთხი პუბლიცისტურ-ისტორიული ნარკვევების კრებული. არის კეთილსინდისიერი მკვლევარი და თავაზიანი პოლემისტი. წერს სადად, ღრმად, საოცრად ლამაზი ქართულით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პუბლიცისტური წიაღსვლებით.**

**უღალატო მეგობარი, ნაღდი ჟურნალისტი, ოჯახზე გადაგებული კაცია.**

**ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი მოღვაწენი და მოქალაქენი! მრავალ ახალ წელს, ჩვენო ძვირფასო ალეკო!**

---

ინფორმაცია

## საჩუქრები შვილებს

**წინასაახალწლოდ მესტიის რაიონში მცხოვრებმა 16 წლამდე ყველა ბავშვმა საჩუქრები მიიღო.**

**როგორც მესტიის რაიონის გამგებელმა ნინო ჯაფარიძემ „მედიანიუსს" განუცხადა, საჩუქრები ბავშვებს გამგეობამ დაურიგა.**

**დღეს კი მესტიის ცენტრში კონცერტი გაიმართება და იქ მისული თითოეული ბავშვი დამატებით საჩუქარს მიიღებს.**

## მადლობა „თელასს"

**საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით სს „თელასმა" დიღმის სმენადაქვეითებულ**



**ბავშვთა სახლის აღსაზრდელთათვის საქველმოქმედო აქცია მოაწყო. კომპანიის თანამშრომლების მიერ შეძენილი ნობათი და საჩუქრები პატარებს დღეს, „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა გადასცა.**

## გამარჯობა, მუშტაიდის ბაღო!

**2006 წელს თბილისის მუშთაიდის ბაღს დაარსების 175 წლის იუბილე უსრულდება. ამ თარიღს თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახური საზეიმო ღონისძიებებით აღნიშნავს. საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში 2-დან 11 იანვრის ჩათვლით, მუშთაიდის ბაღში, ღია სცენაზე საახალწლო წარმოდგენები ჩატარდება. კერძოდ, ზღაპრის თეატრი დღეში ორჯერ უფასოდ გამართავს საახალწლო ნაძვის ხის ზეიმს. მიუსაფარ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვებისთვის კი ამ ხნის განმავლობაში უფასო ატრაქციონები იმუშავებს. მათი სიები ზუსტდება. ისინი მუშთაიდის ბაღის ადმინისტრაციას 2 იანვრამდე გადაეცემა.**

**უფასო საახალწლო წარმოდგენებისა და ატრაქციონების დასაფინანსებლად განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა დაახლოებით 9500 ლარი დახარჯა.**

**მედიანიუსი**

---

კომპეტენტური აზრი

# რატომ არ არის ეს ხელისუფლება ვინმეს წინაშე ვალში?

**გასული წელი თითოეული ჩვენგანის მეხსიერებაში სხვადასხვაგვარად დარჩება. ზოგისთვის ცხოვრება სასურველი ნიშნულისკენ 100 პროცენტით შემობრუნდა, ზოგისთვის კი პირიქით: უზრუნველ ყოფაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წლების მანძილზე, მეორე სახლად წოდებული სამსახურიც კი დაკარგა.**

**პოზიციისა და ოპოზიციის ურთიერთობა, კონფლიქტების მოგვარება, საქართველო საერთაშორისო ასპარეზზე, ეკონომიკური ვითარება, ეს და კიდევ სხვა საკითხები განვითარებას 2006 წელშიც ჰპოვებს. თუმცა მანამდე რამდენიმე ფრაზით წარმავალი წლის შეფასება პოლიტოლოგებს ვთხოვეთ.**

**რამაზ საყვარელიძე:** დადებითი და უარყოფითი პროცესები ხშირად ერთმანეთს უკავშირდება. ქმედითი აქტიური ხასიათი არ არის ის ნიშანი, რომელიც წითელ ხაზად გასდევს პოლიტიკას, მაგრამ წლეულს ეს ნიშანი დადებითსაც შეიცავდა და უარყოფითსაც. სადაც კარგად არის გააზრებული გეგმა, სადაც კარგად არის გათვლილი, თუ რისთვის ხდება ბრძოლა, იქ შედეგებიც შესანიშნავია. ამის მაგალითებია: ჩატარებული ღონისძიებები ბიუჯეტის შესავსებად, ერთიანი ეროვნული გამოცდები, ბაზების გაყვანაზე მუშაობა; სამივე შემთხვევაში პრინციპულობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მაგრამ, როცა საკითხი კარგად არ არის გააზრებული, მაშინ პრინციპულობა სიჯიუტედ გადაიქცევა ხოლმე და ადამიანთა ჯგუფი საეჭვო ან უარყოფითი შედეგებისკენ მიდის. ასეთი მაგალითებია: საგადასახადო ბერკეტებზე არასწორი მუშაობა, ბიზნესმენების დაშინება. საგადასახადო პოლიტიკამ ბიზნესმენები დააფრთხო, ამან უმუშევრობა გამოიწვია, უმუშევრობის ზრდამ – დანაშაულობათა გაზრდა და ა. შ. ასევეა საგანმანათლებლო პოლიტიკაშიც. გაუთვლელად რეფორმის დაწყებამ მეცნიერების სფეროში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

საგარეო პოლიტიკაში გადადგმულმა რამდენიმე ნაბიჯმა შეიძლება რუსეთის ფაქტორი გააძლიეროს. ეს ეხება ენერგოშემცველების თემას, ბიზნესს. ამ მხრივ, დღეს საქართველოში რუსეთი მონოპოლისტი ხდება, რამაც შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიღოს.

სასურველია, დაფიქრებულად, გააზრებულად გადაწყდეს პრობლემები, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების მუშაობის საკითხიც. ეს თუ არ გაკეთდა, მაშინ, არა ერთი საკითხის მოგვარება კიდევ უფრო გაგვიჭირდება.

**ჯიმი ჯალიაშვილი:** თუ შარშანდელ პოლიტიკურ პროცესებს შევაჯამებთ, ალბათ უპრიანი იქნება, ოპოზიციის და ხელისუფლების მუშაობასაც შევეხოთ. მიმაჩნია, რომ ეს წელი იყო ოპოზიციის მომძლავრების წელი, მით უმეტეს, იმ პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, რომელიც დღეს საქართველოშია. საპარლამენტო ოპოზიციამ წარმატებისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უპირველესად შეძლო გაერთიანება. სამწუხაროდ, პარლამენტის გარეთ ოპოზიციური პარტიების მუშაობა პასიურია. არადა, პირიქით უნდა იყოს. შესაძლოა ეს ფაქტორი განაპირობა იმან, რომ ორი წლის განმავლობაში საპარლამენტო უმრავლესობა დომინირებს არა მარტო რაოდენობრივად, არამედ, უხეში, ძალისმიერი ზეწოლით ოპოზიციაზე. ზოგჯერ უმრავლესობისთვის პრინციპულია არა საქვეყნო საკითხის მნიშვნელობა, არამედ ის, რომ ოპოზიციასთან დათმობაზე არ წავიდეს. ძნელი სათქმელია, რა იქნება ამ მხრივ მომავალში, მაგრამ წლეულს ამგვარი ვითარება აშკარად გამოიკვეთა.

თუ შარშანდელი ხელისუფლების მუშაობას შევაფასებთ, უნდა ითქვას, რომ მან მკვეთრად გამოავლინა საზოგადოების მოთხოვნების მიმართ გულგრილობა, ჯიუტობა. ის, რომ პენსიონერებმა ლამის პარლამენტის შენობა დაიკავეს, მიანიშნებს იმ საერთო უკმაყოფილებაზე, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის პოლიტიკურ სტაბილურობას, თუმცაღა ეს სტაბილურობა, ჯერჯერობით, დამყარებულია ძალოვანი სტრუქტურების კონტრმოქმედებაზე.

რაც დღეს ქვეყანაში ხდება, სავსებით ლოგიკურია. ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ცვლილებებს ასეთი შედეგები აუცილებლად მოჰყვებოდა. დღეს ჩვენი კონსტიტუციური სისტემა ამორფულია, მსგავსი მოდელი მთელს დედამიწაზე არ არსებობს და თუ მაინც ვეცდებით რაიმე მოდელთან სიახლოვე ვიპოვოთ, მაშინ ის ყველაზე მეტად დუალისტურ მონარქიას წააგავს, როცა პარლამენტი და სასამართლო აბსოლუტურად ფორმალური მნიშვნელობისაა.

ხელისუფლება, განსაკუთრებით კი პრეზიდენტი არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი. ამიტომ, მომავალი წლის პოლიტიკური ხასიათი დამოკიდებული იქნება შემდეგზე: ინებებს თუ არა ხელისუფლება, თვითონ გამოიყვანოს ქვეყანა ამ დრაკონული კონსტიტუციური რეჟიმიდან. თუ ეს შეძლო, პოლიტიკური პროცესები ნორმალურად წარიმართება, თუ ვერა, მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდება.

**ლელა ცქიტიშვილი**

**საქმე ეს არის!**

# გადარჩენის ნაპერწკალი

**2005 წელი უამრავი სახელმწიფო სტრუქტურისთვის წარმატებული აღმოჩნდა, რაც მუშაობაზეც უდავოდ აისახა. მათ რიცხვს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიც მიეკუთვნება. იგი 1991 წელს დაარსდა და ახორციელებს სახელმწიფო პროგრამებს რამდენიმე მიმართულებით: მოსახლეობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა; სოციალური დახმარების გაცემა სოციალურად დაუცველ მოსახლეობაზე; ინვალიდთა პროგრამები და სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის პროგრამა, რომლის ფარგლებში მთელ საქართველოში არის ბიუროების ქსელი, სადაც ხდება ინვალიდების ჯგუფის დადგენა. ეს არის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც ფონდის მიერ ფინანსდება. ფონდის მუშაობის ეფექტიანობაზე გენერალურ დირექტორს ზაზა სოფრომაძეს გავესაუბრეთ.**

ბატონი ზაზა საუბარს პენსიებთან დაკავშირებით იწყებს და ამბობს, რომ წლევანდელი წელი გარდამტეხი იყო როგორც პენსიონერთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე, საერთოდ, საპენსიო უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც. ამის თქმის საფუძველი, ცხადია, აქვს, რადგან 2005-ში საბოლოოდ დამთავრდა საპენსიო დავალიანებების გაცემა, მთლიანობაში ეს თანხა 130 მილიონ ლარს შეადგენდა. გაუმჯობესდა პენსიონერთა მომსახურებაც, წინა წლებში პენსიების მიტანას საქართველოს ფოსტა ახორციელებდა, წლეულს კი პრინციპი შეიცვალა და ფოსტას საბანკო სტრუქტურა ჩაენაცვლა. ტენდერის მეშვეობით პენსიების გაცემის უფლება სახალხო ბანკმა მოიპოვა. მათვე დაამზადეს პლასტიკური ბარათები პენსიონერთათვის, რომლებიც მფლობელებს უფასოდ გადაეცათ. ბატონი ზაზა თამამად ამბობს, რომ ამ სისტემამ გაამართლა. მთლიანად ხდება საპენსიო თანხებზე კონტროლი. მოქალაქეს პლასტიკური ბარათის მეშვეობით პენსიის აღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ კუთხეში მდებარე სახალხო ბანკის ფილიალში. ვისაც გადაადგილება უჭირს, ბანკი უზრუნველყოფს მათთან პენსიის მიტანას, ან კუთვნილ თანხას, მინდობილობის საფუძველზე, მისი ნდობით აღჭურვილი პირი აიღებს.

— მთელი ეს პროცედურა, საპენსიო დავალიანებების დაფარვა, მინიმალური პენსიის ზრდა ქმნის ნიადაგს იმისთვის, რომ ჩვენ ვიფიქროთ უფრო თანამედროვე, უფრო სრულყოფილ საპენსიო მოდელზე. ამაზე მსჯელობა მიმდინარეობს. აქ იგულისხმება ის, რომ პენსია დაზღვევის პრინციპით განისაზღვროს, ანუ დამოკიდებული იყოს შენატანზე და სტაჟზე, ანუ იმ შრომით წვლილზე, რომელიც ადამიანს შრომისუნარიან ასაკში მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. სხვაგვარად ამ პროცესზე ფიქრიც კი შეუძლებელია, — ამბობს ზაზა სოფრომაძე.

***— ბატონო ზაზა, ფონდი არაერთ სოციალურ დახმარებასაც გასცემს, რა კატეგორიები იღებენ თანხას?***

— სოციალური დახმარების პროგრამა ჯერ კიდევ ხორციელდება, ჯერ კიდევ ვამბობ იმიტომ, რომ 2006 წლის ივნისიდან დაგეგმილია დახმარების ახალ სისტემაზე გადასვლა სიღატაკის დაძლევის პროგრამის მიხედვით. ამას კი განახორციელებს სხვა სტრუქტუ-



რა — სოციალური დახმარებებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო, მაგრამ ივნისამდე ჩვენი ფონდი დახმარებებს კვლავ გასცემს: მარტოხელებზე (ერთსულიან ოჯახზე 22 ლარი გაიცემა, ორსულიანზე და მეტზე 35 ლარიძ, ბავშვობიდან ინვალიდებზე, მრავალშვილიან დედებზე და ა. შ. ივნისიდან ახალი პროგრამის ამოქმედებისთანავე ჩვენთან ეს პროგრამა შეწყდება. ჩვენი ფუნქციაც ამ მხრივ ამოიწურება და დარჩება საპენსიო უზრუნველყოფა და ჯანდაცვის პროგრამები.

***— ჯანდაცვის პროგრამებს რა მიმართულებით ახორციელებთ?***

— მოგეხსენებათ, მთლიანად პარალიზებული იყო სასწრაფო დახმარების სამსახური. 2005 წელს კი ერთ-ერთი წარმატებული პროექტი გახლავთ ამ სამსახურის ამოქმედება, რომელიც პრეზიდენტის ინიციატივით ივნისიდან დაინერგა. დღეს სასწრაფო დახმარების მუშაობით მოსახლეობის დიდი ნაწილი კმაყოფილია. ძალიან გამკაცრებულია პროგრამის მენეჯმენტი, ყველა სასწრაფო დახმარების მანქანაზე დამონტაჟებულია სპეციალური ჩიპები, რომლის მეშვეობითაც, ჩვენს ცენტრალურ ოფისში ვიგებთ, თუ სად იმყოფება მანქანა. ასე რომ, შეუძლებელია მანქანის არდანიშნულებისამებრ გამოყენება.

ჯანდაცვის პროგრამებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ინსულინით უზრუნველყოფის პროგრამა, მათთვის მაღალხარისხიანი ინსულინი უფასოა. ვახორციელებთ, აგრეთვე უმწეოთა დახმარების პროგრამას, რომელიც მუშაობს ღუდუშაურის ცენტრის ბაზაზე, გაისად ამ პროგრამაში ჩაერთვება ქუთაისში გახსნილი ახალი კლინიკაც და პრაქტიკულად გვექნება ორი დიდი სამედიცინო ცენტრი თბილისსა და ქუთაისში, რომლებიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით, კვალიფიციური ექიმებით. ყველანაირად შევეცდებით მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ასეთი კვალიფიციური მომსახურება.

მნიშვნელოვანია კიდევ ორი პროგრამა: კარდიოქირურგიისა და ხელოვნური თირკმლის გადანერგვის, რომელსაც ასევე ფონდი გაისად დააფინანსებს.

* * *

**2005 წელს ფონდის ბიუჯეტი 513 მილიონი ლარი იყო, 2006 წელს კი გათვალისწინებულია 623 მილიონი ლარი.**

**მიუხედავად იმისა, რომ ფონდი სახელმწიფო დაწესებულებაა და თვითშემოქმედებას მოკლებულნი არიან, თანამშრომლების ძალისხმევით შეძლეს და წინასაახალწლო პერიოდში რამდენიმე მათთვის სასიამოვნო ღონისძიება განახორციელეს. კერძოდ, დაეხმარნენ ნინოწმინდის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს, 100 წელს გადაცილებულ მოხუცებს...**

**რა დასამალია და, დღეს ჩვენს ხალხს სწორედ ასეთი ფონდები და სწორედ ასეთი ღონისძიებები სჭირდება!**

**ლელა ხვადაგიანი**

**ინფორმაცია**

## მეტროპოლიტენი თითქმის დილამდე მოგვემსახურება

**ახალი წლის ღამეს თბილისის მეტროპოლიტენი საგანგებო რეჟიმში იმუშავებს.**

**როგორც „მედიანიუსს" მეტროპოლიტენის პრესსამსახურში განუცხადეს, მეტრო 1 იანვარს დილის ოთხ საათამდე იმუშავებს და შემდეგ მუშაობას 06 საათის ნაცვლად 08 საათზე, ან 08.30 საათზე განაახლებს.**

**მეტროპოლიტენის თანამშრომლები მგზავრებს საახალწლოდ სიურპრიზსაც უმზადებენ. კერძოდ, ისინი აპირებენ, 31 დეკემბრის ღამეს მოქალაქეებს ახალი წელი მიულოცონ და ტკბილეული და მისალოცი ბარათები გადასცენ.**

## რაც მთავარია, გაზი იქნება

**თბილსრესის მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებული პირველი გაზოტურბინული დანადგარი 2006 წლის 22 იანვარს ამუშავდება, — ამის შესახებ კომპანია „ენერჯინვესტის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს.**

**ორივე დანადგარი დღე-ღამეში ცალ-ცალკე 55 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას გამოიმუშავებს და საერთო ჯამში ენერგოსისტემას 110 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია შეემატება. 2 გაზოტურბინული დანადგარის მაქსიმალური დატვირთვით მუშაობისათვის 31 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზია საჭირო.**

## დედაქალაქს შუქი არ მოაკლდება

**ახალი წლის დღეებში თბილისი ელექტროენერგიას უწყვეტად მიიღებს. როგორც სს „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, კომპანიის ადმინისტრაციის განკარგულებით, სადღესასწაულო დღეებში „თელასის" თანამშრომლები სპეციალურ რეჟიმში იმუშავებენ.**

**„შექმნილია სპეციალური ჯგუფები, რომლებიც 31 დეკემბერს 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ. ასევე სადღელამისო გრაფიკი დაწესდება სერვის-ცენტრებში და სადისპეტჩეროში. „თელასის" ადმინისტრაცია 31 დეკემბერს ამ თანამშრომლებს ახალი წლის დადგომას პირადად მიულოცავს", — განუცხადა „მედიანიუსს" კომპანია „თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ვალერი ფანცულიამ.**

## მოძრაობისას — ფრთხილად!

**მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ზვავსაშიშროების გამო ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა 11 საათიდან 16.30 საათამდე არის აკრძალული.**

**საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, რომ დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა.**

**დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა ჯაჭვების გამოყენებით, ზვავდამცავი გვირაბის გავლით არის დასაშვები. ამასთან, ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ კობიდან გუდაურის მიმართულებით, სადაც ავტოტრანსპორტმა კოლონებად უნდა იმოძრაოს. თითოეულ კოლონაში არაუმეტეს 5 ავტომანქანა იქნება შესული. კობიდან გუდაურის მიმართულებით მოძრაობისას აკრძალულია ავტომანქანების გაჩერება.**

**მედიანიუსი**

**რა დავუშავეთ?**

# ძაღლის ბედი

**იყო დრო, როცა ძაღლური ცხოვრება საძრახისად ითვლებოდა. მაგრამ ქვეყანა ათასნაირად იცვლება და ეს ძაღლური ცხოვრებაც ასევე ათასნაირად შეიცვალა. ამ ძაღლმა თავისი ძაღლური ჭკუით, უპირველესად კი, ადამიანისადმი ერთგულებით, მთელს დედამიწაზე უდიდესი ნდობა დაიმსახურა და ჩვენი განუყრელი მეგობარი გახდა.**

ალარავის უკვირს, რომ ძაღლებს შორის დღეს არიან პროფესიული პოლიციელები, მებაჟეები, მსახიობები, დარაჯები, კოსმონავტები, ჩემპიონები, მილიონერები... თვით ომის დროსაც კი ზოგჯერ ისინი სახელმწიფოსთვის აკეთებენ იმდენს, რამდენსაც ვერ გააკეთებს მთელი ოცეული, თუნდაც ბატალიონი. ვინ მოთვლის, რამდენი ძაღლი ატარებს სამთავრობო ჯილდოს, სარეკორდო პრიზს სახანძრო თუ სასპორტო სარბიელზე გამოჩენილი მამაცობისთვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო მეტია ძაღლები, ვიდრე თვით ამერიკელები. 290 მილიონ მცხოვრებზე მოდის 338 მილიონი ძაღლი. 2004 წელს მათი შენახვისთვის დაიხარჯა 34 მილიარდი დოლარი, რაც 2 მილიარდით აჭარბებს წინა წლის მაჩვენებელს. ერთი ძაღლის შენახვა ამერიკელს წელიწადში უჯდება 1265 დოლარი. აქედან ვეტერინარული მომსახურებისთვის გაღებულია 445 დოლარი, საკვებისთვის — 587 დოლარი, სამედიცინო დაზღვევისთვის — 141 დოლარი, დამატებითი ვიტამინებისთვის — 92 დოლარი...





80-მილიონიან გერმანიაში ლამის 50 მილიონი ძაღლია. ბერლინში ოთხფეხათა რაოდენობა აჭარბებს 100 ათასს, ჰამბურგში — 40 ათასს, მიუნხენში — 25 ათასს... ძაღლის მეპატრონეები წელიწადში 150-150 ევროს იხდიან მურიათა უფლებების დასაცავად და ხშირად აქციებსაც მართავენ მათი მხარდაჭერის გამოსახატად.

ძაღლის ბედი აქვსო, სწორედ როკიზე უთქვამთ. როკი ამერიკაში, მონტანას შტატში 63 წლის მილიონერ რიჩარდ ჰოუკს პატრონობდა. ჰოუკის 22 წლის მეუღლე ჰელენ მენეკენი ქმრის სიკვდილს სულმოუთქმელად ელოდა და აუხდა კიდეც ერთ მშვენიერ დღეს. მაგრამ კინაღამ თავი ბაწარში გაუყარა, როცა მეუღლის ანდერძი წაიკითხა: მილიონერს მთელი ქონება ძაღლისთვის დაეტოვებინა. ჰელენმა იფიქრა, იფიქრა და... მოკლე ხანში როკის პასპორტი აალებინა და მასზე ოფიციალურად იქორწინა.

მილიონერი ძაღლები არიან ინგლისშიც. 89 წლის ნორა ჰარდუელმა 2 ყოფილ მაწანწალას 1,2 მილიონი ევრო და 450 ათას დოლარად შეფასებული ულამაზესი სახლი დაუტოვა.

ესეც შენი ძაღლური ცხოვრება...

მსოფლიოში ვინ აღარ იცნობს კინომსახიობ ძაღლებს — ფეიტის და ლესის, რომელთაც ათობით ფილმში წარმატებით ითამაშეს მთავარი როლები; ასევე ვინ აღარ იცნობს მეძებარ ძაღლებს ედის და ფრენკის, რომელთაც იდუმალებით მოცული 150 მკვლელობა გახსნეს.

მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში ძაღლებისთვის გახსნილია პოლიკლინიკები, ატელიეები, საქორწინო სახლები, რესტორნები, ბორდელები და სხვა და სხვა. ძაღლებს უძღვნიან წიგნებს, ფილმებს. წლეულს საკუთარ ძაღლზე წიგნი დაწერა თვით ტაილანდის მეფემ, სადაც პოლიტიკოსებს მოუწოდა ძაღლური ერთგულებისა და სიყვარულისკენ...

საქართველოში ძაღლებს დიდ პატივს სცემენ. სამწუხაროდ, მათი რაოდენობა არავინ იცის (მოსახლეობის რაოდენობა არავინ იცის და...ძ. როგორც დღეს ხალხია გამწარებული გაჭირვებით, შესაბამისად, ძაღლებიც გაცოფებულნი არიან უყურადღებობით. სამაგიეროსაც გვიხდიან: შარშან საქართველოში ძაღლებმა დაკბინეს 33.982 ადამიანი. მთელს ევროპულ კონტინენტზე ყოველწლიურად ცოფით იღუპება 1-2 ადამიანი, ჩვენთან — 10-12. ამ მონაცემებით ჩემპიონები ვართ მსოფლიოში.

ერთხანს ხმა გავარდა, — თბილისის ბიუჯეტმა 800 ათასი ლარი გამოყო მაწანწალა ძაღლების თავშესაფრის ასაშენებლადო. კიდევ, — ქუჩის ძაღლებს აცრიანო, სპეციალურ საყელურს შეაბამენო. საამისოდ ამერიკული გრანტიც გამოჩენილა, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. რა ვქნათ, რას ველოდოთ? ვიდრე ბუშივით ან პუტინივით ჩვენი პრეზიდენტიც ძაღლებს არ გაიჩენს, მივაგდოთ ეს ოთხფეხა მეგობრები ქუჩის ანაბარა? რომ გვცოფავენ, რომ გვხოცავენ?

ერთში კი მაგრები ვართ, — ჩვენი ტელეეკრანებიდან წამდაუწუმ გაისმის: იყიდეთ პედიგრი, რომელიც უზრუნველყოფს ჯანმრთელი ძაღლის ბედნიერ ცხოვრებას! ნეტავ, რომელი პედიგრით უზრუნველვყოფთ ჯანმრთელი ხალხის ბედნიერ ცხოვრებას? ჯერ საკითხავი მაინც ეს არის.

**ბონდო გულიაშვილი**

◎ დღესასწაული

# ახალ წელსაც გვახსოვდეს შობა!

## პირველი იანვრის ღამე საპატრიარქოში

**ახალი წელი ყოველ ადამიანშია დადებითი ემოციების აღმძვრელი. შეხვედრა ნათესავ-მეგობრებთან, საჩუქრები და მილოცვები, მეკვლეობა, დიდ-პატარას ზეიმი...**

**ზეიმი საერთო, მაგრამ საყოველთაოა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სარწმუნოებასთან.**

**ქართული ქრისტიანული ეკლესიისათვისაც იგი მარტოოდენ კალენდარული ახალი წელიწადია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს აღნიშნავენ ხოლმე.**

**როგორ ხვდება ამ დღეს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, რა ხდება ახალი წლის ღამეს საპატრიარქოში, სად იმყოფება ამ დროს თავად პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია II?, — აი კითხვები, რომლებზეც პასუხი, ვფიქრობ, უინტერესო არც ჩვენი მკითხველისთვის არ უნდა იყოს, მით უმეტეს, ახლა შობის მარხვაა, რომელიც 25 დეკემბრიდან კიდევ უფრო გამკაცრდა, ისე, რომ შაბათ-კვირას თევზის ხმობაც კი არ შეიძლება. არადა, ვიცით, რომ ახალი წლის სუფრაზე მრევლისთვის ჩვენი პატრიარქი ზოგჯერ გამონაკლისსაც უშვებს ხოლმე და ერთი დღით, რაიმე არასამარხვო პროდუქტის, უფრო თევზის მისაღებად კურთხევასაც გვაძლევს. რა იქნება წლეულს? — ამას, ალბათ, მისი საახალწლო დალოცვიდან შევიტყობთ ჩვენს ოჯახებში, ტელევიზორის წინ თბილად მოკალათებულნი...**

**საპატრიარქოს „საახალწლო ცხოვრების“ შესახებ კი საპატრიარქოს პრესცენტრის უფროსის მოადგილე, გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი ზურაბ ცხოვრებაძე გვესაუბრება:**



— მორწმუნეები კალენდარული ახალი წლის დადგომას ჩვეულებრივად ხვდებიან. რაიმე განსაკუთრებულს ისინი არაფერს აკეთებენ. პირველ რიგში, არ ვივიწყებთ, რომ ჯერ კიდევ მარხვაა, რომელიც შვიდ იანვრამდე, შობის დადგომამდე გრძელდება. ჩვეულებრივად, მოკრძალებულად ვხვდებით ამ დღეს. რაც შეეხება პატრიარქს, ის ამ დროს საპატრიარქოშია ხოლმე. ზოგჯერ მასთან კიდეც მოდიან ახალი წლის მოსალოცად. პატრიარქი ყველას ულოცავს და უსურვებს, რომ ფეხბედნიერი ყოფილიყოს მათთვის დამდეგი ახალი წელიწადი. სწორედ საამისოდ, თოთხმეტ იანვარს სპეციალურ პარაკლისსაც მართავს. პირველ იანვარს უკვე საპატრიარქოს თანამშრომლები შედიან ერის სულიერ მამასთან და ულოცავენ. ასევე მოდიან სხვა ადამიანებიც, მორწმუნენი.

პრეზიდენტისა და პატრიარქის მილოცვას ჩვენ ერთად ვუსმენთ ხოლმე ტელევიზიით.

***— ბატონო ზურაბ, საშობაო ეპისტოლეც, ალბათ, ამ პერიოდში იწერება. საერო ცხოვრებაში უკვე იგრძნობა რაღაც სასიკეთო ძვრები, ყოველ შემთხვევაში, მანკიერება და სიცრუე უკვე თითქოს აღარ არის დაფარული. ქვეყნის წინსვლისთვის შემაფერხებელ მიზეზებზეც ღიად საუბრობს ხელისუფლებაც... თუ იქნება ამ მხრივ განსაკუთრებული წლევანდელი ეპისტოლე? თუ ხართ თქვენ ყოველივე ამის კურსში?***

— მორწმუნენი, როგორც წესი, ეპისტოლეს ინახავენ. პატრიარქი ამას თვითონ წერს, თვითონ ამზადებს, გარდა წმინდა საღვთისმეტყველო საკითხებისა, იგი მასში ყურადღებას ამახვილებს ხოლმე აქტუალურ პრობლემებზე, იმაზე, რაც ერს აწუხებს, ალბათ, წლეულსაც ასე იქნება, სხვას კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით.

***— თქვენ პირადად გაქვთ ბედნიერება, მუშაობდეთ პატრიარქთან, რომელსაც ურთულეს პერიოდში უწევს მოღვაწეობა და რომელმაც შეძლო აღეშენებინა უამრავი ეკლესია-მონასტერი, ღვთისკენ შემოაბრუნა ერის ძირითადი ნაწილი... რას გამოარჩევდით მისი პიროვნული თვისებებიდან? პატრიარქის ინტრონიზაციის, ანუ ალსაყდრების დღეც გულით აღნიშნა ქვეყანამ...***

— დიდსულოვნება, პატიების უნარი, ყველას მიმართ სიყვარული — ეს მისი ხასიათის შტრიხებია. ხალხს უყვარს იგი იმიტომ, რომ თვითონაც ძალიან უყვარს მრევლი. გარდა ამისა, ის მრავალმხრივი პიროვნებაა — წერს ხატებს, ლექსებს, ქმნის მუსიკას... მაგრამ რაც მთავარია, მას დიდი ქრისტიანობის ნიჭი აქვს ღვთისგან ბოძებული. ბავშვობიდანვე ხომ ძალიან მორწმუნე ოჯახში იზრდებოდა. ამან მის სულს, რაღა თქმა უნდა, განსაკუთრებული კვალი დაამჩნია და უფრო გაალვივა ის დიდი ნიჭი, რაც მას უფლისგან ისედაც ჰქონდა მიმადლებული. ილია II ერის ჭეშმარიტი სულიერი მამაა. საქართველოს ნებისმიერ მართლმადიდებელ ადამიანს, და იმასაც, ვინც არ არის მართლმადიდებელი, თავის სულიერ შვილად თვლის. მამას კი შეიძლება ჰყავდეს როგორც კარგი, ასევე ცუდი შვილიც. ასეც ხდება ხანდახან. ის კი ყველასთვის ზრუნავს — ძლიერზეც, სუსტზეც, ცოდვილზეც და უცოდველზეც...

ხშირად ამიტომაც უკვირთ ხოლმე, რატომ იღებს ამა თუ იმ ადამიანს, რა უნდა ასეთ პიროვნებას პატრიარქთან? პატრიარქი კი ამ პიროვნებას ისე უყურებს, როგორც თავის სულიერ შვილს. ყველას აძლევს შესაძლებლობას, რომ დაუბრუნდეს ეკლესიის წიაღს, დაადგეს სწორ გზას და შეცვალოს თავისი ცხოვრების წესი. ეკლესია და, მით უმეტეს, მისი საჭეთმპყრობელი ვალდებულია, რომ არავის არ ჰკრას ხელი. მისცეს ჭეშმარიტ გზაზე შედგომის საშუალება, ვიდრე ამის ნებას უფალი აძლევს, სანამ პირში სული უდგას და ცოცხალია...

***— როგორც ვიცით, პატრიარქი გვარებს ლოცავს, თუ გრძელდება ეს ტრადიცია?***

— დიახ, პატრიარქთან მოდიან სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები და იგი ლოცავს მათ. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი და სიკეთის მომტანია ამ გვარის წარმომადგენლებისთვის. კარგი იქნება, თუ ყველა გვარი გამოიყენებს ამ საშუალებას და სთხოვს ერის სულიერ მამას დალოცვას. სამწუხაროდ, ზოგი გვარის წარმომადგენელი ამის ორგანიზაციას თავს ვერ აბამს...

***— თქვენი გვარი თუა დალოცვილი და როგორ ხდება ეს?***

— რაღა თქმა უნდა. საპატრიარქოს ტაძარში ჩვენი გვარიც დალოცა კათალიკოს-პატრიარქმა. გვარის წარმომადგენლებს თავისი გვარის ისტორია მოაქვთ ხოლმე, რომელიც მერე მისივე ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოს არქივში ინახება...

***— რას უსურვებდით ამ შობაახალ წელიწადს საქართველოს მოსახლეობას?***

— ახალ წელსაც გვახსოვდეს შობა! ყველა ქრისტიანი ერი მასთან შედარებით უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შობას, რადგან ის ერთია და ამასთან, სულიერი დღესასწაულიც! არ დაგვავიწყდეს, რომ მარხვაა, გვმართებს სასმელში თავშეკავება და საჭმელში — ზომიერება.

ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას, რაც შეიძლება, კიდევ უფრო მეტი ხალხი მოსულიყოს ეკლესიაში, მართალ გზაზე დამდგარიყვნენ ადამიანები, მოენანიებინოთ თავიანთი ცოდვები, მეტი ეფიქროთ მარადიულზე, ვიდრე ამქვეყნიურზე და წარმავალზე...

გფარავდეთ ღმერთი!

**ლია ჭილლაძე**

◎ თანამემამულე

# სამსახეობა პოეტისა

**უკრაინის ვერხოვნაია რადამ (პარლამენტმაძ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს წარდგინებით, ქვეყნის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ლატვიაში დანიშნა ცნობილი უკრაინელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რაულ ჩილაჩავა.**

არ შემცდარა. რაული მართლაც უკრაინელი პოეტი და მოღვაწეა. მაგრამ, იგი, უპირველეს ყოვლისა, ქართველი პოეტია:

**არ ვმდგარვარ განზე, ქართლის**
**ჭირი ჩემად მიცვნია,**
**მეც მიწვნევია, რაც მამულმა**
**ჩემმა იწვნია.**
**მეც მასთან ერთად მიგლოვია,**
**მივაგლახია.**
**ის, რაც ახია სხვა ქართველზე,**
**ჩემზეც ახია.**
**.....**
**ჩვენი დროშა რომ მტერმა**
**თავზე გადაგვახია,**
**ჩემზეც ახია, საქართველოვ,**
**ჩემზეც ახია!**

მე შემიძლია ვიფიქრო, ვწერო, ვილაპარაკო სხვა ენაზე, მაგრამ ვიგრძნო მხოლოდ ქართულად. საკუთარი გრძნობის თუ შეგრძნების თარგმნა ან ადაპტირება შეუძლებელია, — წერს სამშობლოზე, მშობლიურ ენაზე უსაზღვროდ შეყვარებული პოეტი. ეს სიყვარული მთელი სისრულით წარმოჩნდება მის ერთ პაწაწინა მარგინალიაში: „ბორხესი, რომელიც ინგლისურს მშობლიური ესპანურივით ფლობდა, წერს: ხშირად მიფიქრია, რომელ ენაზე მოვკვდები-მეთქი. და იქვე უპასუხებს, ალბათ, მხოლოდ ესპანურზეო! მე ბორხესი არა ვარ, მაგრამ უალბათოდ შემიძლია ვამტკიცო: მოვკვდები ქართულ ენაზე!“

ამ მტკიცების უტყუარობა, პოეტის შინაგანი სამყარო თვალნათლივ საცნაური რომ გახდეს, რაულ ჩილაჩავას ბიოგრაფიას ზოგად შტრიხებში მაინც უნდა იცნობდე.

დაიბადა 1948 წელს. 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველი აბასთუმნის საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. სტაჟირება გაიარა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაეუფლა უკრაინულ ენასა და ლიტერატურას.

წავიდა რამდენიმე წლით და ბოლომდე დარჩა. ხატოვნად რომ ვთქვათ, მისი სტუდენტური მივლინება ჯერაც არ დამთავრებულა.

1970-1992 წლებში მუშაობდა უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქტორად, ჟურნალისტად. 1992 წელს დაინიშნა უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეროვნებების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, 1993 წელს — ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილედ (1998 წლიდან სამინისტრო სახელმწიფო კომიტეტად გარდაიქმნაძ. 2005 წლის მიწურულს კი, როგორც ვთქვით, ლატვიაში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად წარიგზავნა.

და მთელი ამ ხნის მანძილზე ერთმანეთთან ნაყოფიერად ათავსებს სახელმწიფო, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობას.

1974 წლიდან უკრაინისა და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრია. გამოცემული აქვს პოეზიის, თარგმანების, პუბლიცისტიკისა და სამეცნიერო გამოკვლევების 70-ზე მეტი წიგნი. არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არაერთი პრემიის ლაურეატი, შევჩენკოსა და დრაგომანოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტების პროფესორი, დავით გურამიშვილის სახელობის საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.

დაჯილდოებულია წმ. სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით: „ოფიცრის ჯვრითა“ და „კომანდორის ჯვრით“, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წმ. მემატიანე ნესტორის ორდენით, მედლებით...

როგორც სიტყვის ოსტატი, რაულ ჩილაჩავა არაერთგანზომილებიანი პოეტია, მკითხველის წინაშე იგი წარმოსდგება სამ განსხვავებულ იპოსტასში. პირველი მათგანი ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა: რაულ ჩილაჩავა უკრაინელი პოეტია და თანაც ძალიან მაღალი დონისა. მეორე — იგი მისთვის მშობლიური ქართული პოეზიის ოსტატთა რჩეული მთარგმნელია უკრაინულ ენაზე. ესეც ამკაფიოებს მის უკრაინულ ლიტერატურულ სახეს. მიუხედავად ამისა, მესამე იპოსტასი უმნიშვნელოვანესია: რაულ ჩილაჩავა, უწინარესად, ქართველი პოეტია, — წერს მწერალი სტეპან პინჩუკი.

მე არ მეგულება ქართულ და უკრაინულ მწერლობაში მეორე ისეთი კაცი, რომელიც ისე ღრმად იყოს ჩაფლული ორივე ენის წიაღში და რაულ ჩილაჩავას თუნდაც ნახევარს აკეთებდეს ორივე კულტურის სამსახურში, — ეს მწერალ რევაზ მიშველაძის მოსაზრებაა.

რაულ ჩილაჩავას, როგორც ორენოვანი პოეტისა და ორი ქვეყნის მოქალაქის მთელი მსოფლმხედველობა, მის ამ სტრიქონებშია გაცხადებული:

**უსაქართველოდ ჭადარი ვარ**
**ფესვმოკვეთილი,**
**უუკრაინოდ — ძეწნა**
**ტოტებშემოსხეპილი...**

მისი ლექსების პირველი წიგნი 32 წლის წინათ გამოვიდა თბილისში, 1991 წელს იყო კრებული „თბილისის დროით“, დამოუკიდებელ საქართველოში კი მხოლოდ 2003 წელს გამოიცა „ოცდამეხუთე კადრად“ წოდებული ტომი, რომელიც უმეტესწილად ბოლო ათწლეულში შექმნილ ლექსებთან ერთად, ზოგიერთ მარგინალიასა და ლიტერატურულ წერილსაც აერთიანებს. აქვეა ნაწყვეტები უკრაინელი და ქართველი მწერლების სტატიებიდან, რაც ქართული აუდიტორიისთვის რაულის სრულად უცნობ შემოქმედებას ეხება.



აგერ ლამის 40 წელიწადია ხამუშ-ხამუშ, სტუმარივით ჩამოდის სამშობლოში. „შენ სიჭაბუკიდანვე უცნაური ბედი დაგაყოლა ღმერთმა — თითქოს სხვაგან ხარ და ხარ ჩვენთან, თითქოს ჩვენთან ხარ და ხარ სხვაგან“ — ამბობს „ოცდამეხუთე კადრის“ წინათქმაში წიგნის რედაქტორი, აწ განსვენებული თეიმურაზ მეტრეველი. თვით რაულს მოვუსმინოთ:

**მე ის ვარ, ვისაც გარე-გარე**
**წანწალი ღლიდა,**
**ვინც, სამწუხაროდ, მეტწილ**
**ტეხა უცხო ყამირი,**
**მაგრამ მამული, საქართველო,**
**იმერ-ამერი**
**ვით ლოკოკინამ, ზურგით ზიდა**
**გაჩენის დღიდან.**

სადაც უნდა იცხოვროს, სადაც უნდა იღვაწოს რაულ ჩილაჩავამ, დარწმუნებული ხარ, იგი მხოლოდ საქართველოთი სუნთქავს, მარტო ის — „მტრის საჯიჯგნად მიგდებული მშობელი მხარე ემზევება და ეოცნებება“, „ნატვრად ქცევია მისთვის ერთხელ თვალის შევლება“, რადგან არ იცის „მას უმისოდ რა ეშველება“. სწორედ ამიტომ ამბობს გადაჭრით და შეუვალად:

**ლექსო ჩემო, სანამ დელგმა**
**მოგგვარდება,**
**საგანგაშოდ ნუ შემართავ**
**სტრიქონს!**
**საქართველო ოღონდ კარგად**
**იყოს,**
**დანარჩენი?... დანარჩენი**
**მოგვარდება!**

მოძმე უკრაინამ არჩევანი გააკეთა: ლატვიაში თავისი წარმომადგენლობა რაულ ჩილაჩავას — უკრაინის დიდ პატრიოტ ქართველ კაცს ანდო. ისღა დაგვრჩენია, სინანული გამოვთქვათ, რომ რაულ ჩილაჩავა უკრაინას არ წარმოადგენს საქართველოში, ან სულაც საქართველოს წარმომადგენელი არ არის უკრაინაში. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში უკეთესი კანდიდატურა არ მოიძებნებოდა.

ბატონ რაულს — მოქალაქეს, შემოქმედს, ჩვენი გაზეთის ხელხვავიან ავტორსა და ერთგულ მკითხველს — ვულოცავთ უკრაინის ხელისუფლების მიერ მისდამი გამოჩენილ დიდ ნდობასა და პატივს და გვეიმედება, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს ამ ნდობის გასამართლებლად, უკრაინის საკეთილდღეოდ და ამით თავისი სამშობლოს განსადიდებლად.

**ალეკო ასლანიშვილი**

◎ აქტუალური ინტერვიუ

# აგრემც ტკბილად დამიბერდით!..

## გვესაუბრება ბიზნესმენი და ქველმოქმედი გოჩა ძასოხოვი

***— ბატონო გოჩა, საქართველოში პოპულარული კაცი ბრძანდებით. თქვენ არ ხართ ის, ვისგანაც მასმედია და ელექტრონული პრესა, ასე ვთქვათ, პიროვნებებს ჰქმნიან. მუხლჩაუხრელი შრომით, ალღოიანობით, მეწარმის გამჭრიახობით თავად შექმენით თქვენი პიროვნება და მაინც: ვინ ხართ, საიდან მოდიხართ, ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის, ვფიქრობ, საინტერესოა.***

— ძირძველი ქარელელი კაცი ვარ. აქ დავიბადე და გავიზარდე. ქარელშივე დავამთავრე საშუალო სკოლა, ვიმსახურე საბჭოთა არმიის რიგებში, შემდეგ, როგორც სპორტის ოსტატმა თავისუფალ ჭიდაობაში, სწავლა გავაგრძელე მოსკოვის არმიის ცენტრალურ სპორტულ კლუბთან არსებულ ოლიმპიური მზადების ცენტრში. ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის, მერე კი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, რუსეთში სამეწარმეო საქმიანობა წამოვიწყე. ჩემს თანამოაზრეებთან ერთად დავაარსე სამშენებლო კომპანია. მან მალე გაითქვა სახელი, პრესტიჟულ კომპანიად იქცა, რომელსაც ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ. 1992 წელს საქართველოში დავბრუნდი, — ისედაც ეკონომიკურად დაქაბუნებულ ქვეყანას ჯერ ისევ შინაომი ფლეთდა — შევქმენი ახალი საწარმოები და, როგორც მათი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, დღემდე მხარში ვუდგავარ საბაზრო ეკონომიკის რელსებზე შემდგარი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და აღმავლობის საქმეს.

***— საქართველოს შაქრის კომბინატი თქვენი ყველაზე დიდი საწარმოა. რედაქციის დავალებით ამ დღეებში აგარაში ვიყავი. ადმინისტრაციული შენობის წინ მუშა-მოსამსახურეთა დიდი ფუსფუსი იყო.***

— ეს სასიამოვნო ფუსფუსია. კომბინატის 700-კაციანი კოლექტივის თითოეულ წევრს საახალწლოდ თითო ტომარა ფქვილი და შაქარი დავურიგეთ. ეს ფუსფუსიც ამით იყო გამოწვეული. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ხელფასები, რომელსაც მეთოდურად ყოველწლიურად ვზრდით, დროულად რიგდება და აქ ჩვენ არანაირი პრობლემა არ გვაქვს. რაკი შაქრის კომბინატზე ჩამოვარდა საუბარი, ყალბი თავმდაბლობის გარეშე, როგორც ამ კომბინატის აქციონერმა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, მინდა ვთქვა, რომ ლამის უპატრონოდ მიგდებული და წინა საუკუნის 30-40-იანი წლების ტექნიკით აღჭურვილი ქარხნიდან თანამედროვე, ევროპული ტექნოლოგიებით აღჭურვილ საწარმოდ ვაქციეთ. თუმცა ყველაზე უკეთ ციფრები მეტყველებენ: თუ ადრე აქ დღეღამეში 200 ტონა ნედლეულს ამუშავებდნენ, დღეს უკვე 520 ტონაზე ავედით. მოგვარებული გვაქვს ურთიერთობა ცენტრალური და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებთან, რომლებიც ნედლეულს გვაწვდიან. კვლავაც გრძელდება ქარხნის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ტექნიკური გადაიარაღება.

სახე იცვალა არა მარტო შაქრის კომბინატმა, მეშაქრეთა დაბამაც. იგი კიდევ უფრო კეთილმოეწყო. რემონტი ჩავუტარეთ სკოლას, საბავშვო ბაღს, დაბა დაამშვენა ახალმა საჭიდაო დარბაზმა, გავაახალგაზრდავეთ ფეხბურთის სტადიონი, მოვაწესრიგეთ გზები, მომავალში კიდევ ბევრის გაკეთებას ვაპირებთ.

თავად ცხოვრება გვკარნახობს: თუ მიზნად დაისახე ფეხდაფეხ მიჰყვე მას, იმთავითვე უარი უნდა თქვა მიღწეულით ტკბობაზე და ჩრდილში განცხრომით წამოწოლაზე, თორემ დიდი ილიას გაფრთხილებისა არ იყოს, როგორც დიდოელი ლეკი თავის ნაბადს, ცხოვრებაც ისე გაგთელავს. ეს ყველას უნდა ახსოვდეს.

ბიზნესს ერთი საინტერესო თვისება აქვს: თუ იგი წარმატებულია, მონათესავე სახეობების პროდუქციის ათვისებას იწყებს. ასე გაჩნდა აგარის შაქრის კომბინატის გვერდით ფაქტობრივად ახალი საწარმო — ვაშლის კონცენტრატის გადამამუშავებელი კომბინატი. ამ ქარხნის ბიოგრაფიაში, რომელიც ახლა იწყება, უკვე იწერება საინტერესო სტრიქონები: საქართველო რა არის — პოსტსაბჭოთა სივრცეში თანამედროვე ტექნოლოგიებითა და დაზგა-დანადგარებით აღჭურვილი მეორე ასეთი საწარმო არ მეგულება. მოგეხსენებათ, ჩვენი, ლიახვის ხეობის სოფლებში მოწეული სუფთა, ეკოლოგიური ხილი! ჯერ კიდევ როდის ამბობდა ვახუშტი ბაგრატიონი: „რომელნი ველნი ირწყვიან წყალთა ლიახვითა, მოსავალი მისი არის ქართლისად უმჯობესი, შემრგო, გემოიანი და სპეტაკი“. აი, ეს შემრგო, გემოიანი და სპეტაკი ხილი,



ოღონდ, აგრეთ წოდებული „ნაქარი“, ასეულობით ტონა მოიყვანა ქართლის გლეხობამ და დაიძრა მანქანების ქარავანი აგარის ვაშლის კონცენტრატების კომბინატისკენ. თუ სხვაგან მათ კილოგრამ ნაქარში 3-4 თეთრს აძლევდნენ და ეს თანხა გზის ხარჯებსაც ვერ აუდიოდა, ჩვენს კომბინატში გლეხობამ სრული მხარდაჭერა და გაგება ჰპოვა: შვიდი, რვა, ხშირად 11 თეთრიც კი მიუთვალეს კილოგრამ ნაქარში და ამიტომაც არავის გაჰკვირებია, რომ კასპიდან მოყოლებული, ახალციხე-ახალქალაქით და ამბროლაურით დამთავრებული, კლიენტები ჩვენს კომბინატს ამჯობინებდნენ. ზოგმა იმდენი ვაშლი ჩააბარა, რომ 800-1000 ლარიც კი მიუთვალეს. როცა იგი ამ ფულით ზამთრის სარჩოს — ფქვილს, შაქარს, ზეთს, მარილს მოიმარაგებს, ბავშვებს ჩააცმევს და დაახურავს, განა ის ჩვენს ხელისუფლებაზე ძვირს იტყვის?! პირველსავე სეზონზე 15 ათასი ტონა ვაშლი გადავამუშავეთ, წლეულს 50 ათას ტონაზე ავალთ.

ახალი წლის გეგმები არანაკლებ ამბიციური გვაქვს. ქვემო ქართლში, „ბოსტნეულის მექაში“, განზრახული გვაქვს პამიდვრის გადამამუშავებელი საწარმო ავაშენოთ. მარნეული-გარდაბნის რეგიონში სეზონზე 100 ათას ტონაზე მეტი პამიდორი მოჰყავთ და დღეში ჩვენ 1000 ტონა პამიდვრის გადამუშავებას შევძლებთ.

იტალიელებთან საქმიანი ურთიერთობა გრძელდება და ყველაფერი ეს უკვე დაპროექტების სტადიაშია.

ჩვენ ზღვისპირეთშიც ვაპირებთ გასვლას. ქობულეთში უკვე გამოგვიყვეს 5 ჰექტარი მიწის ფართობი და იქ ციტრუსების გადამამუშავებელ კომბინატს ავაშენებთ. და ეს ყველაფერი — გთხოვთ დაიმახსოვროთ! — ამ ორ წელიწადში მოხდება. ამასობაში, რისი დიდი იმედიც მაქვს, აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და ამ სახის სუპერ-თანამედროვე კომბინატს უკვე აფხაზეთის მიწაზე წამოვჭიმავთ.

ყველაფერი ეს ათობით მილიონობით ინვესტაციები, ასობით დასაქმებული მუშახელი, მზარდი ეკონომიკა და ძლიერი სახელმწიფოა.

ასეთია ჩვენი სააქციო საზოგადოების „ქართული პროდუქტის“ შარშანდელი წლის საქმიანობის ზოგიერთი შედეგი.

***— თქვენ არა მარტო ცნობილი სპორტსმენი, სპორტის აღიარებული ორგანიზატორიც ხართ. ასე რომ, ჩვენი საუბარი სრული ვერ იქნება, თუ არ შევეხეთ თემას: სპორტი და გოჩა ძასოხოვი.***

— უაღრესად პრესტიჟულად მიმაჩნია ის, რომ ვიყავი საქართველოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე მუშაობის დროს კი მთელი ჩემი ძალისხმევა მიმართული იყო ჩვენს ქვეყანაში ჭიდაობის სახეობების აღმავლობისკენ. მინდა გავიხსენო 2003 წელი, როდესაც საქართველოს ნაკრებმა თავისუფალ ჭიდაობაში აშშში გამართულ მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე უკან ჩამოიტოვა 86 სახელმწიფოს გუნდი და ჩემპიონატის ტრიუმფატორი გახდა. იმავე წელს, ამჯერად საფრანგეთში, ჩვენი ქვეყნის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა ასევე პირველი ადგილი მოიპოვეს მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე.

ასეთი პრეცედენტი არ ახსოვს ქართული სპორტის ისტორიას. მომდევნო წელს უკვე თბილისში ჩატარებულმა შეჯიბრებამ მსოფლიო თასზე ჩვენს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს კვლავ პირველი ადგილი მოუტანა.

ამჟამად ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტი ვარ. ქართული სპორტი, მისი უპირველესი კლუბის „დინამოს“ ცხოვრების წესი — ტრადიცია და დღევანდელობა, მის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა ლამის ჩემი ცხოვრების წესად იქცა. ვქმნით, ვაკეთებთ, ვზრდით, ვაოსტატებთ, — თუ ვის და როგორ, ამის თაობაზე მიმდინარე წლის ბოლოს, კვლავ წინასაახალწლო შეხვედრაზე ვისაუბროთ.

ახლა კი, ვსარგებლობ შემთხვევით და, ახალ წელს ვულოცავ ჩემს სამშობლოს, მშობელ ხალხს, საუკეთესო, სანუკვარი ოცნებების ახდენას ვუსურვებ მათ.

ესაუბრა
**გურამ ვაშაკიძე**

◎ მომსახურება

# ძაღლი გვიღიმის

## საზეიმო საჩუქრები

**საახალწლოდ მორთულა და მოკაზმულა კოსტავას ქუჩაზე სავაჭრო ცენტრი „სუპერი“. აქ შესვლას არაფერი სჯობს, ყველაფერს წკრიალი გაუდის. მშვენიერი ახალგაზრდა გოგონები მომხმარებელს თავს დასტრიალებენ, საახალწლო საჩუქრებს ურჩევენ, მერე ლამაზ ფერად ქაღალდებში ახვევენ და ისე მიართმევენ მყიდველს. სტუმრები ახლა განსაკუთრებულად ბევრი ჰყავთ. დაღლას არც გრძნობენ.**

— მაინც როგორ მოემზადეთ ახალი წლისათვის, — ვეკითხები სავაჭრო ცენტრის ოფისის მენეჯერს ლალი ასლანიშვილს.

— მართალი გითხრათ, განსაკუთრებულად, — თავის დროზე მოვახერხეთ ჩამოგვეტანა სხვადასხვა ზომის ხელოვნური ნაძვის ხეები, სათამაშოები, ნაირ-ნაირი „ძაღლები“, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა, რადგან ძაღლის წელიწადი დგება.



პროდუქცია ჩამოიტანეს ჩინეთიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან და სხვა ქვეყნებიდან. ნაირფერი ასორტიმენტი მოსწონს მომხმარებელს, ფასებიც ხელმისაწვდომია. ხელოვნური ნაძვის ხეები მაშინვე გაიყიდა, თითქმის ბაზრობის ფასად. ამიტომაც ეტანება ხალხი ამ სავაჭრო ცენტრს. მაგრამ მარტო ნაძვის ხეები რა არის, ახალ წელს ახლობლებს საჩუქარი ხომ უნდა მიართვათ, ამ მხრივაც ჩვენს სავაჭრო ცენტრში ასორტიმენტის დიდი მრავალფეროვნებაა. სხვადასხვა სახეობის ჭურჭელი: ჭიქები, თეფშები, სახილეები, ლარნაკები, ყველაფერი ეს საჩუქრებად გამოდგება.

განსაკუთრებული ხალხმრავლობაა ბავშვთა განყოფილებაში, თვალი აგიჭრელდება ამდენი სხვადასხვანაირი სათამაშოებით, ბავშვების უმეტესობა მაინც ფაფუკ ძაღლებს ეტანება.

ანი მაისურაძე მეოთხეკლასელია, ფრიადოსანი მოსწავლე, დედას ნაზად მიუჩოჩდა და ყველაზე ლამაზი ძაღლის ყიდვა სთხოვა. დედაც დაეთანხმა, რადგან ძაღლის წელიწადი მოდის და ეს საჩუქარიც უპრიანია.

— მაინც როგორი ახალი წელი გინდა რომ გაგითენდეს? — ვეკითხები ანის.

— მხიარული, ბედნიერი, მინდა ყველა ჯანმრთელად მყავდეს.

საჩუქრების განყოფილებაში უმეტესად მანდილოსნები ტრიალებენ, არჩევანი დიდია, ამიტომაც იოლად ვერ წყვეტენ, რა იყიდონ. თუმცა, ნინო და თეა ბაციკაძეებმა სახილეები შეარჩიეს და უნდათ საახალწლო სუფრა ქართული ხილით დაამშვენონ.

სავაჭრო ცენტრ „სუპერში“ ორმოცი ადამიანი მუშაობს, ისინი ყოველდღე დილის 10 საათიდან იწყებენ საქმიანობას.

ასე იქნება 1 იანვარს, ისინი ჩვეულებისამებრ დილიდანვე შეუდგებიან საქმეს და მომხმარებელს არ დაალალატებენ.

2006 წელს ჯანმრთელობას და ბევრი საჩუქრის შეძენას გისურვებთ, ძვირფასო თბილისელებო!

**ლალი ქინქლაძე**

# იმუშავებენ მორიგე აფთიაქები

**ახალი წლის მოახლოვებას ყველა დიდი სიხარულით ელის, რადგან ამ დღესასწაულს ადამიანისთვის ბევრი სიურპრიზი მოაქვს...**

**31 დეკემბრის საღამოს ყველა ოჯახი საახალწლო სუფრის სამზადისშია და ფუსფუსში. 12 საათის დადგომისთანავე კი იხსნება შამპანური და სადღესასწაულო მოლხენაც იწყება...**

ოჯახის უფროსი პირველად დამდეგი წლის სადღეგრძელოს სვამს, შემდეგ ყველას ლოცავს, რასაც ქართული ტრადიციული სადღეგრძელოებიც მოჰყვება. ბოლოს სუფრას გამთენიისას გადამთვრალი მოზეიმეები შემორჩებიან, რაც ხშირად მოულოდნელად უსიამოვნო „სიურპრიზსაც“ შეგვამთხვევს ხოლმე.

საახალწლოდ მოწამლული პაციენტების რიცხვი საგრძნობლად რომ იზრდება, ამას „03“-ის ექიმებიც აღნიშნავენ. სწორედ ამიტომ გამოძახებებიც ერთი-ორად მატულობს. სასწრაფო დახმარების თანამშრომლებიც ამ დღეებში უფრო მეტად მობილიზებულნი არიან, ისინი ახალ წელს სამსახურში ან გზაში ხვდებიან.

თუმცა, „03“-ისგან განსხვავებით, აფთიაქების უმეტესობა სადღესასწაულო დღეებში დაიკეტება.

კითხვაზე — რა უნდა ქმნას ადამიანმა წამალი თუ დასჭირდამეთქი? „ფარმტრეიდის“ თანამშრომლებმა თამუნა გურაშვილმა და ლალი ხარძიანმა მიპასუხეს: — ქალაქში რამდენიმე აფთიაქი იქნება, რომელიც ახალ წელს 24-საათიანი გრაფიკით იმუშავებს. მომხმარებელმაც შესაბამისად მათ უნდა მიმართოს.

***— თქვენი „არდადეგები“ რამდენ ხანს გაგრძელდება?***

— 31 დეკემბრის საღამოს 10 საათზე დავიკეტებით, და მუშაობას 3 იანვრიდან განვაახლებთ.

***— „საახალწლო აქციის“ მოწყობას ხომ არ გეგმავთ?***

— ჯერ არ ვიცით, თუმცა შესაძლოა 31 დეკემბერს მომხმარებლებს პატარა „სიურპრიზებიც“ დავახვედროთ, ვნახოთ...

ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ყველა ოჯახს ვუსურვებთ არც „03“-ის და არც აფთიაქის მომსახურება არ დასჭირვებოდეთ და 2006 წელი ჯანმრთელობის, ურთიერთსიყვარულის, ბარაქიანობის, წარმატების, სიკეთის და ძაღლივით ერთგულების წელი ყოფილიყოს.

**ლელა მანავლიშვილი**

სევდა

# ახალი წელი ვაშინგტონში

***ვაშინგტონში თოვს. ცივა. ქრის სულის შემხუთველი ქარი.***
***თბილისში გრილა, შემოდგომის საღამოა მშვიდი!***
***და ეს სიმშვიდე ტერენტი გრანელის სევდიან სტრიქონებს მაგონებს.***
***გარეთ სუსხია, შიგნით კი თბილა. ვზივარ და ერთ ჩვენებურ ქალბატონს ვესაუბრები, რომელსაც სევდიანი ღიმილი უკრთის სახეზე. მისი ბიოგრაფიის ათწლიან მონაკვეთს მოიცავს ჩვენი საუბრის თემა. თუმცა, დამატებით ორიოდე სიტყვას მაინც ვიტყვი მასზე:***
***სვეტლანა ჭანტურია სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტზე; ორ ათეულ წელზე მეტი მუშაობდა თბილისისავე ჩვილ-ბავშვთა სააავადმყოფოში. ბოლო ათი წელიწადი კი ცხოვრობს ვაშინგტონში. ორი შესანიშნავი გოგონა აღუზარდა... ამერიკელებს!***
***თითქოსდა, არაფერი აქვს ქალბატონ სვეტლანას სატირალი, მაგრამ... ვსაუბრობთ და საუბარს ცრემლები ახლავს.***

**— როგორ მოხვდით აქ?** — ცნობილი ქართული ფილმის პერიფრაზით ვეკითხები ქალბატონ სვეტლანას. ისიც იგივე იუმორით მპასუხობს:

**— ასე მგონია, ბავშვობიდან აქა ვზივარ!..** ეს ხუმრობით, სერიოზულად კი, სანამ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ამერიკის შეერთებული შტატების ვირჯინიის ულამაზესი კუთხიდან, ვიენადან, მინდა მივესალმო ჩემს სანუკვარ საქართველოს და ყოველ ქართველს, ვუსურვო მათ ბედნიერება და სიკეთე!.. ჩემი პირველი მასპინძლები ვაშინგტონში იყვნენ კელვინ და სუზენ პიორსების ოჯახი, სადაც ორი ქართველი გოგონა — მარიამი და მაკა იზრდებოდნენ. სახელები საქართველოდან გამოჰყვათ ბავშვებს. ისინი ახალშობილნი, მძიმე ავადმყოფები პირდაპირ ქუჩიდან შემოიყვანეს თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს ახალშობილთა ფსიქონევროლოგიურ განყოფილებაში და მათი მკურნალობისათვის მთელმა განყოფილებამ დიდი ჯაფა გასწია. თავდაუზოგავად ვიბრძოდით ბავშვების გადასარჩენად, ამისათვის ყველაფერს აკეთებდნენ ახალგაზრდა ექიმები ციური ლობჟანიძე და თამარ მეტრეველი, განყოფილების გამგე, შესანიშნავი ექიმ-პედიატრი ია დავითაია... ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქვეყანაში საშინელი კრიზისი სუფევდა. არა წყალი, არა შუქი, არა წამალი, მკაცრი ზამთარი, არსაიდან იმედი. ორი თვე ვწვალობდით, რათა ბავშვების სიცოცხლე გადაგვერჩინა. ორი თვის თავზე კიდევ ორი უპატრონო, ავადმყოფი ჩვილი შემოგვემატა, — თათია და ეკა. ამ დროს საქართველოში სტუმრობდნენ ამერიკელი უშვილო ცოლ-ქმარი, კელვინ და სუზენ პიორსები და ქრისტეფორე და ჯური პეტერსონები. სწორედ მათ ისურვეს საავადმყოფოსთვის სპონსორობა გაეწიათ. ამერიკიდან რაც კი ახალშობილებისთვის საჭირო იყო, გამოგვიგზავნეს, — წამლები, საკვები, და ათასი სხვა... ორ თვეში ისევ ჩამოვიდნენ და კვლავ უთვალავი დახმარება გაგვიწიეს. „გენერატორი" რომ „გენერატორია", ისიც კი ჩამოგვიტანეს. მაკა და მარიამი მაშინ ოთხი თვისანი იყვნენ, თათია და ეკა კი — ორის. მერე ის იყო, რომ ეს ავადმყოფი ბავშვები იშვილეს და ვიენაში გაუგრძელეს ინტენსიური მკურნალობა. მარიკა და მარიამი შვიდი თვის რომ გახდნენ, პიორსების ოჯახმა მე მიმიწვიეს ბავშვების მომვლელად და აღმზრდელად. მძიმე იყო ჩემთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ აქაც გვიჭირდა, ძალიან გვიჭირდა, ამასთან იმდენად დაჟინებული და დასაბუთებული იყო პიორსების თხოვნა, რომ უარი ვერ ვუთხარი... სურვილი ჰქონდათ, ბავშვები ქართულად აღეზარდათ! კელვინი და სუზენი არქიტექტორები გახლავან და ძალიან დაკავებულები არიან... ბავშვები გაიზარდნენ, საყვარლები, გონიერები და მოსიყვარულენი არიან. „იავნანაზე" გავზარდე, ველაპარაკებოდი ქართულად. მშობლებსაც მოსწონდათ ეს, უნდოდათ ქართული ესწავლათ ბავშვებს.

ამასობაში ბავშვები ძალიან შემეჩვივნენ და შევუყვარდი. მარიამს მუდამ ზურგზე აკიდებულს დავატარებდი და „გუდა-გუდაო", გაიძახოდა. მარიკა უფრო დინჯი და დამოუკიდებელი იყო. წიგნი, ხატვა, მუსიკა უყვართ. „დედაენას", ქართულ ზღაპრებს, ნოდარ დუმბაძის და სხვა ქართველი მწერლების წიგნებს ვუკითხავდი. ვცეკვავდით ქართულ მუსიკაზე, ისწავლეს ქართული სიმღერები — „წვიმა მოდის", „დილით რად გიყვარს ტოროლავ სტვენა", „საქანელაზე" და სხვა მრავალი... მეგრული „ჩელაც" ვასწავლე. ვაჩვევდი შრომას. გვქონდა ჩვენს მიერ გაშენებული ბაღ-ბოსტანი.

პირველი, რაც ჩავრგეთ, ვაზი იყო, საქართველოდან გამოგზავნილი „ადესას" ნერგები. მეზობლებს ჩვენს ბაღზე თვალები რჩებოდათ. ვერ გეტყვით, რომ ამერიკის ეს მხარე ბაღ-ვენახებით იყოს მოფენილი, ჩვენს ეზოში მხოლოდ ორიოდე ხილის ხე იდგა სილამაზისთვის; უცნაური ხალხია ამერიკელები, ხილან ნაყოფს იშვიათად მიირთმევენ, თუ ის მაღაზიაში არაა ნაყიდი. სამაგიეროდ, მე და ჩემს გოგონებს ძალიან გვიყვარდა მათ ჩრდილში დასვენება და ციყვებთან ერთად ხილის დაგემოვნება. ორიოდე წელიწადში ჩვენი „ადესისგან" ფელამუში გავაკეთეთ და ჩურჩხელები ამოვავლეთ, რაზეც კინაღამ გაგიჟდნენ სიხარულით. სახლში კუთხე მოვაწყვე ქართული ხატებითა და ჯვრებით, წიგნებითა და საქართველოდან გამოგზავნილი სუვენირებით. კედლები მოვფინე მარიამისა და მაკას ნახატებით... აქ თითქმის ყოველ ქუჩას გასდევს ტყე. ჩვენც ტყე-ღრეში დავეხეტებოდით, ვკრეფდით მაყვალს, ეკალას. ეკალას ფხალი ძალიან მოსწონდათ, განსაკუთრებით „ელარჯი", საცივი, ხაჭაპური და სხვა...

არ შემიძლია დიდი სითბოთი არ მოვიხსენიო კელვინისა და სუზენის მშობლები. ძალიან შემიყვარეს. მეც ძალიან მიყვარს ისინი და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემი ღვიძლი ნათესავები იყვნენ. ჩემს დაბადების დღეს რესტორანში მიხდიდნენ და უამრავ საჩუქარს მიძღვნიდნენ... სიტყვები არ მყოფნის, გამოვხატო მადლობა იმის გამო, რაც ამ ოჯახმა ჩემს მიმართ გამოიჩინა, რაც ამ ოჯახმა ჩემს მარიამთან და მარიკასთან გამატარებინა... ეს არის ჩემი ტკბილი მოგონება...

**— თქვენ ამბობთ, „მოგონებაო"... წარსულში ლაპარაკობთ?!..**

— ყველაფერი, თითქოსდა, რიგზე იყო, ყველაფერი საოცრად ბუნებრივად მიმდინარეობდა... მაგრამ დღე დღეს მისდევდა, წლები — წლებს და მარიამი და მარიკა სკოლაში წავიდნენ. ამერიკელები, მოგეხსენებათ, ხელმომჭირნე ხალხია და... სხვანაირი დამოკიდებულებაა აქ ადამიანებს შორის და არც გაემტყუნებათ... მე კი გულის სიღრმიდან დიდი, ჩუმი ტკივილი მახსენებს თავს — „რატომ ვართ აქ?", „ვინ გაგვწირა?" პასუხს არავინ იძლევა!.. ბავშვების სკოლაში წასვლის შემდეგ მე სხვა სამსახური ვიშოვე... თითქოს არაფერი შეცვლილა, შაბათ-კვირას ვნახულობ ბავშვებს, მიმაქვს მათთან „კვერი და გომი", მათ კი უკვე სხვა მასწავლებელი ჰყავთ და ცხოვრება მიდის...

თუ ღმერთმა არ გამწირა, მე ხომ საქართველოში უნდა დავბრუნდე ოდესმე?.. მანამდე კი ხშირად ვიცვლი სამსახურს... იმასაც ხან ვშოულობ, ხან — არა, მაგრამ ეს იმდენად არ მაწუხებს, იმაზე უფრო ვფიქრობ, როგორ შევეგუები ჩემს აღზრდილებთან განშორებას!

მარიკა და მარიამი ხშირად მეკითხებიან, — დე, შენ რომ წახვალ საქართველოში, ჩვენთან ისევ ხომ ჩამოხვალო? მე ვპასუხობ, — ჩამოვალ, აბა, უთქვენოდ რა გამაძლებინებს-მეთქი! ხან თქვენ ჩამოხვალთ, ხან მე ჩამოვალ-მეთქი!.. „ძიძა-მორდუობის" შარავანდედით შემოსილი ამდენი გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი ერთად გაგვიტარებია და მარიკასა და მარიამის გარეშე როგორ უნდა გავძლო? არადა, იქ სამშობლოა ჩემი, ჩემი წინაპრების საფლავები!.. ჩემი ძმისა და ძმისშვილის საფლავები... ვნახოთ, რას გაიმეტებს ღმერთი ჩემთვის! ისე კი, ძალიან, ძალიან მენატრება საქართველო, ჩემი მიდამო და ახლობლები!..

... ახლა ღამეა ვაშინგტონში. თოვს. ცივა. ყინულად გასუსულა არე!

თბილისში კი, ამ დროს, დღეა, გვიანი შემოდგომის სევდიანი მზით მოსევადებული!

**ზაურ ფიფია,**
**თბილისი-ვაშინგტონი-თბილისი.**

## ამერიკა „ფხენიანისთვის სურსათით დახმარებას შეწყვეტს"



**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ადამ ერლიმ განაცხადა, რომ ამერიკელებმა შეიძლება შეწყვიტონ ჩრდილოეთ კორეაში სურსათის მიწოდება, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლება არ დართავს მეთვალყურეებს პროდუქტის განაწილების მიმდინარეობის პროცესის გაკონტროლების ნებას.**

ადამ ერლის თქმით, შეერთებულ შტატებს სურს დარწმუნებული იყოს იმაში, რომ სურსათი ხვდება სწორედ იმ ადამიანების ხელში, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირთ.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება დაადანაშაულა ქვეყნის მოშიმშილე მოსახლეობის პრობლემათა იგნორირებაში.

გაეროს სასურსათო პროგრამამ განაცხადა, რომ შეწყვიტა ჰუმანიტარული მიწოდებები ჩრდილოეთ კორეაში მას შემდეგ, რაც ფხენიანმა აღნიშნა, რომ ქვეყანას არ სჭირდება სურსათით დახმარება.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ აღიარა, რომ შუა 90-იან წლებში ქვეყანაში იყო შიმშილი, და მას შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციები ჩრდილოეთ კორეას აწვდიდნენ სურსათს ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენების დასახმარებლად.

მაგრამ ახლა ფხენიანი აცხადებს, რომ ქვეყანაში მოიწიეს კარგი მოსავალი და ჩინეთიდან და სამხრეთ კორეიდან სურსათის მოწოდების შემდეგ ქვეყანას აღარ სჭირდება გაეროს დახმარება.

ამის სანაცვლოდ ჩრდილოეთ კორეას სურს ხელშეწყობა განვითარების გრძელვადიანი პროგრამების სფეროში.

ამერიკის შეერთებული შტატები გაეროს სასურსათო პროგრამის ერთ-ერთი უდიდესი დონორია, რომელიც ახორციელებდა ჩრდილოეთ კორეაში სურსათის განაწილებას.

## ბოლივიის პრეზიდენტმა ბუშს ტერორისტი უწოდა

**ყატარის თანამგზავრული ტელეარხის „ალ-ჯაზირასთვის" მიცემულ ინტერვიუში ბოლივიის არჩეულმა პრეზიდენტმა ევო მორალესმა თავის ამერიკელ კოლეგას უწოდა მსოფლიოში ერთადერთი ტერორისტი.**

„ბუში არის ერთადერთი ტერორისტი იმიტომ, რომ მხოლოდ იგი ერევა სამხედრო ძალის გამოყენებით სხვა ქვეყნების საქმეებში. ეს სახელმწიფო ტერორიზმია, მაგრამ ისინი, ვინც იცავენ თავიანთ უფლებებს, არ არიან ტერორისტები, — განმარტა თავისი პოზიცია ბოლივიის პრეზიდენტმა. — ამერიკის ადმინისტრაცია მკვლელების ხროვაა, რადგან ეს ადამიანები მიმართავენ სახელმწიფო ტერორიზმის მეთოდებს და ეწევიან ბინძურ ომს ჩვენს წინააღმდეგ".

მორალესი შეეხო ასევე ბოლივიაში ამერიკელთა სამხედრო ყოფნის პრობლემებს.

ევო მორალესის თქმით, იგი არ დაუშვებს იმას, რომ სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა დატოვონ ბაზების ტერიტორია და დასძინა, რომ აიძულებს მათ სცენ პატივი ბოლივიის კონსტიტუციას.

ევო მორალესმა განაცხადა, რომ „ახალი ბოლივია დაეფუძნება სამართლიანობისა და ყველა ბოლივიელის თანასწორუფლებიანობის პრინციპებს".

## გუანტანამოში მოშიმშილეთა რიცხვმა იმატა

**ამერიკელმა სამხედროებმა აღიარეს, რომ ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში კუბაში მდებარე გუანტანამოს სამხედრო ბაზაში ერთიორად გაიზარდა მოშიმშილე პატიმართა რიცხვი.**

ამ ბაზაში ამერიკელებს ძირითადად დაკავებული ჰყავთ ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები.



ხელისუფლების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ამჟამად შიმშილობს 74 პატიმარი, როცა წინათ იტყობინებოდნენ, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეთა რიცხვი ორმოცი იყო.

გარდა ამისა, ხელისუფალების მიერ მოყვანილი მონაცემები მოშიმშილეთა რაოდენობის შესახებ განსხვავდება იმ ინფორმაციისგან, რომელსაც ავრცელებენ სამართალდამცველები. მაგალითად, ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, 32 მოშიმშილეს იძულებით მიაღებინეს თხევადი საკვები.

როგორც ადვოკატები აცხადებენ, პატიმრები გამოთქვამენ პროტესტს მათ მიმართ სასტიკი მოპყრობისა და მათი უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევების გამო.

## მოკლედ



**მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირზე მდებარე პალესტინის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქის რამალას საქალაქო საბჭოს პირველად ჩაუდგა სათავეში ქალი — 60 წლის ჯენეტ ჰანა მიხაელი. ქალაქის ახლად არჩეული მერი ქრისტიანია. საქალაქო საბჭოს მეთაურის არჩევნების დროს გადამწყვეტი გამოდგა საბჭოს სამი წევრის ხმა, რომლებიც ამ ორგანოში ისლამური დაჯგუფება „ჰამასს" წარმოადგენენ.**

* * *



**ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილმა წევრმა მაიკლ გრინმა განაცხადა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ამზადებს არა მარტო ყალბ ამერიკულ დოლარებს, როგორც ამას წინათ იტყობინებოდნენ, არამედ იაპონურ იენებს და ჩინურ იუანებსაც.**

**შაბათის სტუმარი**

# რა უთხრა ვასო გოძიაშვილმა მზია კვირიკაშვილს

**აი, როგორც იქნა, „სიცილის დედოფალიც“ გავიცანი – მხიარული, თვალჟუჟუნა... კარგა ხანს „ვივაჭრეთ“ შეხვედრაზე – მან გლდანის მასივიდან ველარ ჩამოაღწია ქალაქის ცენტრში. მე ქალაქის ცენტრიდან ველარ ჩავაღწიე გლდანის მასივში, მაგრამ მოახლოვდა ახალი წელი. „სიცილის დედოფლის“ გამოსვლები კონცერტებზე თბილისის სხვადასხვა კუთხეში და, აი, მზია კვირიკაშვილმა, ერთი ნახევარი საათით მოიცალა და დიდი საკონცერტო დარბაზის შენობაში – ფირმა „ლომისის“ ოფისში დიდი ხნის ნაცნობებივით შევხვდით ერთმანეთს.**

მთლად „ჩემიანი“ ყოფილა, წყალტუბოში გაუტარებია ბავშვობა და ყმაწვილქალობა, ქუთაისში უსწავლია მუსიკალურ სასწავლებელში.

– ფორტეპიანოს ვეუფლებოდი, არც მთლად უნიჭო მოწაფე ვიყავი. მოგვიანებით, მუსიკის პედაგოგადაც ვმუშაობდი, მაგრამ, დიდი ხნის ოცნებამ – მსახიობობამ, მაინც თავისი ქნა... ბავშვობაში ტაბურეტზე შევდგებოდი ხოლმე და, ვის არ „ვასახიერებდი“...

***– გენებით მოგდგამთ ტალანტი?***

– არსაიდან, ბატონო!.. დედ-მამას არ ჰქონია სამსახიობო ნიჭი და ახლობელს!.. თანდათან გავთამამდი, გავბედე და ესტრადაზე გავიტანე ჩემი შემოქმედება, ძირითადად, იუმორისტული მონოლოგები...



„სიცილის დედოფლისა“ და სიცილის დიდოსტატის ეს განწყობილება დაგებედოთ 2006 წელს.

***– ჭეშმარიტად, დიდი გარდასახვის უნარი გაქვთ...***

– მადლობთ... რა ყოფილა ეს „ამბიცია“ (იცინის), უკვე ვიფერებ კომპლიმენტს, მაგრამ დიდმა ვასო გოძიაშვილმა რომ შემაქო გზის დასაწყისში, აი, მაშინ კი ამიფანცქალდა გული...

***– რაო, ბატონმა ვასომ?...***

– მაკოცა, დამლოცა და მირჩია, არ გაჩერდე, დიდი მომავალი გაქვსო.

– ჰოდა, ტყუილი თქვა?!.. (ეს – **გივი ბერიკაშვილი** გვერთვება, გაბადრული რომ წამოგვადგა თავზე.. მიკითხვა-მოკითხვა, მოსიყვარულებაძ...

– ახალი ანეკდოტი გითხრათ?.. – გივი პირდაპირ იწყებს:

– აბა, თუ იცით, როგორ უნდა გაარჩიოთ კახელი გიჟი და გურული გიჟი?... კახელი ქვას ისვრის, გურულს „პაპკა“ უჭირავს!...

ვიცინით გულიანად.

– ახლა მე გეტყვით, მე გეტყვით, – და, **მზია კვირიკაშვილი** ჰყვება:

– გურიაში ჩავიდა კახელი, ირგვლივ ისე სხაპასხუპით ლაპარაკობენ, რომ კახელი ვერაფერს იგებს... გადის ერთი დღე, ორი დღე, ერთი კვირა... ისმენს გურულების ლაპარაკს კახელი და არაფერი ესმის. ბოლოს კითხულობს:

– ჯო, აქ რო ვინმე გაგიჟდეს, როგორ უნდა გაიგო?!..

ამ სიცილ-სიცილში ჯემალ ბაღაშვილი გვიერთდება...

***– ძმებო, მოდით რა, ახლა ჩვენ მზიაზე მითხარით ერთი-ორი სიტყვა, – ვამბობ მე.***

**გივი ბერიკაშვილი:** – მზიას უზომოდ უყვარს თავისი საქმე. შესანიშნავი ადამიანი, და კარგი ოჯახიშვილია...

**ჯემალ ბაღაშვილი:** – უნიჭიერესია, ჩვენი „ზვეზდაა“, ქართულ ესტრადაზე ქალი, მგონი, სესილია თაყაიშვილის მერე აღარც გამოჩენილა და აი, ჩვენი მზია, პირდაპირ, ელვარებს... კარგად იყენებს მრავალმხრივ ნიჭს – ცეკვავს, მღერის... პლასტიკურია სცენაზე...

**მზია კვირიკაშვილი:** – უამათოდ რა გამოვიდოდა?.. ჩემი, როგორც ესტრადის მსახიობის ბიოგრაფია, შეიძლება ითქვას, „იუმორინადან“ იწყება. ჯემალ ბაღაშვილი რომ არა (მაგას შემოევლოს ჩემი თავიძ, ვინ იცნობდა მზია კვირიკაშვილს?!.. მაგის დამსახურებაა, თუ მართლა რაიმეს წარმოვადგენ, მაგის დაწერილია ის მონოლოგები, მე რომ ვახმოვანებ... წარმოგიდგენიათ?... ისრაელში ჩავედი – „სიცილის დედოფლად“ მაღიარეს, რუსეთში – იუმორისტების ფესტივალში გავიმარჯვე, ამერიკაში მქონდა გასტროლები ქართველი ემიგრანტებისთვის, ახლა საბერძნეთში უნდა ჩავუტარო კონცერტები ქართველ ემიგრანტებს, მერე ისევ ამერიკაში მიწვევენ... ხედავთ, რას მოვესწარი?! ეს სულ ჯემალის და, ცხადია, მთელი ჩვენი ჯგუფის დამსახურებაა.

***– პაროდია არ გამოგდით?...***

– არც მიცდია, არ ვყოფ შიგ ცხვირს (მიუხედავად დიდი ცხვირისაძ...

***– თეატრის სცენაზე გამოსვლა არ გიოცნებიათ?..***

– ძალიან მინდა... არ მქონია მიწვევა და, რა ვქნა... სიამოვნებით ვითამაშებდი, აგრეთვე, რომელიმე ქართულ კინოფილმში. რომ იცოდეთ, ორ-სამ რუსულ ფილმში გადაღებული ვარ.

***– იმედი არ დაკარგოთ, ჯერ ყველაფერი წინაა... საახალწლოდ რას აპირებს ფირმა „ლომისი“?***

**– გივი ბერიკაშვილი:** – ვქეიფობთ!...

**ჯემალ ბაღაშვილი:** – ვქეიფობთ და მერე უნდა მოვემზადოთ საგაზაფხულო „იუმორინასთვის“.

**მზია კვირიკაშვილი:** – მე ოჯახში ვატარებ ახალ წელს... წინასწარ გილოცავთ ყველას, ღიმილი და კარგი განწყობილება დაგებედოთ!...

***– მეც გილოცავთ!***

**ვილენ მარდალეიშვილი**

**მოლოცვა – სიმღერით**

# ყოვლადბრძნის... ყძვირთფასესი რეისი – საქართველო

უფროსი და ვენიდან ჩამოვიდა, უმცროსი – მადრიდიდან. ორივენი თავიანთი ოჯახებით, კარგა ხანია იქ ცხოვრობენ, თუმცა მათი შემოქმედებითი გზები მსოფლიოს საუკეთესო საოპერო სცენებზე გადის. დები – ნატო და ეთერ ჭყონიები ახალ წელს ამჯერად საქართველოში ხვდებიან – ახლობლებისა და მეგობრების წრეში. რა ხანია, ასე ერთად თავი არ შეუყრიათ. სულ ორიოდე კვირის წინათ ნატომ „იავნანას“ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა, ვერდის „რეკვიემი“ თბილისურ პრემიერაში იმღერა და, აი, ახლა დებმა გადაწყვიტეს, თბილისის საოპერო თეატრში საახალწლო კონცერტით მიულოცონ ახალი წელი თავიანთ ქართველ გულშემატკივრებს.



ოღონდ გული სწყდებათ, რომ მათ გვერდით ამჯერად არ იქნებიან მშობლები – თავის დროზე შესანიშნავი მომღერალი ლამარა ჭყონია და მორის ლეკიშვილი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ლამის მთელი წელია ესპანეთში, სადაც ისინი დროებით ცხოვრობენ, სამწუხაროდ, საქართველოს ვიზა ვერა და ვერ მოიპოვეს.

გადატვირთული საგასტროლო შემოქმედებითი ცხოვრება დებს არცთუ ხშირად ახვედრებს თურმე ერთმანეთს, მაგრამ ბოლო ხანს ცდილობენ მოუხშირონ ერთობლივ კონცერტებს. გერმანიაში, ავსტრიაში, ესპანეთსა და ვილნიუსში ისინი უკვე წარსდგნენ მსმენელთა წინაშე.

– ახლა ხალხი ისეა გადატვირთული, გნებავთ, განებივრებული, რომ სულ სიახლეებს ელოდება, ჩვენც შევთავაზეთ ეს სიახლე ევროპელ მსმენელს და იგი კარგად მიიღეს, მიჭირს მაგალითისთვის დღეს მსგავსი პრეცედენტი დავასახელო, – ამბობს ეთერ ჭყონია.

– საკონცერტო რეპერტუარში საოპერო ლიტერატურის აღიარებულ არიებთან ერთად ვრთავთ ხოლმე ქართულსაც, მაგალითად, ალექსი მაჭავარიანის რომანსებს და, როგორც წესი, „ბისზე“ მუდამ ვასრულებთ რევაზ ლაღიძის „თბილისოს“ და ცნობილ სიმღერას კინოფილმიდან „საბუდარელი ჭაბუკი“, რითაც იქაურ საზოგადოებრიობას ვახსენებთ, რომ ჩვენ საქართველოდან ვართ, ქართველები, – დასძენს ნატო.

როგორც გასული წლები, 2005 წელიც ნაყოფიერი იყო დებისთვის. ეთერს მნიშვნელოვანი გამოსვლა ჰქონდა ამ შემოდგომაზე იტალიაში, ვერონაში. „არენა დი ვერონას“ მიწვევით ღია ცის ქვეშ დადგმული კონცერტი გამართა, მერე კი სთხოვეს „ტრავიატაში“ ვიოლეტას პარტია შეესრულებინა რამდენიმე თეატრში. ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი, ესპანურმა მუსიკალურმა კრიტიკამ ხომ ეთერ ჭყონია „2000 წლის საუკეთესო ტრავიატად შერაცხა“. ეს დამატებითი სპექტაკლები მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, უცხოეთში ასე არ ხდება ხოლმე, წინასწარ არის ყველაფერი გათვლილი, მაგრამ ზოგჯერ კარგი გამონაკლისებიც არსებობს. უფრო ადრე ცნობილ დარბაზში „კარნეგი ჰოლში“ გამოვიდა, მერე რომში. ნატოს ეს-ეს არის საშობაო გამოსვლები ჰქონია ავსტრიაში – ვენაში, გრაცსა და ზალცბურგში.

ფართოა დების საშემსრულებლო რეპერტუარი, რომლითაც წლების მანძილზე ხიბლავენ უცხოელ მსმენელებს, მათი ჩამოთვლა ძალზე შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ, რომ წუხელ თბილისურ საახალწლო კონცერტში დებმა ქართველ მსმენელს საუკეთესო არჩევანი შესთავაზეს: პუჩინის, გუნოს, გლუკის, ბახის, ბიზეს, ლეონკავალოს, სენ-სანის, როსინის, სიმენესის, ოფენბახის ქმნილებები. მათ მშვენიერი საორკესტრო თანხლება გაუწია თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა დირიჟორ ზაზა აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით.

ნატო და ეთერ ჭყონიების კონცერტი, მართლაც კარგი საახალწლო საჩუქარი იყო ქართველი მსმენელისთვის, მომავალში დები კვლავაც მრავალ საინტერესო სიურპრიზს ჰპირდებიან მსმენელებს. მანამდე კი, კონცერტის წინ, საგრიმიოროში სახელდახელოდ მოხელთებულმა დებმა ქართველ ხალხს მშვიდობა უსურვეს და კიდევ, შრომის საშუალება მიეცეს და ბედნიერებაც ხომ მაშინ მოდისო...

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

**რეტრო**

# თამადა

ძალიან მინდა რუსეთში ვნახო ისეთი კაცი, რომელიც მეგობრებთან ქეიფის დროს წამოდგება და ერთადერთი ქართველი სტუმრის პატივსაცემად წარმოთქვამს, თუნდაც, ბარათაშვილის ლექსს:

«Öâåò íåáåñíûé, ñèíèé öâåò
Ïîëþáèë ÿ ñ þíûõ ëåò.
Â äåòñòâå îí ìíå îçíà÷àë
Ñèíåâó èíûõ íà÷àë...»

– იმიტომ, რომ იცნობს ქართულ პოეზიას და უყვარს იგი (თუნდაც პასტერნაკისეულსძ, და რადგან სურს ასიამოვნოს მოსკოვში ჩამოსულ სტუმარს, თვითონაც, როგორც წესი, გაშლის სუფრას.

ქართულ სუფრებთან კი ხშირად მსმენია რუსი პოეტების ნაწარმოებები. სიცივე, შიმშილი, სიბნელე, სუფრაა გაშლილი მსახიობისა და მწერლის გოგი ხარაბაძის სახლში, მოგვიტანეს ის, რისი შენახვაც მაცივრის გარეშე შეიძლება: ლობიო, ყველი, ღვინო... სუფრასთან სამნი ვართ – გოგი, მე და ბრწყინვალე მთარგმნელი, პოეტი, ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე და ჩინებული თამადა ვახუშტი კოტეტიშვილი.

– ნეტავ იმ ქართველებს, რომლებიც ახლა ერთმანეთს სამტროდ არიან წაკიდებული, წაკითხული ჰქონდეთ შენი თარგმანები – რილკე ან ჰაიამი. ამით ხომ ისინი უფრო უკეთესები გახდებოდნენ. ვახუშტი, რომლის სახლიც მთაწმინდაზე გადაწვეს მორიგი ქართული რევოლუციის დროს, უარის ნიშნად თავს აქნევს, ჭიქას იღებს და ამბობს:

– ესეც ჩემი ბედი ყოფილა, მაგრამ უკვე აღარაფრის აღარ მწამს. ჩემი სიბრძნე, სიხარული, ჩემი ქალები, ყველა ამ ჭიქაში ჩავატიე. ბოლოს მსურს სადღეგრძელო ვთქვა: ჭირი აქა, ლხინი – იქა!

მან აღაპყრო ხელი ჭერისკენ, რომელზეც ჩამქრალი ნათურა ეკიდა.

***– რის სადღეგრძელოს სვამ?***

– გაუმარჯოს ყველა არანორმალურს, ანუ ყველა ნორმალურს. ამ ცოტა ხნის წინათ დამირეკეს და მკითხეს: „ეს დიოგენეს კასრია?“ ვუპასუხე, რომ დღეს საქართველოში ყოველი ინტელიგენტური ოჯახი დიოგენის კასრია. მსურს, შევსვა ჩვენი კასრების და დიოგენეების სადღეგრძელო, რომლებიც ახლა დარჩნენ უკასროდ, უსანთლოდ.

***– ეს სადღეგრძელოა?***

– არა, ჩვენ შევსვათ, სადღეგრძელოს კი გეტყვით ცვეტაევას სიტყვებით, რომელიც უსაზღვრო სიყვარულს გამოხატავს.

ვახუშტი სუფრიდან წამოდგა და ხრინწშეპარული ხმით წარმოთქვა:



«ß – ñòðàíèöà òâîåìó ïåðó,
Âñå ïðèìó. ß áåëàÿ ñòðàíèöà.
ß – õðàíèòåëü òâîåìó äîáðó:
Âîçâðàùó, è âîçâðàùó ñòîðèöåé.
ß – äåðåâíÿ, ÷åðíàÿ çåìëÿ.
Òû ìíå ëó÷ è äîæäåâàÿ âëàãà.
Òû – Ãîñïîäü è Ãîñïîäèí, à ÿ –
×åðíîçåì è áåëàÿ áóìàãà!»

დაე, ბედნიერი იყოს ყველა, ვისაც სურს, რომ უყვარდეს! დაე, ბედნიერი იყოს ყველა, ვისაც სურს, რომ უყვარდეთ! დაე, მათ ერთმანეთი იპოვონ!

***– ეს სადღეგრძელოა?***

– სადღეგრძელოა!

***– იცი, ვახუშტი, რა მითხრა ტონინო გუერამ? მომაკვდავ ფელინისთან მისულა ჟურნალისტი და უკითხავს: „რაზე ოცნებობ, ფედერიკო?“. მან კი უპასუხა: „ნეტავ, კიდევ ერთხელ მაინც შემეძლოს შეყვარება!“***

– ესეც სადღეგრძელოა, იურა! ფედერიკოს ნათელ ოცნებას გაუმარჯოს!

**P. S. „ნოვაია გაზეტას“ რედაქცია უერთდება ვახუშტი კოტეტიშვილის სადღეგრძელოს, დაე, ახალ წელს გეპოვოთ ის, რასაც ეძებთ.**

**იური როსტი,**
**„ნოვაია გაზეტა“ (რუსეთი).**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ჯავახეთს სჭირდება მთელი სომხური სამყაროს დახმარება“

**რუსეთის “REGNUM” საინფორმაციო სააგენტომ ჩამოართვა ინტერვიუ „ერთიანი ჯავახეთის“ დემოკრატიული ალიანსის თავმჯდომარ ვაჰან ჩახალიანს. გთავაზობს ამ ინტერვიუს.**

**— ამ ბოლო ხანებში „ერთიანი ჯავახეთის“ დემოკრატიული ალიანსი გახდა ჯავახეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მოქმედი ფაქტორი. რადგან თქვენი საქმიანობა ყოველთვის ვერ იმსახურებს ერთმნიშვნელოვან შეფასებას, გთხოვთ, ზოგადად მონიშნოთ ის ძირითადი საპროგრამო გეზი და იდეები, რომლებსაც ეფუძნება თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობა...**

— „ერთიანი ჯავახეთის“ დემოკრატიული ალიანსი შეიქმნა 2005 წლის მარტში ჯავახეთის სომხური საზოგადოებრივი ორგანიზაციის გვერდით და ჩვენ საქმიანობა დავიწყეთ ახალქალაქში ჯავახეთისთვის მანამდე უპრეცენდენტო ორი მრავალათასიანი მიტინგის გამართვით. ჩვენი ძირითადი მიზანია ჯავახეთის სომხური მოსახლეობის კონსოლიდაცია და მისი ინტერესების დაცვა. ჩვენ ვცდილობთ პრაქტიკულად შევასხათ ხორცი ზოგადსაკაცობრიო დემოკრატიულ და სამოქალაქო ღირებულებებს სომეხი ხალხის უდიდესი კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის ფონზე. თავს მივიჩნევთ პასუხისმგებლად რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისა და საქართველოს გარკვეული დესტრუქციული ძალების მიერ თავსმოხვეული ეთნოსთშორისი დაძაბულობის ნეიტრალიზაციისთვის, გადაწყვეტილი გვაქვს მტკიცედ ვიდგებით რეგიონის სომეხი მოსახლეობის — კანონმორჩილი და საქართველოს სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეების ინტერესების სადარაჯოზე. გვწამს, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა თუ გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას და დაიწყებს თანამშრომლობას რესპუბლიკის ყველა პროგრესულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალასთან, შესაძლებელი იქნება ამ მხარეში დაგროვილი ყველა პრობლემის გადაჭრა, ჯავახეთი კი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, შეიძლება გახდეს საქართველოსა და სომხეთს შორის ეკონომიკური საინტეგრაციო პროცესების დაჩქარების ეფექტიანი შუამავალი.

**— მთელი ამ წლის განმავლობაში ჯავახეთში მოხდა რამდენიმე სერიოზული ინციდენტი. თქვენი აზრით, რა არის ამ მხარეში ვითარების გამწვავების ძირითადი მიზეზები?**

— თქვენ, ალბათ, გულისხმობთ ახალქალაქში სომხური სკოლის შტურმს, სოფელ სამსარში სომხური ეკლესიის „გაქართულების“ მორიგ მცდელობას, ახალქალაქში საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენლებთან მომხდარ შეტაკებას და ქდანოვოკანში საბაჟო საგუშაგოს დარბევას. საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, თბილისის მმართველი რეჟიმი თანამიმდევრულად ახორციელებს „საქართველო ქართველებისთვის“ პოლიტიკას, ცდილობს ჯავახეთიდან სომხების განდევნას, მათ ასიმილაციას, სქაართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები სომხების კულტურული ფენის განადგურებას. ამ პოლიტიკის განსახორციელებლად იყენებენ სახელმწიფოსთვის ხელმისაწვდომ ყველა საშუალებას.

როგორც ჯავახეთში, ისე საქართველოს სხვა რეგიონებში, გამუდმებით ირღვევა სომეხი მოსახლეობის უფლებები, და ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას, საქართველომ იკისრა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვს ვალდებულება.

**— როგორც ცნობილია, ჯავახეთში ამ ცოტა ხნის წინათ ვითარების გამწვავება უკავშირდებოდა იმას, რომ იქ სომეხი ეროვნების მებაჟეები შეცვალეს ქართველებით. როგორ ფიქრობთ, რით არის განპირობებული თბილისის ასეთი მოქმედება?**

— სომეხი თანამდებობის პირების ქართველებით შეცვლის მცდელობა ჩვენთვის არც ახალია, და არც შემთხვევითი. ეროვნული ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციული საკადრო პოლიტიკა ქართული ეროვნული პოლიტიკის ტრადიციული ნიშან-თვისებაა. ჩვენს შემთხვევაში სახელმწიფო დაწესებულებებიდან და, განსაკუთრებით, ძალოვანი სტრუქტურებიდან, სომეხი ეროვნების მოსამსახურეთა გამოდევნას ასეთი მიზანი აქვს: ამით სურთ ჯავახეთის სომეხ მოსახლეობას უჩვენონ, თუ ვინ არის ამ მხარეში ვითარების სრული ბატონ-პატრონი. თბილისის ხელისუფლებას, რომელმაც კარგად იცის, თუ რა მტკივნეულად რეაგირებს მხარის მოსახლეობა ეთნიკურ დისკრიმინაციის ყოველ ახალ გამოვლინებაზე, იმედი აქვს, რომ ასეთი ნაბიჯი გამოიწვევს საყოველთაო დემორალიზაციის ახალ ტალღას. მაგრამ მსგავსი არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკა აბსოლუტურად უპერსპექტივო, კონტრპროდუქტიულია და იგი მხოლოდ სომეხი მოსახლეობის კიდევ უფრო დიდ ალშფოთებას გამოიწვევს და აიძულებს მას მიმართოს ადეკვატურ ზომებს.

**— ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, ბუნებრივია, გაივლის ჯავახეთის ტერიტორიას, რეგიონის მოსახლეობა როგორ ეკიდება ამ პერსპექტივას?**

— ამ რკინიგზის მშენებლობის გეგმები, ჩვენი აზრით, არის მოუფიქრებელი, და ამას შეიძლება მოჰყვეს უაღრესად საშიში პოლიტიკური შედეგები, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს ფუნდამენტურ ინტერესებს. ჯავახეთის მოსახლეობა ძალზე უარყოფითად ეკიდება ამ პროექტს შემდეგი მიზეზების გამო:

ჯერ ერთი, პროექტის განხორციელება მკვეთრად გაზრდის თურქეთის ყოფნას ჯავახეთში, მათ შორის სამხედრო ყოფნასაც, კომუნიკაციების დაცვის საბაბით.

მეორე, პროექტის განხორციელებამ და რეგიონში თურქეთის პოზიციის გაძლიერებამ, შესაძლოა შეუწყოს ხელი ჯავახეთში მესხეთელი-თურქების ჩამოსახლებას, თუმცა, თავის დროზე, ეს ადამიანები გაასახლეს მესხეთიდან (ასპინძის, ახალციხის და ადიგენის რაიონებიძ, რომლებშიც ამჟამად ძირითადად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს, ისინი კი სულაც არ აპირებენ თურქებს დაუბრუნონ მიწები.

და მესამეც, ამ პროექტის განხორციელება აშკარად ისახავს მიზნად სომხეთის სატრანსპორტო და ეკონომიკური იზოლაციის გაძლიერებას. ექსპერტთა ყველა დასკვნა თვალნათლივ მოწმობს, რომ აშკარად არ არის მიზანშეწონილი ეკონომიკური თვალსაზრისით ასეთი პროექტის რეალიზაცია, რადგან როგორც საექსპლოატაციო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება თბილისი-გიუმრი-ყარსის რკინიგზის ამოქმედება.

ასეთ პირობებში ჩვენ ყველა კანონიერი საშუალებით ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ არ დავუშვათ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტის განხორციელება.

**— რას ელით სომხეთისგან, და როგორ აღიქვამენ მხარეში სომხეთის სახელმწიფოს პოზიციას ჯავახეთის მიმართ?**

— სომხეთის ხელმძღვანელები ამტკიცებენ, რომ მესხეთ-ჯავახეთში არსებული დაძაბული სიტუაცია უნდა აიხსნას მხარის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, და ისინი ვერ ხედავენ ვერავითარ პოლიტიკურ პრობლემებს. დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთის ხელისუფლებამ ჩინებულად იცის საქართველოში სომეხი ეროვნული უმცირესობის უფლებების მასობრივი დარღვევებისა და მესხეთ-ჯავახეთიდან სომეხი მოსახლეობის გამოდევნისთვის გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

მაგრამ საქართველოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებისა და აფეთქებასაშიში სიტუაციის დაუშვებლობის მიზნით, სომხეთის ხელისუფლება ამჯობინებს დახუჭოს თვალი ჯავახეთში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე, სომხეთში მცხოვრები ასი ათასობით ჯავახეთელი სომეხის, სომხეთის პატრიოტული ძალებისა და დიასპორის, მთიანი ყარაბაღის ომის ვეტერანთა, სომხეთის არმიის ოფიცერთა კორპუსის ზემოქმედების შედეგად სომხეთის ხელისუფლება იძულებული გახდება შეცვალოს პოზიცია. სადღეისოდ ჯავახეთს უჭირს და მას აქვს არა მარტო სომხეთის და მთიანი ყარაბაღის, არამედ მთელი სომხური სამყაროს დახმარების იმედი. მხოლოდ სომხური ჯავახეთის შენარჩუნება თუ დაიცავს სომხეთის რესპუბლიკას თურქული ეთნიკური ელემენტების მიერ სრულ ალყაში მოქცევისგან, რაც სომხეთისთვის კატასტროფულ შედეგებს მოიტანს. გაცილებით უფრო რაციონალური იქნებოდა სომხეთისთვის, თუ იგი დაუყოვნებლივ მოსთხოვდა საქართველოს ხელმძღვანელობას ქვეყანაში სომეხი ეროვნული უმცირესობის დისკრიმინაციის პოლიტიკის შეწყვეტას და შესთავაზებდა მას საერთაშორისო სამართლისა და ავტორიტეტიანი და კომპეტენტური საერთაშორისო სტრუქტურების შუამავლობით მესხეთ-ჯავახეთში დაგროვილი პრობლემების ერთობლივ გადაჭრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი სიტუაციით შეიძლება ისარგებლონ მესამე ძალებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჯავახეთში ვითარების დესტაბილიზაციით და სომხურ-ქართული კონფლიქტის პროვოცირებით.

**“REGNUM” საინფორმაციო სააგენტო (რუსეთი), 30 დეკემბერი.**

## 2005 წლის განსაკუთრებული მოვლენები

**წლეულს ამერიკელმა რედაქტორებმა, რომელთა შორის გამოკითხვას აწარმოებდა სააგენტო AP, ყველაზე აქტუალურ მოვლენად აღიარეს ქარიშხალი "კატრინა". 288 ხმიდან ქარიშხალმა 242 ხმა აიღო, მაშინ როდესაც სხვა მოვლენებს 18 ხმაზე მეტი არ მიუღია. შეგახსენებთ, რომ 2002–2003 წლებში მთავარ მოვლენად დასახელდა ომი ერაყთან, 2004 წელს ჯორჯ ბუშის მეორედ პრეზიდენტად არჩევა. ახლა გთავაზობთ იმ ათ მოვლენას, რომელმაც შეძრა მსოფლიო.**

### ქარიშხალი „კატრინა“



სტიქიის მოახლოება აშშ-ში წინასწარ იცოდნენ, მიუხედავად ამისა, კატასტროფას მაინც ვერ გადაურჩნენ. დაიღუპა 1300 ადამიანზე მეტი. ქარიშხალმა მოიცვა 5 შტატი. ახალი ორლეანის ტერიტორიის 80 პროცენტი დაიტბორა, ქალაქებში დაძრწოდნენ მოროდიორები. გარდა ამისა ქარიშხალ „კატრინას“ მოყვა ნაკლებად ძლიერი „რიტა“ და „ვილმა“.

### პაპის გარდაცვალება და ახალი პაპის არჩევა

დასრულდა 465 წლის მანძილზე ერთ-ერთი არაიტალიელი რომის პაპის 25-წლიანი პონტიფიკაცია. რომის ახალ პაპად არჩეული იქნა კარდინალი იოზეფ რატცინგერი.



### აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს ახალი წევრები

გარდაიცვალა აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უილიამ რენკვისტი. 80 წლისა იგი თავის ბინაში ქალაქ არლინგტონში სიმსივნით გარდაიცვალა. უმაღლესი სასამართლოს ერთი მოსამართლე პენსიაზე გავიდა. პრეზიდენტ ბუში წინააღმდეგობებს წააწყდა ახალი მოსამართლეების არჩევისას პარლამენტის მხრიდან.

### ნავთობის ფასი



წლის განმავლობაში ფასები ნავთობზე არაერთხელ გაიზარდა და კრიტიკულ ზღვარს გაუთანაბრდა. აგვისტოში ერთი ბარელი ნავთობი 71 დოლარი ღირდა.

### 7 ივლისის ტერაქტები ლონდონში

2005 წლის მთავარი მოვლენების ნუსხაში ტერაქტებმა ლონდონის მეტროსა და ავტობუსში რიგით მეექვსე ადგილი დაიკავა.

### მიწისძვრა და ცუნამი აზიაში

წლის დასაწყისში მსოფლიო გააოგნა უდიდესი სიძლიერის მიწისძვრისგან გამოწვეულმა ცუნამმა აზიაში. დაიღუპა ასობით ათასი ადამიანი. უსახლკაროდ დარჩა მილიონზე მეტი.

### ომი ერაყში

2005 წელს ერაყის მოვლენებმა გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა. დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცთა რიცხვმა 2000 გადააჭარბა, ერაყელთა შორის დაღუპულია 30 ათას ადამიანზე მეტი. ქვეყანაში არ წყდება ტერორისტული აქტები. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ჯერ არ აპირებენ ერაყის დატოვებას.



### ტერი შჩიავოს გარდაცვალება

სასამართლოს გადაწყვეტილებით აპარატიდან გამორთეს ქალი, რომელიც 15 წლის მანძილზე კომაში იმყოფებოდა და ხელოვნურად უხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. ამ ისტორიამ დიდი რეზონანსი გამოიწვია აშშ-ს საზოგადოებაში. ამ აქტში ჩაერია აშშ-ს პრეზიდენტი და კონგრესი.

### სკანდალი აშშ-ს ადმინისტრაციაში

თანამდებობა დატოვა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტის აპარატის ხელმძღვანელმა რიჩარდ ჩეინი ლუის ლიბიმ. მას ბრალი ედებოდა ფიცის გატეხვაში და ცსს-ს საიდუმლო აგენტის ვინაობის გამხელაში. ეს უკანასკნელი ქმედება ითვლება განსაკუთრებით სერიოზულ სამართალდარღვევად და ბრალდების წაყენების შემთხვევაში ისჯება 10 წლამდე პატიმრობით.

◎ გადავშენდებით?

# [illegible]

**ვმალავდით, – საქართველოდან უცხოეთში მხოლოდ 250 ათასი კაცია წასულიო. ბოლოს გაირკვა, რომ მილიონნახევარია გადახვეწილი; ვამტკიცებდით, – ვმრავლდებით, ჩვენმა მოსახლეობამ რაოდენობრივად იმატაო. ბოლოს კი გაირკვა, რომ გადაშენების გზაზე ვმდგარვართ. სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას. თუ ამ ტემპით ვიარეთ, 2050 წლისათვის დღევანდელი 4 მილიონიდან 1,5 მილიონილა დავრჩებით; თვით გაეროს დემოგრაფიული დეპარტამენტის პროგნოზით, სულ მალე საქართველო მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში სამუდამოდ დამკვიდრდება. ამ სიიდან ამოშლა კი ქვეყანას ნამდვილად გაუჭირდება.**

სტატისტიკური მონაცემებით, ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ საქართველოში იბადებოდა 108 ათასი ბავშვი. ახლა კი იბადება – 46 ათასი. ამავე პერიოდში 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი 24,5 პროცენტიდან დაეცა 20,4 პროცენტამდე. ამასთან, 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა საყოველთაოდ აღიარებული 7 პროცენტის ნაცვლად ავარდა 15 პროცენტამდე. ეს უკვე ნიშნავს, რომ ქვეყანას ახალგაზრდობა, მომავალი თაობა აკლდება, მოხუცობა, მიმავალი თაობა კი – უმრავლდება. ეს კატასტროფის მოახლოების ნიშანია. ამან ჩვენი პარლამენტიც კი შეაფუცხუნა. უარესსაც ამბობენ. ჟორდანიას სახელობის რეპ-



როდუქციული ჯანმრთელობის ინსტიტუტის მონაცემებით, ქვეყანაში სქესობრივად სრულიად ჯანმრთელი მოსახლეობის მხოლოდ 10 პროცენტია. ძირითადად, ალბათ, ამის ბრალიც არის, რომ სადღეისოდ საქართველოში 400 ათასი ქვრივი, 250 ათასი განქორწინებული, 500 ათასამდე კი ბერბიჭა და შინაბერაა. დამეთანხმებით, – შემაძრწუნებელი ციფრებია.

ჩვენი უბედურების მეორე მიზეზია უმუშევრობა, უფულობა, სიღარიბის აღზევება. ქვეყანაში ეკონომიკურად აქტიურია მოსახლეობის 65-70 პროცენტი, თუმცა აქედან დაუსაქმებელია 40-45 პროცენტი. ხალხი თითქმის ხელისუფლებამაც გაწირა. 2003 წელს სამუშაო ადგილების შესაქმნელად ბიუჯეტში ჩადეს 5 მილიონი ლარი, 2004 წელს – 2,4 მილიონი, 2005 წელს კი – 1,7 მილიონი. ამიტომაც გარბის ხალხი უცხოეთში. თუმცა, საკითხავია – რამდენს უმართლებს იქ და რამდენს, პირიქით, უფუჭებს ცხოვრებას?

„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“ ყოველწლიურად წელებზე ფეხს იდგამს სამშობლოდან გადახვეწილი ხალხის დასახმარებლად, მაგრამ რომელ ერთს გასწვდება? 2006 წელს დახმარების ახალი პროგრამა ამოქმედდება. იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით გავრცელდება, თუმცა ამ პროექტის დირექტორი ბრანსონ მაკილნი მაინც პესიმისტად რჩება...

– მდგომარეობა სავალალოა, – ამბობს იგი. – ხშირად მიგრანტები მათთვის სრულიად უცხო გარემოში გამოუვალ სიტუაციაში არიან. არც ფული აქვთ, არც სახლი, საკვებს მათხოვრობით შოულობენ, სხვის გამონაცვალ ტანსაცმელს ატარებენ. მიუხედავად ამისა, ბევრი მათგანი მაინც უარს ამბობს სამშობლოში დაბრუნებაზე. ჩვენ კი, მათი თანხმობის გარეშე, არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.

როგორი ამბავია, – უსამშობლობა, უფულობა, უსახლკარობა? და მერე როდის, – 21-ე საუკუნეში?

უცხოეთში უჭირთ ყველა მიგრანტის დათვლა. იციან მხოლოდ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა. ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ევროპასა და ამერიკაში თავშესაფრის ქართველ მაძიებელთა რაოდენობა შარშან ასეთი გახლდათ: ავსტრია 1.357; საფრანგეთი – 1346; სლოვაკეთი – 750; გერმანია – 624; შვეიცარია – 585; საბერძნეთი – 488; კვიპროსი – 291; უნგრეთი – 210; შვედეთი – 207; ჩეხეთი – 185; ბელგია – 168; დიდი ბრიტანეთი – 118; ირლანდია – 106; აშშ – 78; ნორვეგია – 75; ფინეთი – 61; ჰოლანდია – 53; ესპანეთი – 35; სლოვენია – 33; პოლონეთი – 31; დანია – 25; კანადა – 18; ლიტვა – 1. სულ, დაახლოებით, 7.000 კაცი.

მოკლედ, სად აღარ ელოდებიან ქართველები ჭირს, რომელთაც სამშობლო ღირსეული ცვლად ექცათ. ნეტავ, 2006-ში მაინც გაუმართლოს მათს უმრავლესობას, თუმცა... გაეროს ჯერ კიდევ 1990 წელს მიუღია კონვენცია „მიგრანტ მუშათა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის“ შესახებ. ამ კონვენციას ჯერ საქართველო არ მიერთებია, არადა, 33-მა სახელმწიფომ ეს უკვე გააკეთა და თავისი ქვეყნის მოქალაქეები ტრეფიკინგის პრობლემებისგან საკმაოდ მაგრად დაიცვა. არავინ იცის, რას იზამს ჩვენი ხელისუფლება, რომელიც შინ ეპატიჟება ყველას, მაგრამ ვინ მისცემს მათ აქ სამუშაოს, ხელფასს? ბევრი ვერც „ცეცხლწაკიდებულ“ ბაზარში შევა და ვერც უფასო სასადილოში. ადგილები უკვე გადატენილია. ხალხი იქ შედის იძულებით, საკუთარი თავმოყვარეობის შელახვით. სინდისზე ხელის აღებით.

განა ამ დროს ველოდით?

**ბონდო გულიაშვილი**

◎ არ დაგვივიწყე!



## როგორც იქნა, ქართველი თოვლის პაპა დავიბრუნეთ

***არცთუ შორეულ წარსულში, როცა მშობლებს საახალწლო ზეიმებზე დავყავდი, მახსოვს, ყველგან მეგებებოდა თეთრ ნაბადშემოსხმული, თავზე ყაბალახშემოხვეული, მხარზე ხურჯინგადაკიდებული თოვლის ბაბუა. იგი თავისი ტკბილი ხმით, ყველასთვის საყვარელ სიმღერას ასრულებდა და გვამცნობდა, რომ ჩვენამდე მისასვლელად მან შორი გზები, შორი მთები გამოიარა.***

**დღეს კი, სხვა ზნე-ჩვეულებების გაქრობას ვინ ჩივის, ის არის ნამდვილად გულდასაწყვეტი, რომ ქართული თოვლის ბაბუა თითქმის გაქრა. ქუჩებში გვეგებებიან წითელ სამოსში გამოწყობილი სანტა-კლაუსები, რომლებიც მალი-მალ გვახსენებენ – ლაპლანდიიდან ჩამოვედითო. ნეტავ, ვინ შეეხვეწათ, არიქა, ჩქარა ჩამოგვაკითხეთო? მათ ტელეეკრანზეც ხშირად შევხვდებით. უფრო მეტიც, საბავშვო ბაღებში საახალწლო ზეიმზე სწორედ ლაპლანდიელ ტომარაგადაკიდებულ სანტა-კლაუსებს იწვევენ, რომელიც ბავშვებს შეხვედრისთანავე ეუბნება: – საქართველოში ახლახან ჩამოვედი, და ქართულიც ძლივს ვისწავლეო. ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში სანტა-კლაუსი არის წმინდა კაცი, რომელიც ბავშვებს საჩუქრებს ურიგებს, მაგრამ რა საჭიროა ჩვენი შვილები მას შეჰხაროდნენ, როცა ბრწყინვალე თოვლის პაპა გვყავს? თურმე ნუ იტყვით, სანტა-კლაუსების მომრავლების პრობლემა რუსეთსაც გასჩენია, ისინი რუსული „დედ მოროზის“ გაქრობას ჩივიან.**

**ისე, დღევანდელ საქართველოში რომ კანონიერ ქურდებს სდევნიან, ეს ყველასთვის გასაგებია, მაგრამ თოვლის პაპებმა ვის რა დაუშავეს?.. დასაფასებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახლახან უშგულში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის მეშვეობით ძლივს ერთი ქართველი თოვლის პაპა მაინც დავიბრუნეთ. ამ მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, დანარჩენები შეიძლება მთა-თუშეთს ან ხევსურეთს აფარებდნენ თავს. ამიტომაც ძველით ახალწლამდე ერთიორი მსგავსი სპეცოპერაცია, ალბათ, არ გვაწყენდა!**

**ლელა ცქიტიშვილი**

◎ მხოლოდ შენ ერთს...

# უბერებელი სიყვარული

**მართლმადიდებლური ეკლესიის შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთ მნიშვნელოვან საიდუმლოს ჯვრისწერის საიდუმლო, ანუ გვირგვინობა წარმოადგენს. იგი, სხვა საიდუმლოთა მსგავსად, სულიწმინდის მადლის მოქმედებით აღესრულება. სულიწმინდის მადლი კი ორ სხვადასხვა ადამიანს ერთი საერთო მიზნის მისაღწევად უხილავად აერთიანებს.**

ახლახან უჩვეულო ფუსფუსი შეინიშნებოდა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში. ნახევარსაუკუნოვანი სიყვარულის დღესასწაულზე მისულიყვნენ ერთად შებერებული წყვილები. მათ მოქმედებაში თითქოს გაუბედავი სიხარული, თვალებში კი მადლიერების გრძნობით სავსე სიხარულის ცრემლიც გამოკრთოდა. ესენი გახლდნენ თავის დროზე ხელმოწერილები, მაგრამ ჯვარდაუწერავები: ილარიონ გამჯაშვილი და ნინო ტალიკაშვილი, გიორგი ჭანტურია და ეთერ ჭანტურია, ვანო გელაშვილი და სვეტლანა ოსეფაშვილი, ირაკლი ბახუტაშვილი და ლია ბახუტაშვილი, შალვა გვარძიანი და ციალა პირველი.

ამ დიდ სიხარულს მათთან ერთად იზიარებდნენ მათი შვილები, შვილიშვილები და ახლობლები, რომელთა გულები სავსე იყო მადლიერების გრძნობით.

ამდაგვარი ადამიანები გაიხსენეს და ცხოვრება გაულამაზეს, მშვენიერი დღე აჩუქეს გულისხმიერმა ადამიანებმა, თბილისის პენსიონერთა და ვეტერანთა პროფკავშირების საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ადერკი კოპლატაძემ და ამავე ორგანიზაციის კულტურის განყოფილების გამგემ ლილი მგალობლიშვილმა. თბილისის რაიონებიდან შერჩეულ თითო წყვილს მოუმზადეს სიურპრიზები, არ დაიშურეს ძალა და ენერგია, რათა ლამაზი წუთები ეჩუქებინათ და სიხარული მიენიჭებინათ წყვილთათვის. ეს შემდეგში ტრადიციად იქცევა, მათი დიდი სურვილია ხანდაზმულებს მომავალშიც მოუწყონ ჯვრისწერის ცერემონიალი.

ერთი თბილი სიტყვა შეიძლება სამარის კარამდე დაამახსოვრდეს კაცს. ერთი კი არა, ბევრი გულის ამაჩუყებელი სიტყვა და მილოცვა მოისმინეს და სულის სიმებიც აუთრთოლდათ ახლად ჯვარდაწერილებს, გახალისდნენ და გათამამდნენ.

ტაძარში შესულ ჯვრისწერის მსურველთ დიდი სიყვარულით შეეგება მამა დოსითეე, ვაჟთა ხავერდოვანი საგალობლების (ანსამბლ „ფესვების“ ხელმძღვანელი დათო უზნაძე) ფონზე მოხდა ერთობლივი ჯვრისწერა, გაიცვალა მარადიული სიყვარულის სიმბოლოები – ნიშნობის ბეჭდები და დადეს აღთქმა, რომ ერთმანეთი მარად ეყვარებათ.



ამ დროს ქალბატონი ციალა პირველი მოულოდნელმა კითხვამ გამოაფხიზლა: ნეტავ რას იხსენებთ? „ხელს რომ ვაწერდით, შიში მქონდა იმისა, თუ როგორ ავაწყობდით ოჯახს მე და ჩემი მეუღლე, ახლა კი ხუთი ათეული წლის ერთად ყოფნის შემდეგ, ვდგავარ წმინდა საკურთხევლის წინ და თითქოს ჩვენი განვლილი ცხოვრების ანგარიშს ვაბარებთ ჩემს ბაბუას, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ოჯახურ სიწმინდეს და ნამდვილ ოჯახურ იდილიას. მე მგონი „გამოცდა“ კარგად ჩავაბარეთ...“

ჯვრისწერის დამთავრებისთანავე ჯვარდაწერილები მილოცვების წვიმაში აღმოჩნდნენ. ყვავილების ზღვა იყო და ამ ზღვაში ლივლივებდნენ კმაყოფილი სახეები. ქალბატონმა ლილიმ და ბატონმა ადერკიმ 5 წყვილს მოკრძალებული საჩუქრები გადასცეს: წმინდა ხატები, ჯვრისწერის მოწმობები და შამპანურ-შოკოლადის კომპლექტები.

ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენო ამაგდარო ადამიანებო, უფალი იყოს თქვენი შემწე მრავალჟამიერ!

**ქეთევან სუხიტაშვილი**





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №39



ლერი სიხარულიძე — კინორეჟისორი, არაერთი ფილმის (პრემირებულის!ძ ავტორი ეროვნული ფოლკლორის თემებზე, ავტორი კარიკატურული ჩანახატების წიგნისა „ქუდიანი და უქუდო“, ყოფილი პროფესიონალი მოცეკვავე, 1957 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალის კონკურსის ლაურეატი (საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატობების „მხარდამხარ“ძ, ქართული ნეომონარქიზმის იდეოლოგიის პიონერი.

სიტყვა ერის გასაგონად

# ღირსებათა ტაძრის ოქრო სვეტი, ანუ ღირს ვართ!..

არა მხოლოდ ქართველ მროკავ ვაჟკაცებს მოსდევთ ჯიშ-ჯილაგით მუხლის მოყრა და მოდრეკა (მუხლზე ჩასვლასაც რომ ვეძახითძ ქალის თუ სატრფოს წინაშე, სილამაზის წინაშე, დროშის თუ წინამძღოლ-მეფე-მთავართა წინაშე! —

ნიშნად თაყვანისცემის!

ნიშნად სიყვარულის!

და, რაც მთავარია, ნიშნად ერთგულების და ფიცის!

და ვის, თუ არა ჩვენ — ქართველურობით მოამაყე მროკავ ქართველებს გვმართებს (!ძ მუხლის მოდრეკა თუ მოყრა ჩვენი ერის და მოდგმის, მისი ნიჭის და ჯიშის წინაშე...

— გამო შექმნისა უკვდავ როკვათა, ფერხულისა და ფერხისაითა („თამაშად“ და „სამად“ რომ მოვიხსენიებთ უხსოვარი დროიდან...ძ;

...გამო მრავალხმიანი წყობისა და გალობისა („მსოფლიო ხმოვანებად“ რომ განმარტა დიდმა საბამ, — სულხანმაძ;

— გამო უნატიფესი და უმკაცრესი სამოსის, „ყაბისა“ და ჩოხისა, „ქულაჯისა“ და „ჩაქურისა“...

— ქცევისა და სიკისკასისა, სიჩაუქის და მიხვრა-მოხვრისა...

— შმაგი ცეცხლისა თუ ნაზი ალმურისა „გამო“...

...გამო, „გამოთა-გამო“

დიახაც, რომ „ღირს არს“ ყოველივე „ამისა გამო“ თაყვანს გცემდეთ და გადიდებდეთ, შენ ნიჭო, ჯიშო და ჯილაგო ქართველურო!

...ჯიშო წინაპართა, — მოსოხების, კლარჯების, კოლხთა და ზანთა!... „მსოფლიო ხმოვანებისა“ და „როკვისათვის“, უნიჭიერესო ხელის მტევნისა და უპოეტურესი სიტყვისა გამო, ხმათათვის „ხმისათვის“ — „სუფრათა შინა“, „ომსა შინა“, „შრომასა შინა“... „ტრფობასა შინა“!!

და, რაც უმთავრესია, „ცათა“ შინა“ და წინაშე!!!

დიახ, ღირს იყო და არს, რათა ავაგოთ ტაძარი ჩვენი ეროვნული ნიჭისა... „მიწათა ზედაც“ და მიწათა შიგაც!

ტაძარი არა მხოლოდ ჩვენი (ეროვნული!ძ მადლისა მიმართ და გამო, არამედ მთელი კაცობრიობის მადლიერებისა ქართველურ-კაცობრიული ნიჭისა „მიმართ და გამო“, ნიშნად მადლისა იმ „მრავალფერი“ ქვეყნისა და ერისა გამო, რომელიც ჩვენ, კაცთა (!ძ მოგვცა მან, შემქმნელმა სამყაროსი — ძალითა მის ძლიერითა!!

## სვეტი I
## „მტკიცე დგაა?!“

ათას ხუთასი წლის წინათ ასე შესძახა სიკვდილმისჯილ და სასომიხდილ დედოფალს ერთგულმა მოძღვარმა.

— მტკიცედა დგაო! — მტკიცედვე დაუდასტურა სიკვდილის შემდეგ წმინდანად შერაცხულმა დედოფალმა.

— მტკიცედ დგაა? —

დიახ! „ღირს არს“ რომ ასევე ჩავეკითხო დღეს ქართველთა როკვის სიწმინდის სადარაჯოზე მდგარ არა მხოლოდ ამაგდარ მოღვაწეთ ქართველური და ქართველთა როკვისა, არა მხოლოდ ნორჩ მროკავთა არმიას, არამედ მათ მშობელ-აღმზრდელების დღევანდელ „არმიასაც“...

ამ ერთნახევარი ათეული წლის წინათ ქართველური და ქართული ცეკვა-როკვის ერთგულ ქართველ მშობლებს ჩაბნელებული პროსპექტების და ქუჩაბანდების თავზე და „არემარეზე“ მოზუზუნე და მოკაკანე ტყვიების და მოღმუილე ნაღმების „აკომპანიმენტით“ (რასაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, მთელი მსოფლიო უსმენდაძ დაჰყავდათ სისხლისღვრით გამამაცებული ნორჩები „არანაკლებ“ მამაცი აღმზრდელ-მასწავლებლების რეპეტიციებზე...

და, რა თქმა უნდა, ამ სიმამაცისა და ერთგულების ნაყოფი იყო შემდგომში, შედარებით მიწყნარებულ, მაგრამ მაინც ილაჯგაწყვეტილ ქვეყანაში, არაერთგან დანთებული ნორჩთა ფესტივალები, სამთავრობო-სახელისუფლებო თუ „საუცხოეთო“ დღესასწაულები...

მაგრამ თაობები მოდიან და მიდიან...

და მე, ყოველ მათგანს (თაობას!ძ მინდოდა და მინდა წინ დავუხვედრო იგივე მრავალსაუკუნოვანი ჯიქური კითხვა: — მტკიცედ დგაა-მეთქი?!



ილუსტრაცია: ავტორისავე ჩანახატი „ჯიში“

...ანუ მტკიცედ გადაწყვიტე (თუ აპირებ გადაწყვეტას(?ძ, რომ შენი ნორჩი ძე და ასული, თუ მონაგრის-მონაგარი, აუცილებლად მიჰგვარო მავან აღმზრდელს (ნაცნობს და უცნობსძ მეურვეს, მასწავლებელს და მესაიდუმლეს ნორჩი გზნებისა და ლტოლვის, წინაპრების მიერ ნაანდერძევ როკვის „საიდუმლოებათა“ მიგნებისა და შესისხლხორცებისათვის (არა! მე არ ვგულისხმობ „სამეჯლისო ცეკვების და „ბასტი-

და აჰა, ჩემს მიერ შემოთავაზებული პირველ სვეტიც დიადი, ეროვნული ტაძრისათვის: ღირს არს და ღირს ვართ ვადიდებდეთ და ვუგალობდეთ ათასწლოვან ეროვნულ ნიჭსა და მის ნაყოფს „მსოფლიო ხმოვანებად“ და ერის გვირგვინად ქცეულს!

## სვეტი II
## „სვეტი თვით როკვის“

იმ ავადსახსენებელი ათეული წლის წინათ მთელ საქართველოს გულსა და გონებაზე ეფი-

ბუზუების“ გროსმაისტერებს და კლიპმაისტრებს!..

— დიახ, რამდენად, „მტკიცედ დგაა“-მეთქი ათასწლეულობით სისხლსა და ოფლში ნაწრთობ ქართველურ საიდუმლოებათა შესაცნობად!?

და ასევე მოუთმენლად ველოდები ყოველ ცისმარე მჭექარე და მქუხარე დასტურს: — დიახ, მტკიცედ დგაა!!

ნა ქართველი მწერლობის ნატყორცნი შეგონება: „გადავარჩინოთ ქართული კულტურა და იგი იხსნის ერს“.

აი, მასშტაბი! აი, სივრცეც და სიმაღლეც!

მაგრამ „გადარჩენა“ თუა და მრავალდარგოვანი ქართული კულტურის გადარჩენაზე თუა საქმე, იგი უნდა დავგეწყო (თუ დროა დავიწყოთ?!ძ კიდევ უფრო მრავალდარგოვანი ქართული სახელმწიფოს (დიახ, სახელმწიფოსი!ძ გადარჩენისათვის.

არადა, თუ მაინც და მაინც ქართული კულტურაა „შუაში“, მას თითქოს და ასიმილაციისაგან გადასარჩენი არა უნდა ჭირდეს რა, იმდენად ღრმა და უმძლავრესია მისი ლიბო და ფესვები! და თუ „მაინც და მაინც კულტურაა გადასარჩენი, მაშინ კულტურის დარგთა შორის უეჭველად უპირველესი გადასარჩენია ქართული ეთნოგრაფია, ფოლკლორი, ხოლო თავად ფოლკლორში — ყველაზე იოლად „მოწყვლადი“ — ხალხური ქორეოგრაფიაა, რამეთუ იგი თავისი მხატვრული ქმნადობის (შემოქმედებისძ ბუნებით წარმოადგენს მარად მშობიარე, მარად არამდგრად და ცვალებად სხეულს (ფენომენსძ ადამიანის ქმნადი ნიჭისა, რომელიც იოლად ექვემდებარება (ემორჩილებაძ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს და ზეწოლებს (მაღალი დონის სატელეფონო ზარებისა და წერილობითი დირექტივებიდან დაწყებული კოლექტივებისა თუ ანსამბლებისათვის დოტაციის თუ არსებობის (!ძ წყაროთა დახშობით დამთავრებული!

მეტიც, — ხალხური ცეკვის კოლექტივი (მაღალიც და დაბალიცძ თავისი ხალხურობის გამო „ნაყოფიერი“ ასპარეზია ტრადიციების ხელყოფისა და უზურპაციისათვის, რაც ასე განუკითხავად აღსრულდება ხოლმე ფსევდონოვატორობის დროშებით შენიღბული და უცხოურისადმი სნობისტური მიმბაძველობის (წაბაძვის!, კოპირების, ანუ უნიჭობისძ „კაშკაშა დღესასწაულად“ და შემოქმედებით გამარჯვებად მონათლული კულტურულ მოვლენად?! (მარტო „თბილისობად“ გასაღებული რეზინის ვალინკებით ჭყლეტა (შეურაცხყოფა, ბატონებო!ძ ყურძნისა (და, საერთოდ ვაზისაძ ღირს თავში ცემად და სინანულად!

სწორედ ამიტომ „ღირს არს“ ძირამდე ვადიადოთ ჭეშმარიტება, მაგალითად, „ძველი თბილისისა“, როგორც აზიური და ევროპული, ბიზანტიური და კავკასიური კულტურული სამყაროების უმჭიდროესი თავშეყრისა „წიაღსა შიგან“ 15-საუკუნოვანი ქართველური სამყაროსი და „არა-ხოლო და ოდენ“ XIX საუკუნის გეოპოლიტიკური ძალების აღრევით შობილი საათნავების თუ იეთიმგურჯების, ზიმზიმოვებისა თუ მიკირტუმების ისტორიებისა და, თუნდაც, ურაპატრიოტული დილეტანტობით უსამართლოდ და ზედმეტად ათვალისწინებული „კინტაურის თუ ბაღდადურისა!...“

იხ. მე-12 გვ.

(მეთერთმეტე გვერდიდან)

# ღირსეულთა ტაძრის ოთხი სვეტი, ანუ ღირს ვართ!..

კი, ურაპატრიოტულით! რამეთუ თბილისი და მისი ფოკლკლორი ოდენ – ქართული სამყაროსია და სხვისი არავისი და იგი, მიუხედავად მსოფლიოს დიდქალაქებისათვის საყოველთაოდ ტიპიური ეკლექტურობისა, XIX საუკუნის თბილისის ფოლკლორული სამყარო კანონიერად და ორგანულად ეკლექტურია და არა არაქართულ და ამიტომ სანაგვისთვის გასაწირი რამ – ფასეულობათაგანი!

ამიტომ გკითხავთ, – ძმებო და დაიკოებო, „ღირს ვართ“ თუ არა ქართული როკვის ტრადიციებს მივუსადაგოთ საყოველთაო, ყველასათვის სავალდებულო (!!) ეროვნული ან ესთეტიკური ნორმატივები, კრიტერიუმები?!

პირადად ჩემი, „მტკიცედ მდგომი აზრით“, ქართველურ როკვათა ტაძრის მეორე სვეტი უნდა მიეძღვნას სიღრმეს, სიწმინდეს და სიმტკიცეს ეროვნული ტრადიციებისა!

ამიტომ „ღირს არს“ სვეტი ესე!

## სვეტი III
## პიროვნულ ნიჭთა „ერთობლიობიდან“ – სრულიად ეროვნულ ნიჭამდე!

ყოველი ერის ერთობლივ ნიჭს ქმნის ნიჭიერ თუ გენიალურ პიროვნებათა შემოქმედებითი „ერთობლიობა!“

ამის მიღწევას ხან ეპოქა ჭირდება, ხანაც საუკუნეები!

ჩვენი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორი ამ მხრივ თითქოს გამოცანაა.

ჩვენ არ ვიცით, ვინ შექმნა „ელესა“, „მუმლი მუხასა“, „ფარცა“, „ცერული“ თუ „ძაბრა“ („ოხოხოია“)...

მაგრამ ის, რაც ვიცით (!!) დასაფიქრებელია!

მართლაც, საოცარი იყო საოცრად კოლორიტული და უნიჭიერესი კაცის ანდრია ბალანჩივაძის მჭექარე განცხადება, 1992 წლის გორის საერთაშორისო მრავალხმიანობის მუსიკალურ ფესტივალზე პირდაპირ დარბაზიდან რომ ბრძანა: „ქართულმა პროფესიულმა მუსიკამ ჯერაც ვერ მიაღწია ქართული ხალხური მუსიკის მწვერვალებამდეო!

იქნებ სადაოა ეს განცხადება (ამის მტკიცებას არ შევებმევი), მაგრამ საპირისპირო ლოგიკით, ქართული პროფესიული და საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის (და მთელი ერისთვის) უფრო (!!) საცნაური უნდა გახდეს სახელები და ამაგი ლადო აღნიაშვილის, ფილიმონ ქორიძისა და სილოვან ხუნდაძის გვერდით სახელები ქართული ხალხური ქორეოგრაფიის უდიდესი მოამაგეების – დავით ჯავრიშვილისა და ვახტანგ ჭაბუკიანისა (ქართული ფოლკლორის „შემზავებელისა“ ევროპულ კლასიკასთან), ჯანო ბაგრატიონის, ავთანდილ თათარიძისა, დავით უშვერიძისა... (და არა ხოლო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილისა „ერთის“)... გიორგი სალუქვაძისა, კირილე პაჭკორიასი, ძუკუ ლოლუასი, ბუხუტი დარახველიძისა, არცთუ მართებულად მივიწყებული ილია არბატოვისა (თბილისელი კაცის, დედით ნაღდი წერეთლის!), ენვერ ხაბაძისა, ბიძინა და ქეთევან ლოლობერიძეებისა... აუ, დიდება ქართულ მადლს და ჯიშს და რამდენნი იყვნენ, არიან და... ხართ!!

„ამიტომაც“ და რამეთუ – „ღირს არს“ მათი დიადი „ნაღვაწი და ღვაწლი“ რომ მესამე სვეტად აღიმართოს და შეუდგეს ქართული ფოლკლორის დიად ტაძარს!

შეუდგეს გაუზვიადებლად (აპოლოგიას რომ უწოდებენ) ერთი პიროვნების, ერთი დადგმის და ერთი ნამღერის... ვითარცა ერთადერთი ხატისა და სიმბოლოსი, რამეთუ „ამნაირად“ ჩვენ მხოლოდ გავაღარიბებთ, გავახუნებთ ჩვენს „ფარჩას“ და საგანძურს“!..

ეროვნულ ქართულს და, გნებავთ, საერთოდ, ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა საგანძურს!

## სვეტი IV
## და, აი, საკითხი „განსაკითხველი“:

თუკი ეროვნულმა ენერგიამ და გამძლეობამ გასაზრდოვა შენ, ერის ნიჭო როკვისა... რომელთაც დაამშვენეთ ქართული თეატრი (თუნდაც „ანზორი“ და „გორდა“), შეამკეთ ქართული კინო („ელისო“, „ქეთო და კოტე“, „ბედნიერი შეხვედრა“ და სხვანი და სხვანი...)

...დღეს გლობალიზმის, კოსმოპოლიტიზმის, „მშობლიური“ რეპის, როკის (ჯღავილის და წრიპინის, უილაჯო მიბაძვა-წაბაძვის და უნიათო „მიმტან-მომტანობანას“) უკუნში აშკარაა, რომ ჩვენ, ქართველ მროკავთ და მშენებელთ როკვისა და ფერხისაისა, გვმართებს არა მხოლოდ ნახაზთა და ილეთთა შესრულება გზნებით და სიკასკასით...

...ჩვენ დღეს გვმართებს სრული შენივთება ჩვენი ეროვნული ცნობიერებისა სრულიად ქართველური კულტურის ცნობიერებით სამყაროსთან!

ამიტომ, „ღირს არს“ თითოეულმა ჩვენგანმა შევიცნოთ (!) და გავიაზროთ არა მხოლოდ ჯერ კიდევ „ამოსაცნობი თვალნი პატიოსანნი“ ქართული ფოლკლორის საგანძურისა...

ჩვენვე გვმართებს ახალი თაობების აღზრდა და წვრთნა არა მხოლოდ ძველი და ახალი ილეთების და „ტრიუკების“ შესისხლხორცებით „ვეფხისა და მოყმის“, „თამბის“, „ბაილ-ბეთქილის“, „თავფარავნელი ჭაბუკის“, „ნესტან-დარეჯანის წერილის ტარიელსა თანა“, „კაცია-ადამიანის“, „მთვარის მოტაცების“, „შუშანიკის წამების“, „გოდორის“, „მთაწმინდის მთვარის“, „საგიმისა და ტაშისკარის ბრძოლების (არა მარტო „დიდგორისა“!), „ქართული ენის ძებისა და დიდებაისა“, „ყეენობისა“, დაე, თუნდაც წაწლობასთან (დიახ, წაწლობასთან) და სხვასთან და სხვასთან;

დიახ, ჩვენ სწორედ ქართველ მროკავთ დღეს მართებთ იყონ არა მხოლოდ რაინდნი მისი „დარგის“ (ფრონტის) თვითმყოფადობისა და ერთადერთობისა, არამედ, მთლიანად მთელი ერის კულტურის საგანძურისა...

...ისევე, როგორც მთელ ქართულ კულტურას და მის მესვეურთ მართებს იყვნენ ძომაგნი ზემოთნახსენებ ჭაბუკიანისა, ჯავრიშვილის, – და „დიდთა სხვათა“ მემკვიდრეობისა.

...ასე „ღირს არს“ და „ესე“ გვმართებს წინაშე დაუნდობელი და მზაკვარი გლობალიზმისა! სხვანაირად, „ერთობილობისა და ერთსულოვნების“ გარეშე სრულიად ქართველური კულტურისა და ტრადიციული ეროვნული ცნობიერების გარეშე, გველოდება გათქვეფა, გადაგვარება იმ თავისთავადობისა, რასაც დიდმა შოთამ მგზნებარე სადიდებელი უძღვნა: „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მის ძლიერითა, ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“...

...და ამ „უთვალავ ფერთა“ შორის ერთ-ერთ ღირსეულ (უღირსეულეს) „ფერად“ ზის ფერი და ფერადოვნება ქართული ჯიშისა და ჯილაგისა!

ამიტომ, ღირს არს გადიდებდეთ შენ, ნიჭო ქართულო და ქართველურო, მროკავო და მოკისკასავ...

ამიტომ ...ღირს ვართ მტკიცედ შევნივთდეთ „ოთხ სვეტზე“ აღმართულ დიად თაღის ქვეშ და გარშემო!

**ლერი სიხარულიძე**

# რამ შეაყვარა ჰუპერტს რუსთაველი

**„საქართველო და თბილისი რომ არ ყოფილიყო, შესაძლოა ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალედინები, ჩინგიზხანები და აღმოსავლეთის სულთანები და შახები.**

**თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხე-სიმაგრე, სადაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისგან დაცლილნი და დასუსტებულნი ვეღარ აღწევდნენ ევროპამდე!**

**ჰუგო ჰუპერტი**
**„თბილისის აპოლოგია“.**



საოცრად ბრწყინვალე ანალიზი, იმ ისტორიული მოვლენებისა, რაც აზიისა და ევროპის მიჯნაზე საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ქართულ მიწა-წყალზე.

ასეთი მოკლე, შინაარსიანი ანალიზის გაკეთება შეეძლო მხოლოდ გამჭრიახი თვალისა და მოვლენების კარგად გამჭვრეტ დიდ მემატიანეს.

მაგრამ ჰუგო ჰუპერტი ავტორი ზემოთ აღნიშნული ციტატისა, არასოდეს არ ყოფილა ისტორიკოსი. ის თავის სამშობლო ავსტრიაში ცნობილი იყო, როგორც კარგი პუბლიცისტი და პოეტი. ამავ დროს რუსული პოეზიის გერმანულ ენაზე მთარგმნელი...

გერმანულ ენაზე ვეფხისტყაოსანი პირველად XIX საუკუნის მეორე ნახევარს გერმანელმა არტურ ლაისტმა თარგმნა ილია ჭავჭავაძის დახმარებითა და შემწეობით. მას შემდეგ რამდენიმე თარგმანი შესრულდა და მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ ჰუგო ჰუპერტის თარგმანია, რომელიც მან ორმოცდაათიან წლებში განახორციელა.

ჰუპერტმა საქართველო მოინახულა გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში – საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით.

მართალია, მან ქართული ენა არ იცოდა, მაგრამ მას ხელთ ჰქონდა პრიტვიცის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ვეფხისტყაოსნის ბწკარედი გერმანულ ენაზე, რომელიც ჰუპერტმა მშვენიერი გერმანული ლექსწყობით თარგმნა და გამოსცა.

ამის გარდა, მან რამდენიმე წიგნი და ლექსის კრებულიც უძღვნა საქართველოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მისი საქართველოში ყოფნის ერთ ფაქტს აღვნიშნავ.

ჰუგო ჰუპერტი მთელი თვის განმავლობაში ცხოვრობდა სასტუმრო „თბილისში“. მას ურთიერთობები ჰქონდა გერმანული ლიტერატურისა და ენის პროფესორ მიხეილ კვესელავასთან და ამავ დროს იმდროინდელ ქართველ ლიტერატორებსა და საზოგადო მოღვაწეებთან.

ამ ხნის მანძილზე ის ეცნობა საქართველოს ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებს...

ერთ დღეს მცხეთას ვეწვიეთ. მანქანა არსენას ძეგლთან შევაჩერებინე, გადმოვედით და თუ ვისი ძეგლი იყო ეს – მისი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე, თან დავუმატე – „მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა“ – და მაინც ყაჩაღს ეძახდნენ-მეთქი.

ისტორიას ბევრი პარადოქსი გააჩნია, – მიპასუხა მან. საქართველოს ისტორიას ის უკვე იცნობდა რუსულ ენაზე არსებული ლიტერატურით, ამიტომაც მას ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი, რასაც ის თავისი ცნობისმოყვარეობით ამჟღავნებდა.

იმ ხანებში არსენას ძეგლის გვერდით სახერხი ქარხანა იყო, რომელიც ტივებით ბორჯომის ხეობიდან მარაგდებოდა.

ფეხით გავყევით გზას და ამ ქარხნის კარებთან იდგა ვეებერთელა ტანის კაცი კოკროჭინა კახური ქუდით თავზე და ჭაღარაშერეული ულვაშით. შევხვდი და ვიცანი მსოფლიოში ცნობილი მოჭიდავე სანდრო კანდელაკი.

ჰუპერტი, თავად ჩია კაცი იყო და ამ დევგმირს გაოცებული მიაჩერდა, – თითქოს არც სჯეროდა, რომ ასეთი ჭარმაგი კაცი და ამხელა ტანის პატრონი საერთოდ, ადამიანი ყოფილიყო!..

გავაცანი, გაეხარდა, როცა გაიგო, რომ რუსთაველს თარგმნიდა და რუსულად ბოდიში მოუხადა – „სტუმარი ხარო და მე კი ვერ დაგპატიჟებ, აქ ყარაულად ვარო“, – ჰუპერტი კვლავ გაოცდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი და...

დავემშვიდობეთ კანდელაკს და სვეტიცხოვლისკენ ფეხით გავწიეთ.

ერთხანს ჩაფიქრებულმა უცებ მითხრა: როდესაც დავინტერესდი ქართველებით, კერძოდ შოთა რუსთაველმა დამაინტერესა, და გავეცანი საქართველოს ისტორიას და კულტურას, ასევე იმ გაუთავებელ ბრძოლებს, რომელიც ქართველმა ხალხმა გადაიტანა – არაბები, სელჩუკები, მონღოლები, თემურლენგები, ოსმალები და ყიზილბაშები, რომ 56 ათასით დავით აღმაშენებელმა 300 ათასი დაამარცხა და ბოლოს 5 ათასით 30-ათასიან მტერს არ შეუშინდა და მაინც შეება საბრძოლველად – ძალიან მიკვირდა და ვფიქრობდი, თუ რა ძალა ჰქონდა ქართველ ერს, რომ ამდენ მტერს იგერიებდა და ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოვიდა, რადგანაც თავისი ეროვნება შეინარჩუნა.

და ახლა მივხვდი და ამოვიცანი ეს ძალა. აი ასეთი (კანდელაკიძ) დევგმირები ჰყოლია საქარ-



თველოს და ამიტომაც იმარჯვებდა!

ჰუგო ჰუპერმა მოინახულა სვეტიცხოველი, სამთავრო და ჯვარი, გაეცნო ქართულ არქიტექტურულ კულტურას და ბოლოს თავის „თბილისის აპოლოგიაში“ დაწერა კიდეც.

„რომ ვკითხულობ ქართველი
ხალხის მატიანეს
თითქოს გულში ასი დანა
მიტრიალეს:
ის შეება ათას ვერაგს
და აბჯარი შეადგენდა
იმის ჰერანგს.
თანაც ჰქმნიდა ასეთ
მაღალ ხელოვნებას,
სთავაზობდა სულს
დახვეწილ გემოვნებას“.

**ნოდარ კოჭლაშვილი.**

ერთი სიტყვით, როსა კაბარკასის ტელეფონის ზარის მოლოდინში ვერც ვისადილე და ვერც კითხვას დავუდე გული. ნაშუადღევის ორ საათზე ჯოჯოხეთურად ცხელოდა, ყურის წამღებად ჭრიჭინებდნენ ჭრიჭინობელები. მზე ფანჯრებს ისე აცხუნებდა, ჰამაკს ადგილი შევუცვალე. რაც თავი მახსოვს, სულ სიცხეა ხოლმე ჩემი დაბადების დღეს და თითქოს მივეჩვიე კიდეც ამას, მაგრამ ახლა განსაკუთრებულად გაუსაძლისი პაპანაქება იდგა. ვბორგავდი, ვერ ვისვენებდი, სული მეხუთებოდა. ოთხ საათზე მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, დასამშვიდებლად იოჰან სებასტიან ბახის ვიოლონჩელისთვის შექმნილი ექვსი სიუიტა ჩავრთე პაბლო კაზალსის შესრულებით. ჩემი აზრით, თუ რამ არის მუსიკაში ბრძნული, ეს სიუიტებია, მაგრამ რატომღაც ახლა დამშვიდების ნაცვლად, პირიქით, უმძიმეს პროსტრაციაში ჩამაგდეს. მეორე სიუიტაზევე — რომელიც ცოტა შფოთიანი მეჩვენება — მომერია რული. ძილბურანში წასულს მესმოდა ვიოლონჩელის მუდარას როგორ ერთვოდა პორტიდან გამავალი გემის გაბმული გუგუნი. ტელეფონის ზარმა თითქმის მაშინვე გამომაღვიძა, როსა კაბარკასის ჟღრიალა ხმამ სწრაფად დამაბრუნა ცხადში. „უმართლებთ გიჟებს, — თქვა მან. — გიპოვე ვარიკელა, შენ რომ გინდოდა, იმაზე უკეთესი. მაგრამ მეშინია, ხათაბალაში არ გავეხვიოთ: გოგონას სულ ახლახან შეუსრულდა თოთხმეტი წელი“. „არა უშავს, საფენებს გამოვუცვლი“, — ვიხუმრე მე, თუმცა შევატყვე, როსა ბოლომდე არ ამბობდა სათქმელს. შენ რა გენაღვლება, — თქვა მან ცოტაოდენი დუმილის შემდეგ. — სამი წლის ციხეს ვინ ამაცილებს, ვინ გადამიხდის?

არავის არასდროს არაფერი გადაუხდია, მით უმეტეს, როსას. ის ხომ თავის მოსავალს სწორედ მცირეწლოვანთა წყალობით იღებდა. მისი დუქნის მთავარი საქონელი ხომ პატარა გოგონები იყვნენ. ისინი ხომ მასთან დგამდნენ პირველ ნაბიჯებს, როსაც მანამ წურავდა მათ, სანამ გოგონები არ გადადიოდნენ დიპლომირებული მეძავების უფრო მკაცრ ცხოვრების წესზე შავი ეუფემიას ცნობილ ბორდელში. როსა კაბარკასს არასოდეს გადაუხდია ჯარიმა, მისი სახლი ხომ არკადიას წარმოადგენდა აქაურ ხელისუფალთათვის, დაწყებული გუბერნატორიდან დამთავრებული მერიის კანცელარიის ვირთხამდე. ჰოდა, ძნელი წარმოსადგენი იყო ამ დაწესებულების დიასახლისს ძალაუფლება არ ჰყოფნოდა თავისდა სასარგებლოდ დაერღვია კანონი. ასე რომ, მისი დაგვიანებული ვითომ წუხილი, ეტყობა, მხოლოდ ერთი ჩანაფიქრისთვის იყო გამიზნული: რაც შეიძლება მეტი ფასი დაეძრო თავისი გარჯისთვის და მომსახურებისთვის, რაც უფრო ძნელია, მით უფრო ძვირია. ყველაფერი მოგვარდა ორი პესოს დამატებით, მოვილაპარაკეთ, ზუსტად ათ საათზე მე უნდა მივიდე როსასთან სახლში და წინასწარ გადავიხადო ნაღდი ფული ხუთი პესო. ოღონდ არავითარი ადრე მისვლა, თუნდაც ერთი წუთით ადრე! გოგონამ ჯერ უმცროს ძმებს უნდა აჭამოს, დააძინოს, მერე რევმატიზმიან დედას მიხედოს, ლოგინში ჩააწვინოს.

რჩებოდა ოთხი საათი. იმისდამიხედვით, როგორ გადიოდა დრო, გული მწველი ქაფით მევსებოდა, სუნთქვა მიჭირდა. ვიფიქრე, მოვემზადები, გამოვეწყობი და ამასობაში დროც გავა-მეთქი, მაგრამ ამაოდ გავისარჯე, რა თქმა უნდა, დიდი ვერაფერი დრო ვერ მოვიგე, თუმცა ნელა, აუჩქარებლად ვაკეთებდი ყველაფერს, დამიანამაც აღნიშნა, სენიორ ეპისკოპოსივით იცვამთო. წვერი გავიპარსე, მერე საშხაპეში შევედი, იქ ცოტა ხანს მომიწია დაცდა, ვიდრე მზეზე გაცხელებული წყალი წამოვიდოდა მილში... სანამ ტანს ვიმშრალებდი, ისევ გავოფლიანდი. დავიწყე ჩაცმა დღევანდელი სალამოსა და ვითარების შესაფერისად. ჩავიცვი საყელოგახამებული ლურჯზოლებიანი პერანგი, თეთრი ტილოს პიჯაკი, ცინკის მათეთრებლით გაახლებული შტიბლეტი, ყელზე ჩინური აბრეშუმის ჰალსტუხი გავინასკვე და ლაცკანის ღილკილოზე ძეწკვით დავიმაგრე ოქროს საათი. ბოლოს კი შარვლის ტოტები შევიკეცე შიგნით, რათა არავის შეემჩნია, ერთი მტკაველით რომ დავპატარავდი.

წუწურაქს მეძახიან, ეს იმიტომ, რომ არ იციან, წარმოდგენაც კი არა აქვთ, რა ღარიბი ვარ. ეს ღამე კი მართლაც ძვირი დამიჯდება, ჩემი ჯიბე ვერ გაწვდება. საწოლქვეშ სკივრში ფული მაქვს გადანახული. ორი პესო ოთახის ქირისთვის მჭირდება, ოთხი — საროსკიპოს პატრონისთვის, სამი — გოგონასთვის და ხუთიც ჩემთვის საუზმისა და სხვადასხვა წვრილმანისთვის. სხვანაირად რომ ვთქვა, ის თოთხმეტი პესო გავხარჯე, გაზეთმა რომ გადამიხადა საკვირაო წერილებში. ფული ქამარზე მიკერებულ საიდუმლო ჯიბეში შევინახე და ოდეკოლონი „აგუა დე ფლორიდა“ მივისხურე. უცებ შიშმა ამიტანა, მაგრამ რვა საათის ზარის პირველსავე ჩამოკვრაზე ოფლად გახვითქული, სიბნელეში ხელის ცეცებით დავეშვი კიბეზე და გავედი დიდი მოლოდინების კაშკაშა ღამეში.

ქუჩას შუქი მოეფინა. პროსპექტზე ცარიელ ტაქსებს შორის ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი კაცები ხმამაღლა კამათობდნენ ფეხბურთზე. აყვავებულ ოლეანდრების ხეივანში სასულე ორკესტრი ვალსს უკრავდა. ერთმა მეძავმა ქალმა, ერთ-ერთმა იმათგანმა, სარფიან, სოლიდურ კლიენტებზე რომ ნადირობენ ნოტარიუსების ქუჩაზე, როგორც ყოველთვის, ახლაც მთხოვა სიგარეტი და მეც, როგორც ყოველთვის, ახლაც ვუპასუხე: სიგარეტს აღარ ვეწევი ოცდაცამეტი წელიწადი, ორი თვე და ჩვიდმეტი დღეა. „ოქროს ზანზალაკთან“ გავლისას განათებულ ვიტრინაში საკუთარი თავი დავინახე არა ისეთი, როგორსაც შევიგრძნობდი, არამედ ბებერი და საძაგლად ჩაცმული.

ათი საათი ჯერ არ იყო. ტაქსი გავაჩერე და ვთხოვე სასაფლაოსკენ წავეყვანე, არ მინდოდა მიმხვდარიყო, სადაც მივდიოდი სინამდვილეში. მძღოლმა სარკიდან შემომხედა და მხიარულად მითხრა: „ნუ მაშინებთ, ბრძენო ბატონო. ღმერთმა ქნას, მეც ისეთივე ცოცხალი ვიყო, როგორც თქვენა ხართ“. რადგან ხურდა არ ჰქონდა, სასაფლაოსთან ერთად გადმოვედით მანქანიდან. მძღოლი იქვე სასაუზმე „სამარეში“ შევიდა, სადაც მოქეიფე ლოთები თავ-თავიანთ ძვირფას მიცვალებულებს დასტიროდნენ მუდამდღე. მძღოლმა ძალზე სერიოზულად მითხრა: „ფრთხილად იყავით, დონ როსა კაბარკასის სახლი ისეთი აღარ არის, რაც ძველად იყო“. მადლობის მეტი რა მეთქმოდა. არ არსებობს საიდუმლო, კოლუმბის პროსპექტის ტაქსის მძღოლმა არ იცოდეს!

შევედი ღარიბთა კვარტალში, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა იმასთან, ძველად, ჩემს დროს რომ მინახავს. მართალია, იგივე ფართო, გახურებული, ქვიშიანი ქუჩები, პირთამდე კარღია სახლები, გაურანდავი ფიცრებით შეკოწიწებული კედლები, პალმის ტოტების სახურავები და ღორღით დაფარული პატარა შიდა ეზოები ისევ ვნახე, მაგრამ ისეთი ხმაური და გნიასი იდგა, ყურთასმენა აღარ იყო. აქაურმა მცხოვრებლებმა დიდი ხანია დაივიწყეს, რა არის სიჩუმე და სიმშვიდე. სახლებში მხიარულების გუგუნი იდგა, მუსიკოსები თავიანთი დოლებითა და რკინის თეფშებით აზანზარებდნენ ქოხმახებს. ყველა მსურველს შეეძლო ორმოცდაათ სენტავოდ შესულიყო ნებისმიერ სახლში საცეკვაოდ, ან სულაც კარწინ ეცეკვა დავარდნამდე. მივდიოდი და ვფიქრობდი, ნეტავ, მიწა რატომ არ გამისკდება და არ ჩავვარდები შიგ ამ ჩემი ქარაფშუტული პიჯაკიანად-მეთქი, მაგრამ არავის ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია ერთ-ერთი სახლის წინ მთვლემარე ჩასუქებული მულატი კაცის გარდა.

— გწყალობდეს ღმერთი, პატივცემულო, — გულითადად მომესალმა ის, — ბედნიერ ჟიმაობას გისურვებ.

აქაც მადლობის მეტი რა მეთქმოდა. აღმართზე ასვლისას სამჯერ მომიწია გაჩერება სულის მოსათქმელად. მშვენიერი სანახავი იყო ჰორიზონტზე ამოწვერილი უზარმაზარი სპილენძისფერი მთვარე. უცებ მუცელში რაღაცამ მომიარა, შიშმა ამიტანა, მაგრამ მალევე გადამიარა. ქუჩის ბოლოში იწყებოდა ხეხილის ბაღი, სწორედ აქ იყო როსა კაბარკასის დუქანი.

საღლა იყო ის როსა კაბარკასი, ყველაზე ფრთხილი და ამიტომაც ყველაზე ცნობილი, უზარმაზარი ქალი როსა-სან. წლების წინათ გვინდოდა მისთვის მიგვეცა სახანძრო რაზმის სერჟანტის ჩინი აღნაგობის და მოქნილობის გამო, რითაც ყველასგან გამოირჩეოდა სასიყვარულო ხანძრებისას თავის მრევლში. მარტოობამ დააჩიავა, კანი დაუნაოჭა, ხმაც ისე დაუწვრილა, ბებერ გოგონას დაემსგავსა. ძველი როსასგან მხოლოდ დიდებული კბილებიღა შემორჩენოდა. ერთი კბილი საკეკლუცოდ ოქროსი ჰქონდა, ქალს მძიმე ძაძები ეცვა, ქმარს გლოვობდა. ორმოცდაათი წელი იცხოვრეს ერთად. ძაძებს ავსებდა შავი სამგლოვიარო ქუდი, ერთადერთი ვაჟიშვილის დაკარგვის გამო რომ ეხურა. სიცოცხლის ნიშატი მხოლოდ თვალებში ეტყობოდა, გამჭვირვალე, მკაცრ თვალებში და მივხვდი, არსებითად იგი არ შეცვლილიყო.

დუქანში ნათურა ბჟუტავდა, თაროებზე არაფერი ეწყო, ყველამ იცოდა, როსას ეს სავაჭრო თავისი ხელობის შესანიღბად რომ სჭირდებოდა. ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ ამბობდა. მე რომ შევედი, როსა კლიენტს აცილებდა კარამდე. არ ვიცი, მართლა ვერ მიცნო, თუ თავი მოიკატუნა სხვის დასანახად. სანამ ის სტუმარს აცილებდა, მე სკამზე ჩამოვჯექი. შევეცადე აღმედგინა წარსული, როცა ორივენი, მეც და ისიც, ახალგაზრდები და ფერხორცით სავსენი ვიყავით, როსამ რამდენჯერმე თვითონ მიხსნა ძნელ წუთებში. ეტყობა, როსა ფიქრებს მიმიხვდა, მოტრიალდა და ისე მომაშტერდა, შევიშმუშნე. „წლები არ დაგტყობია“, — ოხვრას ნაღველი ამოაყოლა. მინდოდა რაღაც ქათინაურისმაგვარი მეთქვა: „შენ დაგტყობია, მაგრამ გიხდება“. „მე სერიოზულად გეუბნები, — თქვა მან. — ჯაგლაგი ცხენის ფიზიონომია გამოგცოცხლებია“. „ალბათ იმიტომ, რომ სხვა სახლებში ვძოვ ბალახს“, — ვუკბინე მე. შეკრთა. „როგორც მახსოვს, საუკეთესო ურო გქონდა, იშვიათი. ახლა როგორია?!“ სიტყვა ბანზე ავუგდე: „ერთადერთი, რაც ჩვენ შემდეგ შეიცვალა, ჩემი უკანალია, რომელიც გამუდმებით მეწვის“. მან სწრაფად დასვა დიაგნოზი: „იშვიათად იყენებ“. „მე მას ვიყენებ მხოლოდ იმისთვის, რისთვისაც ღმერთმა შექმნა, — ვუპასუხე მე. — მაგრამ მართალი რომ ვთქვა, დიდი ხნის წინათ მაწუხებდა და თანაც სავსე მთვარის დროს“. როსამ ხელი მოაფათურა და მწვანე საცხიანი პატარა კოლოფი გამოაძვრინა საიდანღაც. „გოგონას უთხარი, თითით აი, ასე წაგისვას“ — და თვალსაჩინოებისთვის უწმაწურად აამოძრავა საჩვენებელი თითი. „ღმერთის წყალობით ჯერ არ მჭირდება შენი ექიმბაშობა“, — ვუთხარი მე. „აჰ, მაესტრო, გთხოვთ, მაპატიოთ“. და საქმეზე გადავიდა.




„გოგონა ოთახშია ათი საათიდან, — თქვა მან. — ლამაზია, სუფთა, ზრდილობიანი, მაგრამ ძალზე შეშინებულია. მისი მეგობარი გოგო ერთ გაირელ მტვირთავს გაკიდებია, ორი საათი სისხლისგან იცლებოდა თურმე. ამ გაირელებს ხომ ისეთი სახელი აქვთ, დედალ ვირებს შავ დღეს აყენებენ. ჰო, საბრალო გოგო, ვითომ საქმე არ ჰყოფნიდეს, ფაბრიკაში მუშაობს, ღილებს აკერებს“. ეგ რა მძიმე სამუშაოა-მეთქი. „კაცები ფიქრობთ ასე. ქვის მტვრევა სჯობს ამ საქმეს“. და კიდევ გამოტყდა, გოგონას ბრომიდიანი კატაბალახას წვეთები დავალევინე და ახლა სძინავსო. ამ წუწუნს ერთი მიზანი აქვს, ფასი ასწიოს, — გავიფიქრე მე. მან კი თქვა, ჩემი სიტყვა ოქროა, წესს არ შევცვლი, მომსახურების ფასი ცალკეა, თანაც წკრიალა მონეტა და თანაც წინასწარო, მაშ.



როსას გავყევი, ეზო გავიარეთ, გული მომილბა მისი მოჩვარული კანის დანახვაზე და იმაზეც, რა გაჭირვებით დააბიჯებდა უბრალო ბამბის წინდებში გამოხვეულ დასიებულ ფეხებს.

სავსე მთვარე შუა ცაზე დაეკიდა და ქვეყანა თითქოს მწვანე წყლებში ჩაიძირაო. მის სახლთან მუსიკოსებისთვის პალმის ტოტები დაეფინათ, ქალაქის მამებმა მოიწვიეს ისინი. გარშემო უამრავი ტყავგადაკრული სკამი იდგა, ჰამაკებიც გაეკიდათ. ეზოში, რომლის გადაღმაც ხეხილის ბაღი იყო გაშენებული, შეუთეთრებელი აგურის შუშაბანდიანი სახლი იდგა. სახლს ექვსი საძინებელი ოთახი და ბადეაკრული ფანჯრები ჰქონდა. ერთადერთი დაკავებული ოთახი ნახევრად სიბნელეში ჩაძირულიყო. რადიოში ტონია — ზანგი ქალი მღეროდა სიყვარულზე. როსა კაბარკასმა სული მოითქვა: „ბოლერო სიცოცხლეა“.

იხ. მე-14 გვ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 298-299.

**(მეცამეტე გვერდიდან)**

# ჩემი მოწყენილი მეძავების გახსენებისას

დავეთანხმე, მაგრამ დღემდე ვერ გადამეწყვიტა დამეწერა. კარს ხელი ჰკრა, ოთახში შესული არ იყო, რომ მობრუნდა, „ისევ სძინავს. სჯობს დააცადო გამოძინება, იძინოს, რამდენსაც მისი სხეული ითხოვს. შენი ღამე უფრო გრძელია, იმისი მოკლე“. დავიბენი: „კი მაგრამ, შენი აზრით, რა უნდა გავაკეთო?“ „თვითონ მიხვდები, — მიპასუხა მან ასეთი ვითარებისთვის შეუფერებელი სიმშვიდით. — ბრძენი ტყუილადა ხარ?“ შებრუნდა და დამტოვა შიშის ზაფრასთან პირისპირ.

გაქცევას აზრი არ ჰქონდა, ოთახში შევედი და ლამის გული ამომვარდა მკერდიდან, დავინახე დედიშობილა მძინარე გოგო უზარმაზარ სხვის საწოლში. გვერდზე იწვა, კარისკენ სახემოქცეული. ჭერიდან ჩახჩახა შუქი დაჰნათოდა და მის სხეულზე ყოველ წვრილმანს გარკვევით აჩენდა. საწოლის კიდეზე ჩამოვჯექი, მონუსხული შევაცქერდი. ხუთივე გრძნობით ვისრუტავდი მის სურნელს. შავგვრემანი იყო, თბილი, ეტყობა, დაბანეს, გაალამაზეს თხემიდან ნაზი ღინღლით დაფარულ ბოქვენამდე. თმა დაუხვევიათ, ხელ-ფეხზე ფრჩხილები შეუფერადებიათ, მაგრამ მოთაფლისფრო კანი კი ქარდაკრული, აქერცლილი და მოუვლელი ჰქონდა. ძუძუები ჰა და ჰა საცაა დაეტყობოდა, ახლა კი ჯერჯერობით ბიჭისას მიუგავდა, თუმცა იგრძნობოდა მზადყოფნა, ამოეხეთქა დაფარული ენერგია. ფეხები მართლაც საუკეთესო ჰქონდა. ალბათ მსუბუქად დადის, გრძელი და მგრძნობიარე თითები აქვს. ხელებზეც. ჩართული ვენტილატორის ქვეშაც კი ოფლის წვეთები უბრწყინავდა სხეულზე. შელამაზებულზე აუტანელი სიცხე ჩამოდგა. ბრინჯის პუდრის სქელი ფენის ქვეშ ძნელი იყო მისი სახის გარჩევა, გვარიანად შეეთითხნათ. ორი შევარდისფერებული ლაქა, დაწებებული წამწამები, გამუქებული წარბები, შოკოლადისფრად გათხიპნილი ტუჩები — მძიმე სანახავი იყო, მაგრამ კოსმეტიკის სქელი ფენის ქვეშ მაინც ჩანდა ამაყად გამოკვეთილი ცხვირი და ლამაზი ტუჩ-პირი. „ნაზი, ყოჩაღი ბოჩოლა“, — გავიფიქრე მე.

თერთმეტ საათზე სააბაზანოში შევედი ჩემს საქმეზე. გოგონას იქ თავისი უბადრუკი ტანსაცმელი დაეტოვებინა, მაგრამ სკამზე ისე დაელაგებინა, თითქოს დიდი ძვირფასი სამოსი ყოფილიყო: პეპლებმოხატული სინთეზური ქსოვილის კაბა, ყვითელი მიტკლის ქვედა საცვალი, თასმებიანი სანდლები. იქვე იდო იაფფასიანი სამაჯური და ღვთისმშობლის გამოსახულებიანი მედალიონი. მე პერანგი, პიჯაკი გავიხადე და საკიდზე ისე დავკიდე, არ დამჭმუჭნოდა. მოვშარდე უნიტაზში, რომელიც ჯაჭვიანი წყლის ავზის ქვეშ იდგა, მოვშარდე დამჯდარმა, როგორც ფლორინა დე დიოსმა მასწავლა პატარაობაში, რათა უნიტაზის კიდეები არ დასველებულიყო. რა დასამალია და, ნაკადი ლარივით იყო დაჭიმული, როგორც ველური ულაყისა. სააბაზანოდან გასვლამდე ონკანს ზემოთ დაკიდულ სარკეში ჩავიხედე. ცხენის სიფათი, რომელიც სარკიდან შემომეფეთა, არც ისე უსულო და უსიცოცხლო ჩანდა, მაგრამ კუშტი კი იყო. თავზე აქაიქ შესაბრალისად შემრჩენოდა რამდენიმე ღერი თმა, ოდესღაც კი ფაფარივით მედო.

— საზიზღრობაა, — ვუთხარი ორეულს. — რა ვქნა, თუ არ გიყვარვარ. აი, დარდი!

გოგო რომ არ გამეღვიძებინა, გახდილი ფრთხილად ჩამოვჯექი საწოლზე და წითელი შუქის სიცრუეზე მიჩვეული თვალებით მტკაველ-მტკაველ გადავჩხრიკე მისი სხეული. საჩვენებელი თითი ჩამოვაყოლე ოფლით დანოტიავებულ კეფაზე და ისიც ჟრჟოლით გამომეპასუხა, ჩემკენ შემობრუნდა, რაღაც წაიბურტყუნა და თავისი სუნთქვის მომწარო სითბო შემომახვია. ცერა და საჩვენებელი თითი ოდნავ მოვუჭირე ცხვირზე. ის შეირხა, თავი გასწია, გადაბრუნდა, მაგრამ არ გაუღვიძია. უცებ რაღაც მეტაკა თითქოს, მოვინდომე, მუხლით მისი ფეხები გამეწია გან-განზე, მაგრამ მძინარე გოგონამ ფეხები უფრო მაგრად მიატყუპა. ყურში წავუმღერე: „დელგადინას საწოლთან ანგელოზები ჩამომსხდარან“. ოდნავ მოდუნდა, ცხელმა დენმა დამიარა ძარღვებში და ჩემმა დინჯმა, საქმეს მოცილებულმა მხეცმაც გამოიღვიძა ხანგრძლივი ძილის მერე.

დელგადინა, ჩემო სულიკო, ვევედრებოდი სურვილისგან ცეცხლწაკიდებული. დელგადინა. მან ნაღვლიანად ამოისლუკუნა, ჩემს ფეხებს დაუსხლტა, ზურგი შემომაქცია, მოიკუნტა, ლოკოკინასავით ჩაიმალა თითქოს ნიჟარაში. კატაბალახას ნაყენმა, ეტყობა, კარგად იმოქმედა მასზეც და ჩემზეც, რადგან არაფერი მომხდარა ჩვენს შორის. არა უშავს, რატომ გავაღვიძო, როცა მშვენივრად ვგრძნობ რა არარაობა ვარ, როცა ნაღველი მაწევს გულზე და თანაც მოლუსკივით ცივი ვარ.

სამრეკლოზე ღამის თორმეტი საათი ჩამოჰკრეს მკვეთრად და შეუვალად. დაიწყო ახალი დღე, 29 აგვისტო, დღე წმინდა მოწამისა ხუან ბაუტისტასი. ვიღაცა ხმამაღლა ტიროდა ქუჩაში. ყურადღებას არავინ აქცევდა. ვილოცე, ღმერთს შევთხოვე შეწევნა ქუჩაში მოტირალის სახელითაც, თუკი რა თქმა უნდა, სჭირდებოდა, და ჩემი სახელითაც ყველა მონიჭებული სიკეთისთვის. „თავს ნუ მოიტყუებთ, ნუ იფიქრებთ, რომ ის, რასაც ელოდებით და რისი იმედიც გაქვთ, უფრო დიდხანს გაგრძელდება, ვიდრე მას ხედავენ თქვენი თვალები“ გონებამ ამოიკვნესა, ისიც შევავედრე ღმერთს: „იყოს როგორც არის“. მერე რადიოც გამოვრთე და შუქიც. იქნებ დავიძინო.

რიჟრაჟზევე გამომეღვიძა, არ მახსოვდა, სად ვიყავი. გოგოს ისევ ეძინა, ჩემკენ ზურგშექცეულს, მოკუნტულს, როგორც ნაყოფს დედის საშოში. აუხსნელი, ბუნდოვანი შეგრძნება დამეუფლა. რატომღაც მომეჩვენა, სიბნელეში ღამით როგორ წამოდგა, გავიგონე სააბაზანოში ჩაშვებული წყლის შხუილი, მაგრამ იქნებ დამესიზმრა. რაღაც ახალი გაჩნდა ჩემში, არასოდეს მიმიმართავს მაცდუნებელი ხრიკებისთვის, ერთი ღამის საყვარელს ალალბედზე ვირჩევდი, უფრო ფასის მიხედვით, ვიდრე მისი წლისა. უსიყვარულო სიყვარულობანას ვთამაშობდით უმეტეს შემთხვევაში ნახევრად ჩაცმულები და ჩქარ-ჩქარა, რათა ერთმანეთი უკეთესი მოგვჩვენებოდა, ვიდრე სინამდვილეში ვიყავით. იმ ღამით მე აღმოვაჩინე დაუჯერებელი რამ, უსაზღვრო სიტკბოება — შევცქეროდი მძინარე ქალწულის სხეულს და არც სირცხვილი მაწვალებდა და არც სურვილი.



ხუთ საათზე ავდექი შეფიქრიანებული: ჩემი საკვირაო სტატია თორმეტ საათამდე უნდა იდოს რედაქციაში, მაგიდაზე. დაწესებულ დროზე გავითავისუფლე კუჭ-ნაწლავი — სავსე მთვარე იყო და ვგრძნობდი წვას — და როცა წყლის ჩასაშვები ჯაჭვი ჩამოვქაჩე, ასე მეგონა, მთელი ჩემი წარსული წყენა თუ ტკივილი კანალიზაციას გავატანე-მეთქი. გამოცოცხლებული და ჩაცმული დავბრუნდი ოთახში. გოგონას გემრიელად ეძინა წყნარი განთიადის შუქზე. საწოლის გარდიგარდმო იწვა ხელებგადაშლილი თავისი სიქალწულის სრულუფლებიანი დიასახლისი. „გფარავდეს ღმერთი“, — დავლოცე. ფული რაც მქონდა ჩემიც და მისთვის განკუთვნილიც, ბალიშზე დავუდევი, შუბლზე ვაკოცე, სამუდამოდ გამოვემშვიდობე. სახლი, როგორც ყველა ბორდელი განთიადისას, ახლოს იყო სამოთხესთან. ბაღში გამავალი კარიდან გავედი, რათა არავის გადავყროდი. ქუჩაში, მზეზე, კვლავ ვიგრძენი ჩემი ოთხმოცდაათწლოვანი ტვირთი და დავიწყე სიკვდილამდე დარჩენილი ღამეული წუთებისა თუ წამების გამოთვლა.

თარგმნა
**ელზა ახვლედიანმა**

**(გაგრძელება იქნება)**

**ძველი გაზეთებიდან**

# „შენ დაგვასწარ მრავალ ამ დღეს...“

**გაზეთი „დროება“ 1877 წლის 26 იანვარს თავის მკითხველ საზოგადოებას აწვდის „საახალწლო ლოცვას“: „ღმერთმა მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოს და დაგილამოს. შენს ცოლ-შვილში მუდამ სიხარული ნუ მოგეშალოს. რაცა გყავდეს და რაც გეყოლება ისინიც გიცოცხლოს და ჩვენი სიყვარული ჩაუნერგოს მაღალმა ღმერთმა და შენი წყალობა საკულაოდაც ნუ მოგვიშალოს“.**

საყმაწვილო ჟურნალ **„ჯეჯილში“** 1892 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებულია ს. დათეშაძისაგან ჩაწერილი რაჭული ახალწლის მილოცვის ტექსტი. აი, ისიც: **„ვაჟო, გადღეგრძელოს ღმერთმა, გაცოცხლოს! დაგიცვას ღმერთმა შიშთა შიმშილისაგან, უხვთოდ სიკვდილისაგან, ავი კაცის ვალისაგან, დედა-კაცის შარისაგან, აგორებული ქვისაგან, აღელვებული წყლისაგან, ავი ზვავისა და დავისაგან“.**

და ბოლოს, **„ცნობის ფურცელში“** 1899 წლის 13 იანვარს „სამაჩაბლოელის“ ფსევდონიმით დაბეჭდილია ვრცელი წერილი დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ქართველების ზნე-ჩვეულებაზე „შობა-ახალწელიწად ნათლიღებას“. გადმოგცემთ შემოკლებით: შობის წინა დღით შეემზადებიან. დაჰკვლენ ღორს, ინდაურს, ქათამს... წინა დღით ამათ მოამზადებენ და მეორე დღისთვის შობის წირვის გამოსვლამდის იმარხულებენ, თუმცა წირვაზე არც კი წავლენ ხოლმე. რაკი წირვა გამოვა, მერე დასხდებიან სახლში და პირს აიხსნიან, ესე იგი გაიხსნილებენ. სახლის უფროსი დაილოცება ღვინით: **„ღმერთო და შობის მობრძანების მადლო და ძალო, შენ დაგვასწარი მრავალს ამ დღეს“...** მერე ამ მიწურულ კვირაში დაიწყებენ მზადებას ახალ წლისთვის. ყველა ცდილობს, რომ ახალი შეიკეროს რაიმე და ფულებით დაესწროს, რომ დაეკვებოს და მთელი წელიწადი ფულიანმა იაროს და ახალ ტანისამოსში... ამ კვირაში, ახალი წლის წინა დღეს უეჭველად ტყეში წავლენ და მარხილით შეშასა და ფიჩხს მოიტანენ ხოლმე, რომელსაც სამი დღის მანძილზე არ დასცლიან. აცხობენ პურს ქალები, ცომისაგან აცხობენ... ბედის პურებს. ბედის პურები სათითაოდ უნდა გამოცხვეს, რამდენი სულიც არის ოჯახში. თუ რომელიმე ბედის პური გასუქდა, მის პატრონს უხარია, კარგად გავატარებ მომავალ წელსო. თუ ჩავარდა თონეში ბედის პური, მისი პატრონი გულგახეთქილია და ვუი-ვუის იძახის... საღამოთი ყველა შინ შეიკრიბება და აბრამიანს მოამზადებენ, ცხრილზე დაალაგებენ ნამცხვრებს, გოზინაყს, ჩურჩხელებს, ხილეულს, პურჩაყრილ შარბათს და ღორისთავს, წმიდა სანთლებს. დაანთებენ ცეცხლს და ძილს მიეცემიან. მამლის ყივილისას წამოდგება ოჯახის უფროსი მეკვლე, აანთებს სანთლებს აბრამიანზე, დაიწერს პირჯვარს, გამოიტანს აბრამიანს, მივა ფიჩხით დადებულ მარხილთან, მოანტვრევს ფოთლიან ფიჩხს და გასწევს სახლის კარებისაკენ (ზოგ სოფელში სახლს უვლიან გარშემოძ და მიულოცებს: **„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზებისაო“.** იტყვის სამჯერ და რა შევა სახლში, წალმა შემოტრიალდება სამჯერ, მიულოცავს სახლში მყოფთ, დააბერებს ყველას და ჩაჰყრის ცეცხლში მონტვრეულს ფიჩხს, რომელსაც შეუჩხიკინებს და რა აპრიალდება და ნაპერწკლებს ისვრის, მეკვლე გაიძახის: **„ამდენი ფური, კამეჩი, ღორი“...** მერე გამოიტანს... ხორბალს და გასწევს წყალისკენ და ბოსელ-საქათმისაკენ მისალოცად. წყალს მიულოცავს, ხორბალს ჩაყრის შიგ და ეტყვის: **„წყალო, შენგან მოველით მოწყალებას და მოსავლის მოყვანას, მომილოცნია ახალი წელიო“,** პირს დაიბანს და შევა ბოსელში, საქონელსაც მიულოცავს... მერე საქათმეს მიულოცავს... იმ დილითვე შემოვა გარედამ ვინმე მეკვლე და მოუკვლევს. მას ქვეშ დაუყრიან მარცვალს, გაუშლიან საფენს და დასვამენ ზედ. მიართმევენ... იგი დალოცავს და გარეთ გავა. ქალები ლხინსა მართავენ ამ დღეს და დაირა მუზიკაზედ თამაშობენ ლეკურსა და რუსულ ტანცაურს.

**ვახტანგ ცოტნიაშვილი.**

ჩანართზე მუშაობდნენ:
ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.
მხატვარი კარლო ფაჩულია.



◎ კაცია და გუნება

# ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

**სულ რამდენიმე საათი და, შემობრძანდება წელი ახალი – 2006. ამ ღამის დადგომას ბევრი სიხარულით ელის. არიან გამონაკლისებიც, გაჭირვებულებიც, მაგრამ, ამჯერად, საახალწლო განწყობას არ გაგიფუჭებთ და ჩვენი საზოგადოების იმ კატეგორიაზე გესაუბრებით, რომელსაც პრობლემები ნამდვილად არ უდგას. ესენი ჩვენი პარლამენტარები არიან. სჯერათ თუ არა მეკვლის, სად შეხვდებიან ახალ წელს, ვისგან ელიან საჩუქრებს, ამ და სხვა კითხვებით რამდენიმე მათგანს მივმართეთ.**

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი მიხეილ მაჭავარიანი** ახალი წლის შეხვედრას სახლში აპირებს, თუმცა მისი გეგმები მოულოდნელმა სიხარულმა შეიძლება უცბად დაამსხვრიოს. გამო-



რიცხული არ არის, ახალ წელს რომელიმე სამედიცინო დაწესებულების ფოიეში შეხვდეს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმ პატარა ფერიაზე, რომელიც მზის სინათლეს დღე-დღეზე იხილავს. თუ მომავალმა ქალბატონმა (რომლის სახელსაც ცრუ რწმენის გამო მამა არ გვიმხელს) ოჯახის წევრებს საახალწლო დროსტარება აცალა, ისინი ქუჩაში მოზეიმეებს აივნიდან შეუერთდებიან, მაჭავარიანები რუსთაველის გამზირზე ცხოვრობენ და, უნდათ თუ არა, ამ პროცესის მონაწილენი მაინც ხდებიან. იხსენებს, რომ ასე ხდებოდა მის ბავშვობაშიც, ოღონდ მაშინ მთავრობა ქუჩაში მხოლოდ ალლუმებს აღნიშნავდა.

**რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავა** ამბობს, რომ ტრადიციების მიმდევარი კაცია, ცოტათი კონსერვატორიც კი და ახალი წლის მობრძანებას მისი ოჯახის ყველა წევრი სახლში ხვდება. შიშობს, რომ ახალი წლის ღამეს მეუღლესთან ერთად თბილისის ქუჩებში ვერ გაისეირნებს, რადგან მისი ორივე ქალიშვილი შვილებს სწორედ ბებიას და ბაბუას დაუტოვებენ. ივლიანე ხაინდრავას საყვარელი სადღეგრძელოც აქვს, რომელიც ახალი წლის ღამეს განსაკუთრებით აქტუალურია – „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს“. ხაინდრავების ოჯახში საჩუქრები ნაძვის ხესთან შობის ღამეს ჩნდება, ეს ტრადიცია ბატონ ივლიანეს ჯერ კიდევ მამისგან და ბიძისგან მოსდევს. საჩუქრებისთვის ძირითად ხარჯებსაც თავად გასცემს, მართალია, უსაჩუქროდ ოჯახში არავინ რჩება, თუმცა პატარებს ამ მხრივ უპირატესობა ენიჭებათ.

**უმრავლესობის წევრი ნაზი არონია** ახალ წელს ოჯახთან ერთად საკუთარ სახლში – ზუგდიდში შეხვდება. ახალი წლის შემობრძანებას მათი ოჯახი სანადირო თოფის გასროლით აღნიშნავს. შარშან თურმე ეს მისია თავის თავზე ქალბატონმა ნაზიმ იკისრა. ჩახმახს ხელიც გამოჰკრა და შეშინდა, როცა თოფის ძალამ უკან გადააგდო, იმედოვნებს, რომ წლეულს უკეთ გამოუვა. ოჯახს ტრადიციული მეკვლეც ჰყავს, მათი 22 წლის ვაჟი, რომელსაც, დედის თქმით, ფეხიც კარგი აქვს და გულიც, ამ მხრივ თურმე, მეგრულ ტრადიციაში ვაჟიშვილს უპირატესობა ჰქონია. ამ ყველაფრის შემდეგ ოჯახი ზუგდიდში ცენტრალურ მოედანზე საყოველთაო ზეიმს შეუერთდება. ქალბატონი ნაზი საახალწლო ნაძვისხეს სურვილებსაც ჩაუთქვამს, უპირველესად ეს კონფლიქტების მოგვარებაა, შემდეგ კი ახალგაზრდებისთვის მომავლის რწმენის დაბრუნებას ისურვებს.

**მემარჯვენე კოკა გუნცაძე** ახალ წელს ოჯახურ გარემოში შეხვდება, ამბობს, რომ განსაკუთრებული პომპეზურობისკენ მიდრეკილი არ არის. ახალი წლის ღამითაც ზომიერებასა და სიმშვიდეს აფასებს. გუნცაძეების ოჯახს ტრადიციული მეკვლეებიც ჰყავს – 10 წლის ძეთი და 8 წლის დათუნა.

**ყველასთვის კარგად ცნობილი ქალბატონი ელენე თევდორაძე** ახალ წელს სახლში შეხვდება. 4 იანვარს კი ამ დღესასწაულს ის-



რაელში აღნიშნავს. ამბობს, რომ შვილიშვილები წამოიზარდნენ და თურმე განუცხადეს – ახალ წელს მეგობრებთან ერთად უნდა შევხვდეთო. მაგრამ საყვარელმა ბებიამ ბავშვების დაყოლიება მოახერხა და 12 საათზე 2006 წლის შემობრძანებას ყველა ოჯახში შეხვდება.

„მისტიკური წამი, როცა ერთი წელი მეორეზე მიდის წლებად, დაე, იყოს ისეთი, როგორც იმ წუთს გვქონია“ – ამ სადღეგრძელოს **ლევან ბერძენიშვილი** ყო-



ველ ახალ წელს სვამს, თუმცა მანამდე საკმაოდ რთულ პროცედურას გადის, რომელიც ბოლო 4 წლის მანძილზე ჩამოუყალიბდა: ახალი წლის წინ არის ხანგრძლივ დიეტაზე, 31 დეკემბერს ღამის 12 საათიდან კი ამ პროცესს არღვევს, რითიც, თურმე, ძალიან ბედნიერია. საახალწლო ღამეს ქუჩაში გასვლას რაც შეეხება, ამბობს, რომ ორი არჩევანი აქვს: სახლში დარჩეს და საცივი მიირთვას, ან ქუჩაში გავიდეს და რუსლანას მოუსმინოს. ჯერჯერობით უპირატესობას საცივის ჭამას ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე ერი კლაპტონის კონცერტს გამართავს, მაშინ, შეიძლება გარეთაც გავიდეს.

ბერძენიშვილების ოჯახში მეკვლეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამისთვის სერიოზული ფიგურა უკვე შეარჩიეს. ამ ფუნქციას ბატონი ლევანის პატარა ნათლული, ფეხბურთელი გივიკო შალამბერიძე იკისრებს. ფეხბურთი შემთხვევით არ უხსენებია, მოდის მსოფლიო ჩემპიონატის წელი. ამბობს, რომ იქაც ღირსეულმა უნდა გაიმარჯვოს, კერძოდ, ბრაზილიამ და სწორედ ამიტომ მეკვლეც ბრაზილიის გულშემატკივარი უნდა ჰყავდეს. ლევან ბერძენიშვილი თავის სურვილებს საახალწლო ნაძვისხეს ჩაუთქვამს, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს ბედნიერი, არ გავიყინოთ ზამთარში და გვალვა არ იყოს ზაფხულში. ერთი სურვილი პრეზიდენტსაც შეეხება, რომ იგი იყოს ზომიერად თავქარიანი და წარმატებული.

**ლელა ხვადაგიანი**

**ხელისუფლების წარმომადგენლები მოსახლეობას მოუწოდებდნენ, ახალ წელს გარეთ, საზეიმო ვითარებაში შეხვდითო. თუმცა მათი უმრავლესობა ამ დღესასწაულს ოჯახურ გარემოში, სუფრასთან აღნიშნავს. როგორც ჩანს, ქართველი კაცი ტრადიციას ვერ ულალატებს და კონცერტზე დასწრებას საკუთარ ჭერქვეშ ყოფნას ამჯობინებს, მით უფრო, რომ ყველაფრის ნახვა ტელეეკრანზეც შეიძლება. ისე, კაცია და გუნება, ზოგს საცივის ჭამა ურჩევნია, ზოგსაც – ფეიერვერკის ცქერა. ჩვენ კი, თითოეულ თქვენგანს ახალ წელს მოგილოცავთ, სიკეთის მომტანი ყოფილიყოს იგი ყველასთვის!**

◎ ცხელ-ცხელი წკიპურტები

## გაუმარჯოს მასობრიობას!

**მასობრიობას თვით ყბადაღებული კომუნისტური რეჟიმის მთელი სამოცდაათი წლის მანძილზეც არ მიუღია ისეთი გაქანება, როგორიც ახლა, ნაციონალური ხელისუფლების დროს.**
ერთი ეგ არის, კოლექტიური მეურნეობა აღარსად შემოგვრჩა, თორემ, კოლექტიური ერთსულოვნება ყველგან ჰყავის: მასობრივია რეფორმები, მასობრივია უმუშევრობა. ის კი არა, უფასო სასადილოების გახსნამაც მასობრივი ხასიათი მიიღო. ან, აბა, რომელი მმართველობის დროს მოეწყო იმდენი შადრევანი, რამდენიც ახლა? ამით აღფრთოვანებული ადამიანები დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობენ მასობრივ სიცრუეში, მასობრივ ჩაშვებებში, მასობრივ ძალადობებში, მასობრივ ტრაბახში, ხალხის ქონების მასობრივ განიავებაში. ამის სულისჩამდგმელები ლაღადებენ, რომ ქვეყანაში ყველაფერი დიდებულად მიდის.

ჰოდა, გაუმარჯოს მასობრიობას!

## გაიღვიძეთ, ჭიპაშვილო, შვეიცარიაში ვართ!

**პენსიონერებისთვის რაღაც ათიოდე ლარი ვერ გამოინახა, ვინაიდან, ლადო ჭიპაშვილის თქმით, ჯერ შვეიცარია არა**



**ვართ.** სამაგიეროდ, პარლამენტმა თავის ბოლო სხდომაზე ერთბაშად 500-1000 ლარით გაიზარდა ხელფასები. როგორც ჩანს, ჯანმრთელობის მინისტრს ჩაეძინა, ამასობაში შვეიცარიას დავეწიეთ და გავუსწარით კიდეც.

იქნებ გამოჩნდეს ვინმე მადლიანი, ლადო ჭიპაშვილს მუჯლუგუნი წაჰკრას და გამოაღვიძოს?

* * *

## პრივატიზების მამამთავარს

შეიძლება, ათასობით
ადამიანს ბედს უცვლიდე,
ხვანჯარსაც არ ისწორებდე,
ამხანაგო ბენდუქიძე?

**გუჯა რთველაძე**




– რა მოგაქვს?
– დოვლათი, ბარაქა, ხვავი, მშვიდობა, ბედნიერება...
– მომეცი მანეთი და გაგატარებ!

ნახ. მ. აბაშიძისა

◎ გაზეთის კრიტიკამ გაჭრა

# მეორე ესკალატორი მუშაობს

**ხშირად უყვართ ხოლმე წაქილიკება, ახლა გაზეთებში რაც იწერება, რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინაო“. ჩემი დაკვირვებით, გამონაკლისებიც ხდება – წერილებს მარტო ავტორები კი არა, კრიტიკის ადრესატებიც კითხულობენ! კითხულობენ და, ზოგჯერ სათანადო ღონისძიებებსაც ახორციელებენ. ერთ კონკრეტულ მაგალითსაც დავიმოწმებ:**

ამა წლის 28 სექტემბერს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა რამდენიმე მწვავე კრიტიკული ინფორმაცია საერთო სათაურით „პატარა წკიპურტები დიდ თემებზე“. ერთ-ერთი ინფორმაცია – „ჩართეთ მეორე ესკალატორი“ თბილისის მეტროს სადგურების მუშაობას ეხებოდა. კერძოდ, იქ საუბარი იყო ვარკეთილის სადგურზე, სადაც საღამოობით, „პიკის საათებში“ უამრავი მგზავრი გროვდებოდა იმ „უბრალო“ მიზეზით, რომ ერთადერთი ამოსასვლელი ესკალატორი მუშაობდა ხოლმე.

კრიტიკული ინფორმაციის დაბეჭდვიდან დიდი დრო არ გასულა და... მეორე ესკალატორიც ჩართეს. აგერ, თითქმის სამი თვეა, იშვიათი გამონაკლისის გარდა დამატებითი ესკალატორი ყოველდღე მუშაობს, ვიცით, რომ ეს დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ მგზავრთა მომსახურების ინტერესებიდან გამომდინარე მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობა გარკვეულ დათმობაზე წავიდა. მადლობა მას ასეთი გულისხმიერებისათვის.

საბოლოოდ დასკვნა ასეთია: დღეს, ბრმაყრუობის საოცარ დროში, ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ვინც თავის მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებს – გაზეთსაც კითხულობს და კრიტიკულ შენიშვნებზეც რეაგირებს. მასმედიას კი, მოგეხსენებათ, სხვა დანიშნულება არა აქვს. და თუ თბილმეტროპოლიტენის ხელმძღვანელთა ამ გულისხმიერებას სხვა ორგანიზაციათა მესვეურებიც მიბაძავენ, ცხოვრება რამდენადმე გაიოლდება, ბევრი ნაკლოვანება, რაც ხელფეხს გვიბორკავს და გულ-მუცელს გვიმღვრევს, აღმოიფხვრება.

**ზურაბ ყურშიტაშვილი,**
**ვარკეთილის დასახლება.**

**ახალ წელს იმუშავებენ**
**საპატრულო სამსახური – 022,**
**სასწრაფო დახმარება – 03,**
**სახანძრო – 01,**
**სატელეფონო გამოძახება – 07,**
**05. სატელეფონო ცნობარი – 09.**

# ქრონოგრაფი

## 1 იანვარი, 1994 წელი



მექსიკის შტატ ჩიაპასში სახალხო აჯანყებამ იფეთქა. ემილიანო საპატის (1910-1917 წლების მექსიკის რევოლუციის გმირი) სახელობის ეროვნულ-გამათავისუფლებელ პარტიზანულ არმიას სათავეში ჩაუდგა ვინმე „კომანდატე მარკოსი“. მისი სახე არავის უნახავს. შავნიღბიანი მეთაური, მუდამ თავისი განუყრელი ჩიბუხით, აღმოჩნდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორი რაფაელ გილენი. თავისუფალ დროს, რევოლუციამდე გილენი ლექსებს თხზავდა, მემარჯვენე ოპოზიციონერებში მან იმხელა პოპულარობა მოიპოვა, რომ ლამის ლეგენდარული ჩე გევარაც დაჩრდილა. ორწლიანი ბრძოლის შემდეგ კონფლიქტი დარეგულირდა აჯანყებულთა სასარგებლოდ – შტატს გაფართოებული ავტონომია და ეკონომიკური შეღავათები მიანიჭეს.

## 2 იანვარი, 1649 წელი



„რეჩ პოპოლიტას“ წინაალმდეგ ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ 1648-1654 წლების ომის დროს, კიევში ზარ-ზეიმით შევიდა გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი, როგორც უკრაინის გამათავისუფლებელი. ჯერ კიდევ შემოდგომაზე გეტმანის ჯარებმა დალაშქრეს პოლონეთი. კაზაკებს შიშით ელოდნენ ვარშავაშიც, მაგრამ უკრაინელთა ლაშქარს სიცივემ და ეპიდემიამ დარია ხელი და ხმელნიცკი იძულებული შეიქნა კიევში დაბრუნებულიყო. სულ მალე პოლონელებმა თავად იგდეს ხელთ ინიციატივა. ბოგდან ხმელნიცკი იძულებული გახდა, დახმარებისთვის რუსეთის მეფის ალექსანდრე მიხეილის ძესათვის მიემართა. რუსების დახმარებით უკრაინელებმა პოლონელებთან წონასწორობა აღადგინეს.

## 3 იანვარი, 1501 წელი



ხვარაზმის დედაქალაქ გერატში (ამჟამად ავღანეთის ტერიტორიაზე) 60 წლის ასაკში გარდაიცვალა ნიზამადინ ალიშერ ნავოი – სახელმწიფო მოღვაწე, პოეტი და მოაზროვნე. როგორც პოეტმა, ნავოიმ უზარმაზარი შემოქმედება დაუტოვა ხალხს, მათ შორის მსოფლიოში აღიარებული პოემა „ლეილი და მაჯნუნი“. როგორც სახელმწიფო მოღვაწე, იგი გახლდათ თემურიდების დინასტიის სულთან ჰუსეინ ბაიკარის ვეზირი, შემდგომში მიიღო ემირის ტიტული. ნავოი ყოველმხრივ დახმარებას უწევდა მხატვრებს, მუსიკოსებს, ხელოვანთ.

## 4 იანვარი, 1908 წელი



პეტერბურგში მარინის თეატრის სცენაზე რუსული ბალეტის ვარსკვლავმა ანა პავლოვამ საქველმოქმედო კონცერტზე პირველად შეასრულა ბალეტმაისტერ მიხეილ ფოკინის მიერ სპეციალურად მისთვის დადგმული ქორეოგრაფიული მინიატურა „მომაკვდავი გედი“, ფრანგი კომპოზიტორის კამილია სენ-სანსის საორკესტრო სუიტის „ცხოველთა კარნავალის“ მეცამეტე ნაწილი. ამ შედევრით ანა პავლოვა იქცა რუსული საბალეტო ქორეოგრაფიის პოეტურ სიმბოლოდ.

## 5 იანვარი, 1776 წელი



ნიუ-ჰემპშირმა, ბრიტანეთის ცამეტი კოლონიიდან ერთ-ერთმა ჩრდილოეთ ამერიკაში, აშშ-ს შექმნის წლისთავზე გამოაცხადა დამოუკიდებლობა ინგლისისგან და მიიღო საკუთარი კონსტიტუცია. დამოუკიდებლობისთვის ომის დროს (1775-1783 წლებში) ნიუ-ჰემპშირმა დიდი წვლილი გაიღო ინგლისელთა წინაალმდეგ ბრძოლაში, როგორც მატერიალური, ისე ცოცხალი ძალით, მიუხედავად იმისა, რომ თავის ტერიტორიაზე ბრძოლები არ მიმდინარეობდა. 1788 წელს ნიუ-ჰემპშირი დიდი დებატების შემდეგ აშშ-ს მეცხრე შტატად გამოცხადდა.

# ატლანტების უკანასკნელი ომი



**რუსეთის მეცნიერთა ჯგუფმა აღმოსავლეთის ძველი ქალაქები მოიარა. შრომატევადი კვლევების შედეგად მათ დაასკვნეს, რომ ჩვენს სავარაუდო წინაპრებს – ატლანტებს მეცნიერების, მედიცინის მშენებლობის სფეროში უნიკალური ცოდნა გააჩნდათ. თავის მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რატომ გადაშენდნენ ატლანტები როგორც ცივილიზაცია, გვიზიარებს ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფესორი ერნსტ მულდაშევი.**

– ყველა ექსპედიციაში (ტიბეტი, ჰიმალაი, სირია, ლიბანი, ეგვიპტე...), რომლის დროსაც უძველეს ხანასთან მოგვიხდა შეხება, აუცილებლად ვაწყდებოდით ცნობებს ატლანტების – წინა ცივილიზაციის ადამიანების შესახებ და ყველგან ვპოულობდით იმის სავსებით მკაფიო დადასტურებას, რომ ატლანტთა ცხოვრების საფუძველი ნავთობი და გაზი კი არა, არამედ ის ჯადოსიტყვებია, შელოცვაში დახელოვნებული დედაბრები რომ წარმოთქვამდნენ ხოლმე ზოგჯერ. მრავალი ტიბეტური ტექსტის თანახმად, ძველ ატლანტთა ჯადოსიტყვების ძალა იმდენად დიდი ყოფილა, რომ არა მარტო სასურველი ფსიქიკური ეფექტის მიღების საშუალებას იძლეოდა, არამედ გრავიტაციაზე ზემოქმედების (ქვას ბუმბულივით მსუბუქს ხდიდა), საფრენი აპარატების – ვიმანების ენერგიით მომარაგების საშუალებასაც იძლეოდა და კიდევ მრავალი სხვა რამის გაკეთებაც შეეძლო. მაგალითად, თუ ადამიანმა „ანტიგრავიტაციული“ შელოცვის ჯადოსიტყვები იცოდა, მას შეეძლო მზერით აეწია უზარმაზარი ლოდი და საჭირო მანძილზე გადაეტანა იგი.

ამასთან ხაზგასმულია, რომ ბოროტი ზრახვითა და მიზნით, შელოცვის სიტყვების გამოყენება არამც და არამც არ შეიძლება.

**– თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ ატლანტები იმიტომ დაიღუპნენ, რომ ჯადოსიტყვების ბოროტი მიზნით გამოუყენებლობის აღთქმა დაარღვიეს?**

– დიახ. ზოგ წყაროში აღწერილია ატლანტთა ომი. ისინი ჩვეულებრივ იარაღს არ ხმარობდნენ. მათ შეეძლოთ, მაგალითად, იმისთვის მიეღწიათ, რომ მთელ ქვეყანას ჯადოსიტყვების საშუალებით ტელეპატიური ზემოქმედება მოეხდინა მეორე ქვეყნის მაცხოვრებლებზე, რის შედეგადაც იმ ქვეყნის ადამიანები ღრმა ძილს ეძლეოდნენ და მაშინ საკმარისი იყო მათთან საფრენი აპარატით (ვიმანით) ჩაფრენა და ძალაუფლების ხელში აღება და ვერავითარი ციხესიმაგრეები ამისგან ვერ დაიფარავდა მათ. ისე, როგორც, მაგალითად, შევალიეს ციხე-სიმაგრე სირიაში, რომელსაც ჯვაროსანთა ნახელავად მიიჩნევენ.

**– თქვენი ვერსიით, იგი უკანასკნელ ატლანტებს ეკუთვნოდა?**

– ალბათ, ბევრს აქვს ნანახი ჯვაროსანთა ციხესიმაგრეები ევ-

# გადადის თუ არა რუსეთის დედაქალაქი პეტერბურგში?

**სახელისუფლებო ორგანოთაგან პირველი, ვინც ჩაწერას იცვლის, საკონსტიტუციო სასამართლო გახლავთ.**

პეტერბურგს კარგი შანსი ეძლევა მუდმივი კონკურენტისთვის – მოსკოვისთვის ერთ-ერთი პრივილეგიის წართმევისა. ჩრდილოეთის დედაქალაქის გუბერნატორმა ვალენტინა მატვიენკომ გამარჯვებულის იერით განაცხადა, რომ სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია წინადადება ნევის ნაპირებზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანის თაობაზე და რომ სათათბიროს საბჭომ უკვე დაუჭირა მხარი ასეთ მასობრივ გადასახლებას.

ამრიგად, პიტერელმა რბილსავარძლიანმა ქალბატონმა შეასრულა ამასწინანდელი დანაპირები – საახალწლოდ ჩემს ქალაქს რაიმე „სახელისუფლებო ნადავლს“ ვაჩუქებო, თუმცა კი „ჩამოკიდებულ ალამზე“, ჟარგონის ენით რომ ვთქვათ (წელიწადი ხომ თავდება!).

გასაკეთებელი ცოტაღა დარჩა – მომზადდეს შესწორებები კონსტიტუციური სასამართლოს შესახებ კანონში შესატანად, პიტერში გარემონტდეს სენატისა და სინოდის შენობები (რაზეც 2 მილიარდი რუბლი უკვე გამოყოფილია) და მოსამართლეებმა ნელნელა ჩემოდნები ჩაილაგონ.



ამ ინიციატივას მხურვალედ გამოეხმაურა კიდევ ერთი მაღალთანამდებობიანი და მაღალქუსლაფეხსაცმლებიანი მანდილოსანი – სახსათათბიროს პირველი ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა. ეს კი არა, ამ გადაბარგების პარადოქსული ეფექტიც იწინასწარმეტყველა – კორუფციას მაგრად დაერხევაო; როგორც ჩანს, მექრთამეობა უცილობლად უნდა შესუსტდეს გახრწნილი მოსკოვისგან მოშორებით.

მალე ჩრდილოეთისკენ გამწკრივდებიან უმაღლესი და საარბიტრო სასამართლოებიც, ანუ მთელი სასამართლო ხელისუფლება... პიტერელებს კი უხარიათ, მაგრამ საინტერესოა, მოსკოველი იური ლუჟკოვი თუ იზიარებს იმათ სიხარულს?..

...მგონი, ჩვენშიც აპირებენ საკონსტიტუციო სასამართლოს გადატანას საქართველოს „პეტერბურგში“ – ქუთაისში. ჩვენი მაღალპოსტიანი (აგრეთვე მაღალხელფასიანი და მაღალქუსლიანი!) ქალბატონები თურმე ემხრობიან ასეთ წამოწყებას...

როპაში. როგორც წესი, მათ ქვის ან აგურის 7-20-მეტრიანი კედლები, ქონგურები, სათოფურები, თხრილი და კარიბჭე აქვთ. ეს ციხესიმაგრე კი გიგანტური სიმაღლით გამოირჩევა (100-150 მეტრიძ, კედლები და კოშკები კი საუცხოოდ გათლილი უზარმაზარი ქვებითაა ნაგები. „ატლანტთა მკვდარი ქალაქებისთვის“ დამახასიათებელია შეუცნობელი ოსტატობით ნაშენები ციხესიმაგრის თაღებიც. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯვაროსნებს მშენებლობის იმდენად მაღალი ტექნოლოგია ჰქონოდათ, რომ ასეთი ციხესიმაგრე აეგოთ.

ვფიქრობ, კოშკების, ქონგურებისა და სათოფურების დანიშნულება იქიდან ხალხისთვის მდუღარე კუპრის გადასხმა კი არ იყო, არამედ სულ სხვა რამ. ჩვენი აზრით, კოშკები ჯადოსიტყვების ზემოქმედების გამაძლიერებელი რეზონატორების როლს ასრულებდა. ეს აზრი მაშინ გაგვიჩნდა, როდესაც ერთი არაბი ბიჭი ციხესიმაგრის ერთ-ერთ ოვალურ ნიშაში დადგა და სიმღერით დაცვა დაიწყო, — გეგონებოდათ, დაცვის 200-300-კაციანი გუნდი მღეროდა. ხოლო თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ ნიშაში ენერგიების რეზონანსულ გაძლიერებაზე დაფუძნებულ ჯადოსიტყვებს წაიკითხავენ და თანაც მათ მრავალი ადამიანი წაიკითხავს, სავსებით შესაძლებელია, რომ კოშკების „სათოფურებიდან“ გამოხეთქავს ენერგია, რომელიც თავის გზაზე ყველაფერს გაანადგურებს. ადვილი შესაძლებელია, რომ ციხესიმაგრეთა ფორმა იგივე ჯვაროსნებმა ატლანტებისგან გადაიღეს, რომლებიც აღარ არსებობდნენ.


ატლანტთა ციხესიმაგრის კედლები და ქონგურები

**— მაშ ყველა ატლანტი რატომღა დაიღუპა? ჩვეულებრივ, მებრძოლ მხარეთაგან ერთ-ერთი იმარჯვებს...**

— რამდენიმე ტიბეტურ წყაროში აღწერილია, რომ უკანასკნელი ატლანტები, რომლებიც ჩვენს (არიულ) რასასთან ერთად ცხოვრობდნენ დედამიწაზე და რომლებსაც ტიტანები ანუ გოლიათები ერქვათ, საბოლოოდ 13000 წლის წინათ დაიღუპნენ იმის შედეგად, რომ დედამიწაზე კომეტა ტიფონი ჩამოვარდა. მხოლოდ მათი მშვენიერი ქალაქები, ტაძრები და ციხესიმაგრეები გადარჩა.

ის კი გაუგებარია, ყველა ატლანტი ერთიანად რატომ დაიღუპა! შესაძლოა, მიზეზი სწორედ ის წარმოუდგენელი ენერგია გახდა, რომელსაც ისინი ფლობდნენ და რომელიც ერთხელ მათსავე საწინააღმდეგოდ შემოუბრუნდათ.

Аргументы и факты


შევალიეს, ანუ ატლანტთა ციხესიმაგრე


ციხესიმაგრის რეზონანსული ნიშა

# ქრონოგრაფი

## 6 იანვარი, 1813 წელი



ქრისტეშობის დღესასწაულზე, რუსეთის ტერიტორიიდან ფრანგი დამპყრობლების გაძევებასთან დაკავშირებით, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I ქალაქ ვილნაში (ახლანდელი ვილნიუსიძ ყოფნის დროს ბრძანება გასცა, მოსკოვში აეგოთ მაცხოვრის სახელობის ტაძარი. არქიტექტორმა კ. ტონმა ტაძრის პროექტში ერთმანეთს შეაჯერა ბიზანტიური და რუსული არქიტექტურის სტილი, ამასთან ერთად, უპირატესობა რუსულ ეროვნულ არქიტექტურულ ტრადიციებს მიანიჭა. გამოიცა სპეციალური მანიფესტიც. ტაძარმა დასრულებული სახე მიიღო ათეული წლების შემდეგ და იგი საზეიმოდ აკურთხეს 1883 წელს. 1931 წელს ბოლშევიკებმა ტაძარი, არქიტექტურის ეს მშვენება, ააფეთქეს. ხელახლა აგებული იქნა 2000 წელს.

## 7 იანვარი, 1979 წელი



ვიეტნამის ჯარებმა ბრძოლით აიღეს კამპუჩიის (1975 წლამდე და 1989 წლის შემდეგ დღემდე — კამბოჯაძ დედაქალაქი პნომპენი. „წითელმა ქხმერებმა“ და დიქტატორმა პოლ პოტამ ტაილანდის მიმდებარე ჯუნგლებს შეაფარეს თავი. სულ მალე ადგილობრივმა პატრიოტმა-კამბოჯელებმა შექმნეს მთავრობა და დააარსეს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკა. რადგან ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ვიეტნამის ჯარები, მსოფლიო თანამეგობრობამ ახლადშექმნილი რესპუბლიკა სუვერენულად არ სცნო, რის გამოც საკმაო ხანს გამაერთიანებელი ერების ორგანიზაციაში პოლპოტას მომხრეებს თავიანთი ადგილი ჰქონდათ გამოყოფილი.

## 8 იანვარი, 1198 წელი



იტალიელი არისტოკრატი ლოტარიო კონტი, იგივე გრაფი სენი, არჩეული იქნა რომის პაპად. იგი ინოკენტი III აკურთხეს. მისი 18-წლიანი პონტიფიკაციის დროს პაპობამ უმაღლეს ძალაუფლებას მიაღწია. ევროპის სახელმწიფოების მმართველთა უმრავლესობამ თავი პაპის ვასალებად გამოაცხადა. ინოკენტი III-ის დროს მოხდა მეოთხე ჯვაროსნული ომი (1202-1204 წ. წ.ძ, ალბიგოისკის ლაშქრობები (1209-1215 წ. წ.ძ, დაარსდა ლივონიის ორდენი და დაიწყო ინკვიზიცია. პაპმა მოიწვია 1215 წლის IV ლათერანული კრება, დააკანონა ერეტიკოსთა კოცონზე დაწვა და აუკრძალა ებრაელებს ვნების კვირას ქუჩაში გამოსვლა.

# დედამიწაზე ახალი ზღვა იბადება

**იტალიის, ინგლისისა და აშშ-ის მეცნიერმა გეოფიზიკოსებმა იწინასწარმეტყველეს, რომ ეთიოპიის აფარის უდაბნოს ადგილას მალე ახალი წყალსაცავი გაჩნდება. წლეულს, 14 სექტემბერს, იქ ძლიერი მიწისძვრა მოხდა, რომლის შედეგი იყო უზარმაზარი ბზარი დედამიწის ქერქში. 50 კილომეტრის სიგრძისა და 4 მეტრის სიგანის ნაპრალი აქამდე იზრდება.**

— დადგება დრო, როცა გადანატეხში წყალი მოვარდება მეწამული ზღვიდან და ინდოეთის ოკეანის ადენის ყურიდან, — ამბობს გეოფიზიკოსი ებინჯერი ბრიტანული უნივერსიტეტიდან ჰელოუეი. — ჯერ წარმოიქმნება სრუტე, მერე სრულფასოვანი ზღვა, სადაც წყლის ტემპერატურა ზამთარშიც არ დაიწევს +20 გრადუსამდე დაბლა.

ისე კი, ნუ ვიჩქარებთ ახალ კურორტზე საგზურების დაჯავშნას. მეცნიერები ფიქრობენ, რომ პროცესს დასჭირდება... მილიონამდე წელი, თუმცა ჯერ ცუდად წარმოუდგენიათ, თუ როგორ მიმდინარეობს მსგავსი გეოლოგიური ტრანსფორმაციები. გამორიცხული არ არის, რომ ზღვა გაცილებით ადრეც კი გაჩნდეს;

თუმცა სწავლულები მაინც აღფრთოვანებული არიან: კაცობრიობის მთელ ისტორიაში ხომ ახალ ზღვათა წარმოქმნის პროცესი არასდროს დამზერილა.

აქვესათქმელად, კატაკლიზმებიმეწამულ ზღვაში რეგულარულად ხდება. მაგალითად, ბიბლიის თანახმად, როცა წინასწარმეტყველ მოსეს იუდეველები ეგვიპტეთა მონობიდან გაჰყავდა, იმათ წინ მეწამული ზღვა უკუიქცა. ეგებ ესეც რომელიმე გეოლოგიური უჩვეულოების გამოძახილია.

### სკეპტიკოსის აზრი

აფარის უდაბნოში ზღვას ვერ ვეღირსებით, — ფიქრობს ცნობილი მოსკოველი ოკეანოლოგი ოლეგ სოროხტინი. — მაგ ადგილებში მიმუშავია და დარწმუნებული ვარ, რომ უდაბნოს ამჟამინდელი ზედაპირი უკვე არის ძველი ოკეანის ფსკერი, იმ წყალსაცავისა, რომელიც ოდესღაც არსებობდა, მაგრამ ტექტონიკური სიღრმითი პროცესების წყალობით „აიყალყა“. აქ მიდის აქტიური სეისმური მოღვაწეობა — წარმოიშობა ახალი ვულკანები, გადატეხილობები. მიწის წიაღებიდან მაგმა ძალიან ახლოს მოდის ზედაპირთან. აფერის უდაბნოს ადგილზე მთები აღიმართებიან — ამაზე უფრო მეტი დამაჯერებლობით შეიძლება ლაპარაკი, ვიდრე ჰიპოთეტურ ზღვაზე; თუმცა ახლანდელი თაობა ამ მთებს ვერ მოესწრება.

## სწავლულები გვაფრთხილებენ: ჩრდილოეთ აფრიკა გაიბზარა. გადანატეხში ეგებ ინდოეთის ოკეანის წყალმა იხუვლოს.



# მთელი წელი – ახალი წელი

**ყველა ქვეყანაში ახალი წლის შეხვედრის გამორჩეული წესი არსებობს, რომლის მსგავსს სხვაგან ვერსად შეხვდებით.** მაგალითად, ბულგარეთში სუფრას ხილითა და ბოსტნეულით – სიმინდით, ხორბლით, ლობიოთი, კვახით, ვაშლით, ყურძნითა და, ცხადია, ღვინით – ამშვენებენ. მაგრამ საახალწლო სუფრის მთავარი მოსართავი პურია, რომელსაც ყვავილების, ცხოველებისა და მცენარეების ფორმით აცხობენ. ის, ვისაც პურში შინდის ტოტი ან მონეტა შეხვდება, მთელი წლის განმავლობაში ბედნიერი იქნება.



**იტალიაში** ახალი წლის ღამეს სადღესასწაულო სუფრებთან, რომელთა გვერდით შობის ნაძვებს დგამენ, მთელი ოჯახებით იკრიბებიან და სტუმრად **ბაბო ნატალეს**, იტალიურ თოვლის პაპას ელოდებიან. დაძინების წინ ბავშვები ბუხრებთან თავიანთ წინდებს ტოვებენ. ღამე კი საკვამლე მილით **ფერია ბეფანე** შემოფრინდება, რომელიც ძალიან უშნო გარეგნობისაა, მაგრამ მუდამ კეთილ საქმეებს აკეთებს. დილით გაღვიძებული ბავშვები თავიანთ წინდებში სწორედ ბეფანეს მოტანილ საჩუქრებს პოულობენ. თუმცა ისინი, ვინც გასულ წელს ცელქობდა, კანფეტების მაგივრად... ხის ნაკვერცხლებით საჩუქრდებიან... ზოგიერთ წინდაში ნაკვერჩხალი მეტია, ზოგში – ნაკლები, მაგრამ ერთი კია: უნაკვერჩხლებო წინდები თითქმის არავის არა აქვს...

ახალი წლის დადგომამდე **კუბის** მცხოვრებლები ყველა დოქს წყლით ავსებენ, ხოლო როცა საათის ისრები ზუსტად „12“-ზე „გაიჭიმება“, წყალს ქუჩაში ასხამენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი წელი დასრულდა და მას წყალივით ნათელ გზას ულოცავენ.

აი, მეზობელ **პანამაში** კი ახალი წლის ღამეს დაგვიანებულ გამვლელს შეიძლება არა მარტო წყალი გადაასხან, არამედ თავზე ნაგავიც დააყარონ. პანამური ახალი წელი, ალბათ, დედამიწაზე ყველაზე ხმაურიანია. დღესასწაული სახანძრო ზარის რეკვით იწყება, მძღოლები მანქანების საყვირებიდან ხელს არ იღებენ, ადამიანები ცდილობენ რაც შეიძლება ხმამაღლა იყვირონ და იბრახუნონ. მაგრამ ზუსტად შუაღამეს ყველანი შინ იკრიბებიან, რათა ახლობლებსა და ნათესავებს ახალი წლის მობრძანება მიულოცონ და თოვლის პაპას შეეგებონ, რომელსაც აქ **პაპაი ნოელს** უძახიან.

იცით თუ არა, რომ 1 აპრილს ხუმრობის წეს-ჩვეულება **კოლუმბიიდან** გავრცელდა? ძველი ტრადიციებით ახალი წლის წინ ყველა ერთმანეთს ატყუებს, „ძველი ახალი“ წელი კი ქუჩებში დასეირნობს და სასაცილო ანდერძებს კითხულობს, ვის რა დარჩა მემკვიდრეობად. შემდეგ კი უზარმაზარ თოჯინას, რომელიც ახალ წელს ასახიერებს, მოედანზე, დგამენ და აფეთქებენ, რის შემდეგ მხიარული ცეკვა-თამაში იმართება. სამი დღის განმავლობაში კოლუმბიელები სახესა და ხელებს შავი, თეთრი და ყვითელი სალებავებით ილებავენ, ერთმანეთს ახალ წელს ულოცავენ და სტუმრად **მამა პასკუალეს** – იქაურ თოვლის პაპას ეპატიჟებიან.



**ცეილონში** ახალ წელს მოსავლის აღების შემდეგ, აპრილში ზეიმობენ. ცეილონელთა საყვარელ კერძს კირიბატას ბრინჯითა და რძით ამზადებენ, ხოლო ღვინოს სადღესასწაულო დღეებში არ სვამენ. ყველანი ლამაზ კოსტიუმებში გამოწყობილები დადიან, რომელთა ფერს ასტროლოგები ადგენენ, ამიტომ ყოველ წელს ეს ფერი სხვადასხვაა. სტუმრად კი მხოლოდ იმას პატიჟებენ, ვინც, მასპინძლის აზრით, ოჯახში ბედნიერებას შემოიტანს. მასპინძელიც და სტუმრებიც ტანს ქოქოსის ზეთიანი ლიმნის წვენით იზელავენ, შემდეგ კი... საახალწლო შხაპს იღებენ.

ახალი წელი **იაპონიაში** ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. მის დადგომამდე ყველგან ბრახუნი ისმის – დიასახლისები ბრინჯს ნაყავენ, ახალგაზრდები კი ლექსებს თხზავენ და ცაში ბუშტებს უშვებენ. ყველა სახლის კართან ფიჭვის, ქლიავისა და ბამბუკის ტოტებს – ერთგულების, დღეგრძელობისა და სიმტკიცის სიმბოლოებს დებენ, კარების წინ კი, ავი სულების მოსაგერიებლად, ჩალის თოკს ჭიმავენ. შუაღამისას რადიოთი ზარის 108 დარტყმას გადმოსცემენ, რის შემდეგ რამდენიმე დღიანი ლხინი იწყება. ტრადიციისამებრ ქალიშვილები ჭინჭარს, ბოლოკსა და სხვა მცენარეებს კრეფენ, ახალი წლის მეშვიდე დღეს კი ოჯახის თავი ბრინჯიან „**გაზაფხულის შვიდი ბალახის**“ კერძს აკეთებს.

**ვიეტნამური** ახალი წელი – ტეტა – 26 იანვარს დგება. ამ ქვეყნის კალენდარი 12-წლიან მონაკვეთებადაა დაყოფილი. სულ ხუთი ასეთი ციკლია, ბუნებრივი სტიქიების რიცხვისდა მიხედვით. სახლებს ცოცხალი ყვავილების გირლანდებით რთავენ და ადგილობრივ „ნაძვს“ – **ატმის ხეს** დგამენ. ახალი წლის დადგომამდე ყველანი ვალებს ისტუმრებენ, წყენებს ივიწყებენ, ერთმანეთს ფორთოხლებს ჩუქნიან და სტუმრად ეპატიჟებიან, რათა სურნელოვანი ჩაითა და ლიქიორით გაუმასპინძლდნენ. ახალი წლის დადგომისთანავე „**თაგვის საათი**“ დგება, როცა ერთმანეთს ადღეგრძელებენ და ჯანმრთელობასა და სიკეთეს უსურვებენ.

ერთბაშად ოთხ ახალ წელიწადს ხვდებიან **ინდოეთში**: წლეულს აქ დადგება **სალივაჰის ერის 1994-ე, 2039-ე – ვიკრამადიას ერის, 2509-ე – ჯაინას ერის და 2524 – ბუდისტური წლები.** თუმცა ყველაფერი ამით როდი სრულდება. ქვეყნის ჩრდილოეთი შტატების მცხოვრებნი ახალი წლის დადგომას აპრილში ზეიმობენ, სამხრეთისების – **მარტში**, დასავლეთისების კი – **ნოემბერში**. თანაც **ახალ წელს არა 24, არამედ დილის 5 საათზე ხვდებიან** – ანთებენ ილუმინაციას და უფროსებთან მიდიან ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სიმშვიდის სათხოვნელად.

წელიწადის ყველაზე გვალვიანი დროა **ბირმაში** ახალი წელი, ამიტომაც აქაური მცხოვრებლები ერთმანეთს წყალს აპკურებენ. ექვსი საუკუნის წინანდელი ეს ტრადიცია მარტივია და გასაგები – წყალი ხომ გულუხვობისა და სისუფთავის სიმბოლოა. თუმც დროს ძველისძველ ადათებშიც თავის კორექტივები შეაქვს: ამჟამად, ახალი წლის დღესასწაულისთვის საგანგებო „**საწუწაო პუნქტებს**“ ჰქმნიან – კაცმა გასული წლის ყველა შეცდომა და წყენა უნდა ჩამოირეცხოს. წუწაობის რიტუალში ათასობით კაცი მონაწილეობს, ყველგან დოლებისა და მუსიკის ხმები გაისმის, მდინარეს კი ყველა დარდი და ბოლმა მიაქვს.

# ყველაფერი ყველაფერზე

## წინ ბაჭიასგან დაწყევლილები არიან

**ლოს-ანჟელესში გამოცხადდა ნომინაციები ამერიკულ პრემიაზე „ენი“, რომელსაც მულტიპლიკაციის დარგში საუკეთესო ნამუშევრებს ანიჭებენ.** უცილობელ ლიდერად იქცა მულტფილმი „უოლესი და გრომიტი: მაქცია ბაჭიას წყევლა“ – ჯილდოზე 16(!) კატეგორიაში ნომინირებული (სულ „ენი“, რომელსაც საერთაშორისო ანიმაციური ფილმების საზოგადოება ანიჭებს, 22 კატეგორიაში გადაეცემა).

„უოლესისა და გრომიტის“ მეტოქეები იქნებიან სურათები „წიწილა წიპა“ და „ჰოულის ფეხადგმული ციხედარბაზი“, „მკვდარი საცოლე“ და „მადაგასკარი“. ჯილდოს მფლობელნი 2006 წლის 4 თებერვალს გახდებიან ცნობილნი საზეიმო 33-ე ცერემონიის დროს, რომელიც ლოს-ანჟელესში ჩაივლის.

„ენი“ ანიმაციური კინოს სამყაროში „წინასაოსკარო“ განწყობილებათა ერთობ ზუსტ ბარომეტრად ითვლება. შარშან „ენის“ რამდენიმე ჯილდოს მფლობელი იყო მულტფილმი „სუპეროჯახუნა“, რომელმაც მოგვიანებით „ოსკარიც“ მოიპოვა, როგორც საუკეთესო სრულმეტრაჟიანმა ანიმაციურმა სურათმა. შარშანწინ „ენის“ 9 ჯილდოს ლაურეატი გახდა მულტფილმი „ნემოს ძიებაში“ – ის ამერიკის კინოხელოვნების აკადემიაში აღიარებულია წლის საუკეთესო ანიმაციურ ლენტად.



## ფარდული – ნავი – ფარდული

**თერნერის კონკურსში, რომელიც ინგლისში იმართება ხოლმე, ჩვეულებრივ წარმოდგენილია ფერწერა, ფოტოგრაფიები, ვიდეოფილმები, ქანდაკებები და ინსტალაციები (ნაგებობები, მოწყობილობები).** თერნერის პრემია მიენიჭება 50 წელს მიუღწეველ ბრიტანელ მხატვარს – „გამორჩეული გამოფენისა ან თავისი ნამუშევრების პრეზენტაციისთვის“.

წლევანდელი ლაურეატი გახდა საიმონ სტარლინგი – თანამედროვე ხელოვნების დარგში. მან ფიცრებად დაშლილი შეშის ფარდულისგან გააკეთა ნავი, ნავისგან კი – ისევ ფარდული. ფულადი პრემია 25 ათასი ფუნტი ოდენობისა იყო.

ჯილდოს პრეტენდენტთა ფინალურ სიაში ოთხი მხატვარი გახლდათ, რომელთა შორისაა ქალი, ჯილიან კარნეგი. ის ხატავს პეიზაჟებს, ნატურმორტებს, გარდა ამისა, ცნობილია გაშიშვლებული ფიგურების გამოსახვით. სიაში ჯიმ ლამბიც მოხვდა, რომელიც, სტარლინგისა არ იყოს, ინსტალაციების შექმნითაა დაკავებული. ესაა თავისებური სკულპტურები



ფანერისგან, ქამრებისგან, ძველი გრამაფონებისგან, სპორტული ფეხსაცმელებისა და სხვა საგნებისგან.

თერნერის პრემიას 1964 წლიდან ანიჭებენ. შარშან ის მიიღო მხატვარმა ჯერემი დალერმა – აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მშობლიურ ქალაქზე (ტეხასის შტატში) გადაღებული ფილმისთვის.

## ჯეიმს ბონდს ახალი ქალიშვილი ჰყავს

**„ოსკარის“ მფლობელი შარლიზ თერონი ეგებ ცნობილი ჯაშუშის, თუ გნებავთ, აგენტის ახალი მეგობარი ქალი გახდეს ფილმში „კაზინო „როიალი“.** ბრიტანელი ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ თერონს ყველაზე მეტი შანსი აქვს დენიელ კრეიგის (ჯეიმს ბონდის მომავალი შემსრულებლის) პარტნიორ ქალად გახდომისა.

მოელიან, რომ სურათზე მუშაობა იანვარში დაიწყება, ჩეხეთში. ძირითადი გადაღებები ივნისამდე გაგრძელდება პრაღაში, კინოსტუდია „ბარანდოვში“, დამასრულებელ ეპიზოდებს კი კურორტზე გადაიღებენ – კარლოვი ვარში. ბონდიანას ახალი სერია ეკრანებზე უკვე გაისად გამოვა.

ზოგიერთი ცნობით, შარლიზ თერონი პირველ ადგილზეა. ამ სერიის რეჟისორის, მარტინ ქემპბელის მიერ შერჩეულთა სიაში. სხვა პრეტენდენტ ქალთა რიცხვში შედიან ანჯელინა ჯოლი და სიენა მილერი. პირველმა ნომერმა „ოსკარი“ მიიღო 2004 წელს, როგორც საუკეთესო მსახიობმა ქალმა – სურათში „მონსტრი“ ამერიკელი სერიული მკვლელის, ეილინ უორნოსის როლის თამაშისთვის.

## სიყვარული პინგვინურად

**1998 წელს, ნიუ-იორკის ზოოპარკში, ორმა მამალმა პინგვინმა როიმ და სილომ, ერთად დაიწყეს მამათმავლური ცხოვრება.** ზოოპარკის თანამშრომლებმა „ცოლ-ქმარს“ კვერცხი შეუგროვეს გამოსაჩეკად (პინგვინების ნატურალური, დედალ-მამალი წყვილი მორიგეობით „აზის“, ანუ ადგას – მდგომელა ჩეკავს – ერთ კვერცხს): და რა გგონიათ – მამრები გამოჩეკვას შეეცადნენ.

რა ამბავი ატყდა! ისინი „ცისფერთა“ საერთაშორისო მოძრაობის სალოცავ ხატებად იქცნენ. რიოზე და სილოზე რამდენიმე ფილმი გადაიღეს, „ინტერვიუც“ კი აიღეს იმათგან, ვალენტინის დღეს წყვილს საჩუქრებს უძღვნიდნენ. ყველაფერი კომიკურად დასრულდა (მამათმავალთათვის ტრაგიკულად): სილომ მეგობარი დედალი პინგვინი მოძებნა და ბუნებრივ ოჯახურ ყოფას შეუდგა...



## ნობელის პრემიის ლაურეატი... პატიმარი

**1972 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკის დარგში ჯონ რობერტ შრიფერი დაპატიმრებულია და მისჯილი აქვს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა ადამიანის დაღუპვისთვის.** შრიფერი, რომელსაც 74 წელი შეუსრულდა და ამა წლის სექტემბერში შეეჯახა მიკროავტობუსს. იგი თავის სპორტულ ავტომანქანას საათში 160 კილომეტრის სიჩქარით მიაქროლებდა. დაიღუპა ერთი მგზავრი, შვიდი კი დაშავდა. საქმე იმანაც გაართულა, რომ შრიფერს ავარიის დროს თან არ ჰქონდა მართვის მოწმობა. მეცნიერი უკვე ცხრაჯერ არის დაჯარიმებული მანქანის გადაჭარბებული სიჩქარის ტარებისათვის.

ლაურეატები



# რჩეულნი

**მიიწურა 2005 წელი. სეზონის განმავლობაში საქართველოს ათლეტებმა საერთაშორისო სარბიელზე, ტრადიციულად, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. სპორტის სხვადასხვა სახეობაში მოპოვებულია ათობით ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი. წლის შედეგებით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა რჩეულთა შორის რჩეულნი გამოავლინა. დაჯილდოება გაიმართა რესტორან „ბერიკონში“, სადაც ქართული სპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეიკრიბნენ.**

წლის **საუკეთესო ფედერაციის** ნომინაციაში ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ გაიმარჯვა. ჩვენმა ფალავნებმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

**საუკეთესო მწვრთნელად** თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე დაასახელეს.

**საუკეთესო კლუბის წოდება** „ნტნ“-მა („ნონა – ტიგრანი – ნანა“, პრეზიდენტი ნანა ალექსანდრია) დაიმსახურა. არც არის გასაკვირი – ჩვენმა მოჭადრაკე ქალებმა (მაია ლომინეიშვილი, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, ანა მათნაძე, თამარ წერეთელიძ, წლეულს მეორედ დაიმსახურეს ევროპის საკლუბო ჩემპიონატის ოქროს მედლები.

**საუკეთესო ნაკრებად** აღიარეს ევროპის ჩემპიონი საქართველოს ოცწლამდელ მორაგბეთა გუნდი.

**საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენთა** ნომინაციაში პირველები იყვნენ ბატუტზე მხტომელი მსოფლიო ჩემპიონი ლუბა გოლოვინა, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ძალოსანი არსენ კასაბიევი.

**ყველაზე ტიტულოვანი მოქმედი სპორტსმენისთვის** განკუთვნილი პრიზი თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის მსოფლიო და ხუთგზის ევროპის ჩემპიონს, ზაფხულის ოლიმპიადების ორგზის „ბრინჯაოს“ პრიზიორს ლუკა კურტანიძეს ხვდა.

მთავარ ნომინაციაში – **წლის საუკეთესო სპორტსმენი** – მსოფლიო ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობაძ გაიმარჯვა.

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა არც მასმედიის წარმომადგენლები დაივიწყა: **წლის საუკეთესო ჟურნალისტის სახელი** სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა დაიმსახურა, ხოლო **წლის საუკეთესო გადაცემად** ტელეკომპანია „მზეზე“ ლაშა დვალიშვილის საავტორო პროგრამა „ავტოგრაფი“ აღიარეს.

დღეს „შერატონ მეტეხი პალასში“ 2005 წლის ლაურეატებს ჟურნალისტებიც გამოავლენენ.



წლის საუკეთესო

# გლოცავთ და გილოცავთ

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა განვლილი წლის შედეგების მიხედვით ფედერაციებს შორის საუკეთესოდ ცნო ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, რადგან საქართველოს ფალავნებმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებსა თუ პირველობებზე და უნივერსიადაზე 30 მედალი მოიხვეჭეს. მათ შორის – 7 ოქროსი, 8 ვერცხლისა და 15 ბრინჯაოსი.**

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გურჯაანელმა რევაზ მინდორაშვილმა, რომელმაც ბუდაპეშტში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ შეჯიბრების ვერცხლის პრიზიორია სახელოვანი ლუკა კურტანიძე, რომელმაც წლეულს გაზაფხულზე მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. ბუდაპეშტში ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი გორელმა ოთარ თუშიშვილმა. ვარნაში ევროპის ჩემპიონატზე მსგავს წარმატებას მიაღწიეს ბესარიონ გოჩაშვილმა (ყველა – თავისუფალი ჭიდაობაძ, დავით ბედინაძემ, ბადრი ხასაიამ და მირიან გიორგაძემ (სამივე – ბერძნულ-რომაული ჭიდაობაძ. მედლების დანარჩენი წილი ახალგაზრდებზე მოდის.

როგორც ვხედავთ, ჩვენი „კლასიკოსები“ მსოფლიო ჩემპიონატზე უმედლოდ დარჩნენ. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ჭიდაობის ფედერაცია კარგა ხანს უპრეზიდენტოდ იყო და ქაოსმა თავისი დაღი დაგვატყო. ივნისში ახალ პრეზიდენტად პარლამენტარ კახა გეწაძის არჩევის შემდეგ მდგომარეობა დალაგდეს, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. ეს ნათელი მაგალითია იმისა, რომ შფოთი და არეულობა სახალხო საქმეს ვნებს. ყველამ შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გავიღოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ჩვენი წინაპრების მაგალითისამებრ, საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებმა ერთნაირად უნდა ვილვაწოთ საქართველოს სადიდებლად. მხოლოდ ერთმანეთის სიყვარული და თანადგომა გადაგვარჩენს. გვწამდეს, რომ სულ მალე საქართველო გაერთიანდება და გაძლიერდება. მისი ხარივით ძედუდრეკი ბიჭები სპორტულ სარბიელზეც ურიცხვ ნადავლს მოიხვეჭენ. დღე ხვალინდელი უკეთესი იქნება.



ამ იმედით უნდა შევხვდეთ ყველანი დამდეგ შობა-ახალ წელს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი საქართველოსთვის. გლოცავთ და გილოცავთ 2006 წლის შემობრძანებას.

**გურამ საღარაძე,**
**ორგზის მსოფლიო ჩემპიონი.**

ადამიანი დროში

# კვლავ ტყავის ბურთის ერთგული რჩება



**მისი სპორტული კარიერა ტრიკოტაჟის სამკერვალო ფაბრიკის სტადიონიდან დაიწყო. ექვსი წლისამ პირველად გააგორა ბურთი პროფესიონალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით. მამის მეგობარმა – ვანო შუდრამ და ჟანი ლეჟავამ იკისრეს მისი დაოსტატება. რამდენიმე წლის შემდეგ „ნორჩ დინამოელში“ გადავიდა და რეზო გაგუა ავარჯიშებდა. ნოდარ აკობიამ და შოთა ჭეიშვილმა 15 წლის ჭაბუკს თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში ანდეს ადგილი, დავით ყიფიანმა კი ძირითად შემადგენლობაში ათამაშა პირველად დონეცკის „შახტიორის“ წინააღმდეგ საკავშირო ჩემპიონატში. მაშინ გიორგი ნემსაძე 16 წლისა გახლდათ. აქედან გაიკაფა მისი გზა დიდ ფეხბურთში.**

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ კაპიტანი წლების განმავლობაში სხვადასხვა გუნდის ღირსებას იცავდა. მოიარა ლანჩხუთის „გურია“, თბილისის „შევარდენი“, გერმანიის „ჰომბურგი“, თურქეთის „ტრაბზონსპორი“, შვეიცარიის „გრასჰოპერსი“, იტალიის „რეჯინა“, შოტლანდიის „დანდი“ და საფეხბურთო კარიერის ბოლო წელიწადნახევარი კვლავ მშობლიურ „დინამოში“ გაატარა.

***– როგორ ფიქრობთ, ყველაფერი გაიღეთ ფეხბურთისთვის?***
– ვკითხე რედაქციაში სტუმრად მოსულ გიორგი ნემსაძეს.

– ვფიქრობ, რომ არა. დღევანდელი გადასახედიდან უფრო ნათლად ჩანს ის შეცდომები, რაც ცხოვრებაში დავუშვი. თუმცა, დღეს რომ სპორტულ კარიერას ვიწყებდე, სიამოვნებით გავივლიდი იმავე გზას ზოგიერთი კორექტივით.

***– ჯერ მხოლოდ 33 წლისა ხართ. ნაადრევად ხომ არ დაემშვიდობეთ ფეხბურთს?***

– ფეხბურთელის ცხოვრება რთულია – დამღლელი, სანერვიულო, მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვიყავი. ბევრი ჩემი თანატოლი უცხოეთში კვლავაც განაგრძობს საფეხბურთო კარიერას, მე კი სარბიელთან დამშვიდობება მომიხდა – ტკივილებს ვერ გავუძელი: ერთსა და იმავე ფეხზე სამჯერ მაქვს ოპერაცია გაკეთებული. ზოგჯერ ტკივილგამაყუჩებლის გარეშე სათამაშოდ ვერ გავდიოდი მოედანზე. ამან მაიძულა, დროულად მიმეღო საბოლოო გადაწყვეტილება, თუმცა ფეხბურთს არ დავმშვიდობებივარ. მე და ჩემმა მეგობრებმა „იბერია ბიზნეს ჯგუფიდან“ საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ შევისყიდეთ და მოზარდების დაოსტატებაზე ვიზრუნებთ. დღეისთვის ჩვენს სკოლაში 6-დან 13 წლამდე 300 ფეხბურთელი ვარჯიშობს. ყოველთვიური გადასახადი 35 ლარია. ბავშვებთან „ბ“ კატეგორიის კვალიფიციური მწვრთნელები მუშაობენ.

***– ასაკი ასე შეზღუდული რატომ გაქვთ?***

– ცამეტი წლის შემდეგ ფეხბურთელმა 100-მეტრიან მოედანზე უნდა ივარჯიშოს. ჩვენ კი შესაბამისი პირობები არა გვაქვს. ვცდილობთ ეს პრობლემაც დროზე მოვაგვაროთ. „იბერია ბიზნეს ჯგუფს“ უმაღლესი ან პირველი ლიგის რომელიმე კლუბის ყიდვა უნდოდა. ახლა კი გადავწყვიტეთ, საკუთარი ბაზა მოვაწყოთ და ჩვენი გაზრდილი ფეხბურთელებით ჩამოვაყალიბოთ გუნდი, რომელიც რეგიონული ლიგიდან ჩაებმება საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში.

***– „საბურთალოს“ დირექტორს შორს მიმავალი მიზნები გქონიათ...***

– საფეხბურთო სკოლის დირექტორი აღარ ვარ. ფიფას ოფიციალური ლიცენზია უკვე ავიღე და საფეხბურთო მენეჯერი გავხდი, რის გამოც წმინდა საფეხბურთო საქმიანობაში მონაწილეობა არ შემიძლია. ახალ საქმეში მინდა გამოვცადო თავი. ჩემი ყოფილი თანაგუნდელები ევროპაში აგენტებად მუშაობენ და მათი დახმარების იმედი მაქვს. ქართველ ფეხბურთელებს გზას გავუკაფავ ევროპაში. უცხოელებს ჩავიყვან რუსეთში. მათი გადმობირება საქართველოშიც შეიძლებოდა, მაგრამ ჩვენი კლუბების მწირი ფინანსური შესაძლებლობები არ იძლევა ამის საშუალებას, თუმცა, ვიმედოვნებ, ახლო მომავალში ჩვენც გავძლიერდებით ეკონომიურად.

პირველ იანვარს იხსნება სატრანსფერო ფანჯარა და ვნახოთ, როგორი იქნება ჩემი პირველი ნაბიჯები ახალ ამპლუაში. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთს ვერ შევეელევი.

***– საქართველოს ნაკრებსა და მის მოსალოდნელ მთავარ მწვრთნელ ტოპმიოლერზე რას იტყვით?***

– ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს და კარგი მწვრთნელის ხელში წარმატების მიღწევაც შეიძლება. საქართველოში ფეხბურთი განსაკუთრებულად უყვართ, ამიტომ ქვეყნის ნაკრების გამარჯვებები ახალ ბიძგს მისცემს ჩვენთან ფეხბურთის განვითარებას.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქართველ ფეხბურთელებს, ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს და, საერთოდ, საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს შობა-ახალი წელი მივულოცო და წარმატებები ვუსურვო.

ესაუბრა
**ვაჟა ნოსირელი**

◎ პერსპექტივა

# ნამგალაურის მოსავალი...

## როგორ აფასებს განვლილ წელს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე



**საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ ქვეყანაში სპორტის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად გამოცხადებამ 2005 წელს სერიოზული პროგრამებისა და ინიციატივების განხორციელების შანსი მისცა ქვეყანას. ამასთანავე, სპორტსმენებს დაურიგდათ თვეობით გაუცემელი ხელფასები, არადანიშნულებისამებრ გამოყენებული სპორტული ობიექტების უმრავლესობამ უწინდელი ფუნქცია დაიბრუნა, ჩვენმა სპორტსმენებმა საერთაშორისო სარბიელზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს. ყოველივეს სულისჩამდგმელი საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი გახლდათ. გვესაუბრება ამ უწყების ხელმძღვანელი დავით ნამგალაური.**

—სპორტის დეპარტამენტის წლევანდელი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო იუნესკოს მიერ 2005 წლის სპორტის აღორძინებისა და ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების, ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების წლად გამოცხადება, —გვითხრა მან.—საქართველოს რეგიონებში არსებული სპორტული დაწესებულებების სრულმა ინვენტარიზაციამ საფუძველი მოგვცა, სწორად გაგვეანალიზებინა არსებული პრობლემები და შეგვემუშავებინა „სპორტის ინფრასტრუქტურისა და რეაბილიტაციის პროგრამა". ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერით, ამ პროექტის განსახორციელებლად 2 მილიონი ლარი გამოიყო. მთელ საქართველოში კეთილმოეწყო 200-მდე კომბინირებული მოედანი, 14 ხელოვნურსაფარიანი სტადიონი, გარემონტდა 51 ფეხბურთის მოედანი, 88 სპორტული სარბიელი, 2 საცურაო აუზი და 1 ჩოგბურთის კორტი.

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას აქტიურად გამოეხმაურნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ბიზნესმენები, ცალკეული სპორტსმენები. ახმეტის რაიონის სოფელ ხოდაშენში, სადაც აღიზარდნენ სახელოვანი ძიუდოისტები — ანზორ ქიბროწაშვილი და შენგელი ფიცხელაური, აღვადგინეთ სპორტული დარბაზი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლერი ხაბელოვმა ბორჯომში საჭიდაო დარბაზი ააშენა, სადაც ჩვენს ფალავნებს ნებისმიერი შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად ყველა პირობა ექნებათ. ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ წყნეთში თავისი სახელობის კლუბი გახსნა შესანიშნავი დარბაზითურთ. კახელი მეღვინეების ინვესტიციებით თელავში აიგო შესანიშნავი სპორტული დარბაზი. გორში სამტატამიანი დარბაზის კეთილმოსაწყობად 350 ათასი ლარი დაიხარჯა. აქ ჭიდაობის ცენტრის შექმნა გვაქვს გადაწყვეტილი. თავიანთი სპორტული მიღწევებით შიდაქართლელები ამგვარ პატივს ნამდვილად იმსახურებენ. დუშეთის რაიონში უნიკალური ოლიმპიური მზადების ცენტრის მშენებლობა დაიწყო.

მოგეხსენებათ, ქვეყნის პრეზიდენტის ინიციატივით ათენის ოლიმპიადის შემდეგ შეძენილია 70 ტატამი და 3 ათასი კიმონო. მათი განკარგვა შეეძლო ყველას, ვინც სათანადო ბაზას მოამზადებდა. ამ პირობით შეგულიანებულმა რაიონების გამგებლებმა 70 სპორტული ნაგებობა შეაკეთეს.

ბაზების აღდგენა-მშენებლობა გაისადაც გაგრძელდება და სახელმწიფო ბიუჯეტიდან საამისოდ 4 მილიონი ლარი გამოიყოფა.

რადგან საჭიროებზე ვსაუბრობთ, აქვე ვიტყვი იმასაც, რომ სპორტის დეპარტამენტს წლეულს ბიუჯეტიდან 4 მილიონ 600 ათასი ლარი გამოეყო. ამ თანხით დაფინანსდა სხვადასხვა ასაკის სპორსტმენთა საწვრთნელი შეკრებები და მნიშვნელოვან შეჯიბრებებზე გამგზავრება, გაიმართა საინტერესო ღონისძიებები, გაიცა ხელფასები მწვრთნელებსა და ათლეტებზე, წლების განმავლობაში უყურადღებოდ მიტოვებულ ვეტერანთაგან 136-ს სპორტის დეპარტამენტი ხელფასს უხდის.

სპორტის დეპარტამენტმა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიურ ფონდთან ერთად წლეულს პირველად გამიჯნა ვალდებულებები ოლიმპიური სახეობების დასაფინანსებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ფედერაციებისთვის გამოყოფილი თანხები გასულ წლებთან შედარებით 70-80 პროცენტით გაიზარდა. სახელმწიფო სპორტის გასავითარებლად გაისადაც ანალოგიურ თანხას გამოგვიყოფს. ქვეყნის მთავრობამ აიღო ვალდებულება, იზრუნოს ფეხბურთის განვითარებაზე. საამისოდ მის დასაფინანსებლად სოლიდურ თანხას გაიღებს. ამიტომაც გვჭირდება ეროვნული ნაკრებისთვის კვალიფიციური მწვრთნელი, რომელიც სხვა ასაკის გუნდებსაც მიხედავს და ქართულ ფეხბურთს ღირსეულ ცვლას მოუმზადებს. ყველა სფეროში ჩიხიდან პროფესიონალებმა უნდა გამოგვიყვანონ. იმედია, რომ მომავალ წელს როგორც სპორტში, ისე ყველა სფეროში ბევრად მეტი წარმატება გვექნება.

ბედნიერების, მშვიდობის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და გამარჯვებების მომტანი ყოფილიყოს 2006 წელი.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია**



◎ ორბიტაზე



### მთავარი თილისმა

**მომავალი წლის ერთ-ერთი მთავარი სპორტული დღესასწაული, რასაკვირველია ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი იქნება, რომელიც 9 ივნისიდან 9 ივლისამდე გერმანიაში გაიმართება. მართალია, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრები ტრადიციულად ამ ჩემპიონატზეც ვერ მოხვდა, მაგრამ ფეხბურთის ჭეშმარიტი გულშემატკივრებისთვის ხომ მთავარია კარგი ფეხბურთი და ამის მოწამენი ნამდვილად ვიქნებით. ამის იმედს გვაძლევს ჩემპიონატის ოფიციალური თილისმაც — ლომის ბოკვერი გოლეო VI.**

იმედია, ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდის ფეხბურთელები ლომებივით იბრძოლებენ ჩემპიონატის მთავარი პრიზის — მსოფლიო თასის მოსაპოვებლად.



ლომისებური შემართების მოთამაშე კი ალბათ ყოველ ნაკრებში იქნება, რომლებიც ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებს, როგორიც რონალდო და რონალდინიოა, ზიდანი და ბექჰემია, თუმცა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ჰა, ბურთი და მოედანი.

აი, სწორედ ამ მოედანზე, მიუნხენის „ალიანს-არენაზე", გაბერილ ნავს რომ მოგვაგონებს, გაიმართება 9 ივნისს მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის მატჩი — გერმანია-კოსტა-რიკა.

### ტურინის ტურნირი?

**ძალზე ხშირად დიდ სპორტულ ღონისძიებებზე ამბობენ ხოლმე ტურნირიო. ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, რა თქმა უნდა, ტურნირი არ ეთქმის. მას თეთრ ოლიმპიადას უფრო უწოდებენ.**

ახლა მისი, უფრო სწორედ, ოლიმპიური ცეცხლის ჩირაღდანი მთელს იტალიაში მოგზაურობს. ის უკვე დალოცა რომის პაპმა და იმედის ჩირაღდანი უწოდა.

10 თებერვალს თასში აინთება დიდი ოლიმპიური ცეცხლი და დაიწყება მოთხილამურეთა, მოციგურავეთა და სხვათა დიდი ასპარეზობა; მასში მონაწილეთა შემართებითი ცეცხლი თოვლსაც დაადნობს და ყინულსაც.

### რონალდინიო – კომიქსების გმირი

**ზედიზედ ორგზის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი, ბრაზილიელი რონალდინიო გაუშუ სამშობლოში გახდება პოპულარული კომიქსების გმირი.**

ამაზე მოილაპარაკეს ესპანური „ბარსელონას" ნახევარმცველმა და მხატვარმა მაურისიუმ, რო-



მელმაც ყოველი ბრაზილიელისთვის ნაცნობი კომიქსების პერსონაჟი მონიკა გამოიგონა:

თუმცა რონალდინიო პირველი ფეხბურთელი როდია, ვინც ასეთი პატივი დაიმსახურა. ჯერ კიდევ 1979 წელს ბავშვები გაეცნენ და შეიყვარეს პელეზინიო. ალბათ ძნელი მისახვედრი არაა, რომ ის „ფეხბურთის მეფე" — ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ ანუ პელე უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილი გახდა, ერთ-ერთი იაპონური ტელეარხი აპირებს დოკუმენტური ფილმის გადაღებას რონალდინიოზე.

### მისაბაძი მაგალითი?

**გულშემატკივარი რაღას არ აკეთებს საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად და საკუთარი**



**თავის გამოსარჩევად — ეს ჩაცმულობაშიც გამოიხატება და ქცევაშიც.**

აი, როგორ გააკვირვა ჰოკეის გულშემატკივრები 32 წლის კანადელმა კლინტონ პოტზერსკიმ. ის ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის მატჩზე — კანადა-ფინეთი — მივიდა თავში შაიბაგარჭობილი, სახეზე სისხლი რომ ჩამოსდიოდა. რასაკვირველია, ყოველივე ეს მულიაჟი იყო. მაგრამ ყოველივე ისე ნატურალურად იყო გაკეთებული, რომ ვანკუვერის 16 ათასმა გულშემატკივარმა ის სასიკვდილოდ განწირულად მიიჩნია. ხომ მიაღწია კლინტონმა საწადელს, ყველა გააოცა.

### მექალთანე ბრიატორეს ჰარამხანა?

**იტალიელი მილიონერი, ამავე დროს „ფორმულა-1"-ის საჯინიბო „რენოს" მფლობელი ფლავიო ბრიატორე, ცნობილია, როგორც ქალების დიდი მოყვარული. 54 წლის სუპერმაჩოს პიკანტურ სიაში ასეულობით გვარია. ახლა ბრიატორე კენიაში, თავის მამულ მალინლიში ისვენებს, თან ლამაზმანების თავისებურ კასტინგს აწყობს, რათა უკეთესი თავის გულისწორად გაიხადოს.**

თავის დროზე ბრიატორე ორ წელიწადს შავკანიან ლამაზმან ნაომი კემპბელთან ილხენდა. მისი საყვარლების რიცხვში იყვნენ სხვა ცნობილი ლამაზმანებიც — ელ მაკფერსონი, ევა გერციგოვა, თამარა მელონი, მერი დაინა-



ხიო, კრისტიანა ესტრადა, ჯულია ტოლსტუკი, ემა ჰემინლსონი, აგრეთვე არისტოკრატი ქალბატონი ვიქტორია ჰერვი და სიმონა ვენტურაც, რის გამოც ამ უკანასკნელს ცნობილი ფეხბურთელი სტეფანო ბეტარინი გაშორდა.

ცალკე უნდა ითქვას გერმანელ მოდელზე ჰაიდი კლუმზე (სურათზეა), მათი რომანის შემდეგ ამ ქალიშვილმა მილიონერს გოგონა შესძინა, რომლის შესანახად ფლავიო ყოველთვიურად დიდძალ ფულს იხდის.

როგორც ჩანს, „რენოს" პატრონი აფრიკულ კურორტზე პოდიუმის ახალ ვარსკვლავს ეძებს.

◎ ჭიდაობა

# სეზონის ბოლო აკორდი



**თბილისის ფალავანთა კლუბის ხალიჩაზე ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 60 ფალავანი მონაწილეობდა.**

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 55 კგ — მამუკა გურგენიძე (სპორტის აკადემია), 60 კგ — დიმიტრი მუმლაძე („მართვე"), 66 კგ — კობა კალაძე (აჭარის უნივერსიტეტი), 74 კგ — არჩილ გიგაური, 84 კგ — დავით ქერაშვილი (ორივე საქართველოს სპორტის აკადემია), 96 კგ — მზეჭაბუკ მოძმანაშვილი (თბილისი), 120 კგ — ალექსანდრე მოდებაძე (თსუ). ყველა გამარჯვებული და პრიზიორი სამახსოვრო მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**შალვა ჩიხლაძე**

გადაძახილი

# დიალოგი საქართველოსთან

* * *

– რაფერ ხართ ძამა, ზურია,
შენ და მაგ შენი გურია?!
– რავა ვიქნებით? რაფერც სხვა,
გვცივა, გვშია და გვწყურია.

აი, ცხოვრება არაა!
არც ვიცით როის იქნება,
მისით მოსული სტუმარი
ჩვენში რეკეტად ითვლება.

* * *

– შენ ბიჭო, ანაგურელო,
თუ გაქვს სამყოფი პურ-ღვინო?!
– ღვინო ბევრი მაქ, „ზაკუსკად“
ლამის დედაკაც ვუკბინო.

* * *

კინაღამ გადავირიე,
ისე მომხიბლა რაჭამო,
წყალიც კარგია, ჰაერიც,
საქმე ის არის, რა ჭამო!

* * *

– მუჭორე წიე, მარგალურ
ბრუნავს ცხოვრების ბორბალი?!
– ცხოვრება ვარე ჩქიმ, ჯიმა,
თე ჩხე წყარი დო ქობალი.

ფარა ვარე დო „ნე რედკო“
ტანს ვიბან ხოლმე უსაპნოდ,
ვავა ჩქიმ ცოდა, სტუმარი
თუ მომივიდა „ვნეზაპნო“.

* * *

– სალამი, ჩემო ელიზბარ!
რა ამბავი ქართლშია?
– საჭმელ-სასმელი ბევრი მაქ,
არც მწყურია და არც მშია.

დავკალი გეცა ქუცუნა,
„ბოჩკაში“ ჩავდე „ვიჩინა“.
დღეს გმირები ვართ სუყველა,
ვინც თავი გადაირჩინა.

* * *

თუ ვინმეს ვცემდი დიდ პატივს,
იყო ბაბუ და აჭარა,
შევცდი, რადგანაც ამ ბოლოს
დიდი სირცხვილი გვაჭამა.

იმდენი მოუპარია,
იგრძნო აჭარის მიწამა,
ვარდებით გააპანღურა
საკაშვილმა მიშამა.

* * *

– როგორ ხართ, მთების შვილებო,
ბექნუ, ალმასხან, ოტია,
ხომ არ გწყინთ, დღეს რომ სვანებზე
ამდენი ანეკდოტია?

– არ დაიჯეროთ, ბატონო,
ეს ყველაფერი ჭორია,
სვანებზე რასაც ამბობენ,
ასი პროცენტით სწორია.

* * *

დღეს პარლამენტში მიიღეს
უნიკალური კანონი,
თუშებს, ვინც დაკვრა არ იცის,
ჩამოერთმევათ გარმონი.



* * *

– რა შვრებით, ძმისავ, ბერდიავ,
რა ამბოვია ფშავშია?
– ბოლმით ვართ დასიებული
ველარ ვეტევით კანშია.

საზამთროდ, ფქვილი აღარ გვაქ,
აღარც არაყი ას-ასი,
ჩვენი ხათრი თუ არა გაქვთ,
გრცხვენოდეთ დიდი ვაჟასი.

* * *

– შვიდი კომლი ვართ შატილჩი,
აქ გადავწყვიტეთ დარჩენა,
გამრავლებაზე ვმუშაობთ
ამ კუთხის გადასარჩენად.

დიაცი გადმავიყვანე,
წასული იყო როშკასა,
ტყუპები მინდა ვაყოლო,
ქვეშ ვუფენ კაპიროვკასა.

ახლაღა მივხვდით ხევსურნი
შატილს რად ჰქვია შატილი,
ილიის გამოფხანისას
ხელს მოსდევს შვიდი-რვა ტილი.

დასაბან-დასარეცხადა
ჩავდივართ ხოლმე ხევასა,
ჯერ ისტორიას არ ახსოვს,
ხევსურ მაეკლას წნევასა.

შატილოვნებსა ბოლო დროს
დიდ პატივ გვცემენ ქისტები,
ზვიადაურებ სუყველა
ვგონივართ ზვიადისტები.

* * *

თორღვა, მგელიკა, დათვია,
აპარეკა თუ ჩალხია,
ხევსურეთს დარჩენილები,
ნამდვილად გმირი ჩალხია.

ვუსურვებ ხვავს და ბარაქას,
მატებას ყოველწლიურად,
თუშებს, ფშავლებს და ხევსურებს
ცხოვრებას გარმონიულად.

**ნიკოლოზ იოსებიძე**

თითქმის ნატურიდან

# თამასუქი

**გუშინ, „ლეიბორისტების“ ოფისში პარტიის რომელიღაც ლიდერს დახურულ კარსმილმა შევხვდი. ოთახი ჩაბნელებული იყო და ვერ გავარჩიე, ვის ველაპარაკებოდი.**

– ბატონი შალვა ბრძანდებით? – ვკითხე დაბნეულმა.

– ვთქვათ, შალვა ვარ, რა გაინტერესებთ?

– ბნელში რატომ ზიხართ?

– ეს, ჩვეულებრივი, წინასაახალწლო საჩუქარია.

– სხვა დროსაც გირთავდნენ?

– კი, მიჩვეული ვარ.

– რატომ, ხომ ვერ მეტყვით?

– მთავრობის ნაშრომ-ნაღვაწი რომ ვერ დავინახო.

– მაგას ისედაც ვერ ამჩნევდით და სიბნელეში რაღას გაარჩევთ?

– ჰო, მხოლოდ შადრევნების ჩუხჩუხილა მესმის.

– ბიუჯეტისა?

– ნუღარ მკითხავთ. ბიუჯეტი, რა ხანია, მარტო მთავრობისა და პარლამენტისთვის ჩუხჩუხებს.

– ხალხისთვის?

– ხალხისთვის ის გუდასტვირია, მაგათთვის – დოლარებით სავსე სკივრი.

– ეგრე ლაპარაკიც არ შეიძლება, ხელში რა ფაქტები გიჭირავთ?

– მე – არაფერი, თავად სტატისტიკას უჭირავს.

– კერძოდ?

– მიბრძანდით თუნდაც საბავშვო ბაღში და ნახავთ, იქ ერთი ბავშვის კვებაზე 1,8 ლარი იხარჯება, სამინისტროებისა და გუბერნატორთა აპარატის შენახვაზე კი – 125 მილიონი ლარი.

– სამაგიეროდ რეფორმები ტარდება, სახელმწიფო სტრუქტურებში უცოდინრებისა და არაპროფესიონალების ადგილს პროფესიონალები იკავებენ.

– პროფესიონალები კი არა – მაგათი ნორჩი ნაცნობ-მეგობრები.

– რაღაც ამგვარი რომან გოცირიძემაც უსაყვედურა მთავრობას – მინისტრებს ჯერ ნიშნავთ და მერე საქმეს სწავლობენო.

– არ უთქვამს სწორად, ეგენი მერეც ვერაფერს სწავლობენ.

– დრო არ რჩებათ, ბატონო, წელს სტიქიამ იმდენი უბედურება დაგვატეხა თავზე...

– თავად მთავრობაა ყველაზე დიდი სტიქიური უბედურება!

– არც მასეა საქმე, დაზარალებულებს თანხები ხომ გამოუყვეს?

– კი, როგორ არა, მარტო ლენტეხისა და მესტიის რაიონებს 4 ათასი ლარი ერგოთ.

– ეტყობა, ბიუჯეტს მეტის თავი არა ჰქონდა, თორემ...

– გეთანხმებით, როცა თანამდებობის პირთა დაცვაზე წელიწადში 35 მილიონი ლარი იხარჯება, ხაზინაში სხვათათვის ფულს ველარ მოიტოვებ.

– კიდევაც ხელმომჭირნედ მუშაობენ, ნახეთ, რამდენი უფასო სასადილო იხსნება!

– ასეთი სასადილოები დამშეული ქვეყნების ხვედრია.

– თქვენ არ შესულხართ უფასოში?

– როგორ არა, მაგრამ მხოლოდ პრეზიდენტის წასვლის შემდეგ.

– რატომ ემალებით?

– არ მინდა, ჩემი დანახვით მადა გაუფუჭდეს.

– რა გულკეთილი ბრძანდებით, ბატონო შალვა (თუ მართლა შალვა ხართ!ძ, აი, ენა კი, მაპატიეთ, მაგრამ ზომაზე ჭვარტლიანი გაქვთ.

– არა უშავს, გამოვსწორდები.

– როდისლა?

– ახალი წლიდან. საშობაოდ მივალ კანცელარიაში, პრეზიდენტს „ჩავედრასტები“, გვერდში ამოვუდგები და მივეხმარები.

– რაში?

– მისთვის გამოყოფილი ფონდის ათვისებაში. ხომ გაგიგიათ, მარტო კაცი ჭამაშიც ცოდოაო.

– რა ქნას, თვითონ იმდენს არ ჭამს, რაც მოგზაურობაში ეხარჯება (შევიცოდე).

– მაგიტომ გეუბნებით, ამიერიდან პოზიცია და ოპოზიცია (პრეზიდენტი და მეძ ერთად მოვივიზიტიანებთ უცხოეთს და ქვეყანა იაფად გამოვა. აქამდე ცალ-ცალკე დავფრინავდით და ძვირი გვიჯდებოდა. ესეც არ იყოს, ცალ-ცალკე მოსმენით, ამერიკელებსა და ევროპელებსაც ვაცდენდით.

– მაგრამ, ერთდროულად ორნი როგორ ილაპარაკებთ?

– მაგდენი თავმდაბლობა კი მაქვს. ჯერ პრეზიდენტს ვალაპარაკებ, დავაცდი – აქოს, ადიდოს ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობა და მერე გავაკრიტიკებ.

– რომ ეწყინოს? ხომ იცით, თავმოყვარეა და კრიტიკას ვერ იტანს.

– წინასწარ თამასუქს ჩამოვართმევ (ნოტარიუსით დამოწმებულსძ. თუ ეწყინა, ეს იმის მაუწყებელი იქნება, რომ დემოკრატობანას თამაშობს და უნდა გადადგეს.

– მერე, მის ადგილს ვინ დაიკავებს?

– იმავე თამასუქის ძალით, რა თქმა უნდა, მე.

– რევოლუცია აღარ დაგვჭირდება?

– თუ ძმა ხარ, რაღა დროს რევოლუციებია!

**ოთარ ხუციშვილი**



– ჩემს სიდედრს თაგვის შაქარი მივეცი.
– მერე?
– კატის შიშმა აიტანა.

ნახ. ჯ. ლოლუასი



– ცოდვა არ არის, მამიკო, ეგ ლომები გალიაში რომ სხედან?!

– არაფერი უჭირთ, შვილო, მეც ასე ვიჯექი ათი წელი, მაგრამ არ მოვმკვდარვარ!

ნახ. მ. აბაშიძისა

ანეკდოტები

* * *

**რაც უფრო შევდივარ ასაკში, მით უფრო ვრწმუნდები, რომ ევას მარტო ვაშლი კი არა, გველიც შეუჭამია.**



* * *

**– ყოჩაღ, შესანიშნავად ითამაშეთ დაჭრილი ოფიცრის როლი, – ეუბნება რეჟისორი მსახიობს.**

**– ფეხსაცმელში ისეთი ლურსმანი მაქვს ამოჩრილი, – ეუბნება იგი, – რომ...**

**– ნუ გადაღუნავთ, – აწყვეტინებს რეჟისორი, – თუნდაც სეზონის ბოლომდე.**

* * *

**ცივი ომის პერიოდია. ამერიკელები საბჭოელებს ნეიტრონული ბომბის ჩამოგდებით ემუქრებიან.**

**– როგორ მუშაობს იგი? – ეკითხებიან საბჭოელები.**

**– ყველა ცოცხალ არსებას აქრობს, მატერიალურ ფასეულობებს კი ხელუხლებლად ტოვებს.**

**– ეს რა არის, – ჩაიხითხითეს საბჭოელებმა, – ჩვენ პროპორშიკებიან კონტეინერებს დაგაყრით თავზე.**

**– ეს რა არის და როგორ მუშაობს?**

**– ყველა ცოცხალი არსება რჩება, მატერიალური ფასეულობები კი ქრება...**

სხარტულა

## შოუ-ნანა, ინგავოი-ნანა (ქებათა-ქება შოუს)

შოუმენი ამდენი, ვინ მეტყვის,
რამ შეყარა,
შოუდ იქცეს, ღმერთმანი, ლამის
მთელი ქვეყანა!
შოუობენ ინგანი, ნიკანი და ეკანი,
შოუ გახდა რადიო, შოუ გახდა
ეკრანი.
ბრწყინავს ტელევიზორი, ვით
გაპრიალებული,
მთლად გაშოუებული, მთლად
გაპიარებული...

**თამაზ ილმელი**

## ორი წკიპურტი

* * *

წელს ნაირ-ნაირ საჩუქრებს,
მოგვართმევს თვალებლაბუა,
უმგულში რომ დაიჭირეს,
სწორედ ის თოვლის ბაბუა...

* * *

სხვა არაფერი გვჭირდება,
(ხელისუფლებმა აგვიხსნესძ,
ახალ წელს უნდა დავჯერდეთ
თოთხმეტმეტრიან ნაძვის ხეს.

**ხუხა ჯაბაური**



– თუ თოვლის ბაბუაა, შემოუშვი, თუ ბაბუაშენია, თვალით არ დამანახო!

ნახ. გ. ფორჩხიძისა

გულისთქმა

# ჩვენებურები

### ვუძღვნი საქართველოში ჩამოსულ ბერძნებს

თქვენზე წუხილი ჩვენ ბევრჯერ ცრემლებად გადავიგორეთ,
გულს კლავდა თქვენი დუმილი და უფრო — თქვენი სიშორე.

იმ ოცნებიდან, ფიქრიდან, იმ ძველი საქართველოდან,
ფარნავაზ-ქუჯის სამშობლო დიდი ხანია გელოდათ.

ლეგენდები და მითები წინ მიგვიძღვოდა ხატებად,
და ჰგავდა სიზმრის ახდენას თქვენი აქ გამოცხადება.

დიდ წინაპართა სულები დღეს საფლავიდან დგებიან,
ნიკორწმინდა და ჭყონდიდი თქვენ წინაპართა ძეგლებია.

მჯერა, აწი არ იქნებით სამშობლოსათვის ხიზნები,
საქართველოში იციან თქვენი ფიქრი და სიზმრები.

მოგენატრებათ ისევე და მოლოდინით აგავსებთ
თბილისი, ის ქუთ-აია, დღეს ქუთაისი ლამაზი.

კვლავ გელით ნოქალაქევი, ის ზღვა და დიოსკურია,
ისევე, თქვენი სიტყვები და სიყვარული სწყურიათ.

მარტვილი, ისევ თქვენს ბედზე იმარტვილებს და იდარდებს.
რომელ ხატზეც გსურთ ილოცეთ, საქართველო კი გიყვარდეთ.

რომელ ცას გსურდეთ უყურეთ, ცა და მზე ყველგან ერთია,
ოღონდ, იცოდე, ჯიმაგე, სამშობლო სულ სხვა ღმერთია!

**ნოდარ ჯალაღონია**
2005 წ. ოქტომბერი.

SOS!

# „შავი სიკვდილი“ და „ხელყუმბარა“

## „რომაული სანთლების“ შუქზე

**გადაგლეჯილი ყურები, თვალების თერმული დამწვრობები, დამტვრეული ყბები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხორხის დამწვრობებიც კი — ყოველივე ეს შარშანდელი ახალი წლის „მოკითხვებია“. 2004 წლის მიწურულსა და 2005 წლის დამდეგს თბილისში რამდენიმე შემთხვევა გახმაურდა, რომელიც მაშხალების, პეტარდების, ფეიერვერკებისა თუ სხვა პიროტექნიკურ მოწყობილობათა არაკვალიფიციურ გამოყენებასთან იყო დაკავშირებული. ერთი შემთხვევის დროს მოზარდმა თვალი დაიზიანა, მეორე შემთხვევაში კი მთლად უბედურება დატრიალდა — ახალგაზრდა ქალს, ქუჩაში შუშხუნის აფეთქებით შეშინებულს, მუცელი მოეშალა... რამდენიმე დღის წინათ კი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში ახალგაზრდას პეტარდა აუფეთქდა ხელში (როგორც ჩანს, დაიბნა და დროულად ხელი არ გაუშვაძ და თითები წააცალა...**

ამ საჭირბოროტო თემას, ჩვენი გაზეთი ორიოდე კვირის წინათ უკვე გამოეხმაურა (16 დეკემბერი, №291ძ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია — ბაზრობებზე კვლავაც შეუზღუდავად იყიდება ათასნაირი პიროტექნიკური მოწყობილობები, რომელთა ხეირიანად ხმარება არათუ მცირეწლოვანებმა (ამ, ასე ვთქვათ, „ნობათის“ მთავარმა მომხმარებლებმაძ, არამედ უფროსებმაც არ იციან. ამიტომაცაა, რომ ამდენი უბედური შემთხვევა ხდება, ხოლო მოსახლეობას დღისით თუ ღამით მოსვენება აქვს დაკარგული გამაყრუებელი და გულის გამხეთქავი გრუხუნის გამო.

ცალკე საუბრის თემაა ამ „საახალწლო ასაფეთქებლების“ ბიზნესის შემოსავლიანობა, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან დიდია. ამის თაობაზე მხოლოდ აფეთქებათა ინტენსიობით და არეალის გავრცელებით თუ ვიმსჯელებთ, თორემ სტატისტიკური მონაცემები არც ერთ სამართალდამცველ (!ძ სტრუქტურას არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში მის შემოტანაზე (თანაც არაკანონიერად!ძ ამდენი ხალხი (პირდაპირ ვიტყვი — არაკეთილსინდისიერი ადამიანებიძ ნამდვილად არ გაირჯებოდა. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს არ გახლავთ ერთი რომელიმე უწყების ანდა ქვედანაყოფის გადასაჭრელი პრობლემა, მის გადასაწყვეტად ყველა ერთად — საპატრულო პოლიცია, უბნის ინსპექტორები, ფინანსური პოლიცია და, უწინარესად, საბაჟო სამსახური უნდა დაირაზმოს.

აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ შემოტანილი პიროტექნიკით დაზარალებულთა სტატისტიკური მონაცემები არც ჩვენს სამედიცინო უწყებებს აქვთ — ყოველ შემთხვევაში ასეთი პასუხი გამცეს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის თბილისის დეპარტამენტსა და დედაქალაქის მერიის შესაბამის ქვედანაყოფში. არადა, სააგიტაციო თვალსაზრისით, ამ სტატისტიკის გამოქვეყნება, ვფიქრობ, მეტად საგულისხმო და ეფექტიანი იქნებოდა.

რამდენიმე წლის წინათ პიროტექნიკური მოწყობილობებით ვაჭრობა ბაზრობებში ასევე, საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში, აიკრძალა, მაგრამ, თუკი არ დაგეზარებათ, ჩამოიარეთ ნებისმიერ ბაზრობაზე, მეტროს სადგურთან (მეტადრე ბარეუბნებშიძ და საკუთარი თვალით ნახავთ, რომ ათასნაირი პიროტექნიკური „რამე-რუმეები“ სრულიად დაუფარავად იყიდება.

არადა, ხიფათი სულ უფრო და უფრო იზრდება: ნორჩი თუ შედარებით მოზრდილი ტერორისტები (ამას ყოველგვარი ბრჭყალებისა და ირონიის გარეშე ვამბობძ ახალ-ახალ მეთოდებს იგონებენ (მათ შებნებულად არ აღვწერ!ძ, რაც თითოეულ ჩვენგანს აშკარა მუქარის წინაშე სრულიად დაუცველს გვტოვებს! აბა, წარმოიდგინეთ, ისეთი პიროტექნიკური „საოცრებების“ აფეთქებისას (მარტო სახელწოდებებს დააკვირდით!ძ როგორებიცაა „შავი სიკვდილი“, „ვატერლოო“, „ხელყუმბარა“, „რომაული სანთლები“ და ა. შ. წვის ტემპერატურა 3 ათას გრადუსამდე აღწევს!

ცხადია, სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ ახალი წლის მობრძანება ზარ-ზეიმით არ აღვნიშნოთ, მაგრამ, ისევე როგორც სხვა ყველაფერში, სიფრთხილე და ზომიერების დაცვაა საჭირო. ამიტომ, მოდით, ნუ მივცემთ ბავშვებს (და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, არაფხიზელ ახლობლებსძ სხვადასხვა პიროტექნიკური საშუალებების გამოყენების საშუალებას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათაც და გარშემო მყოფთაც.

ახალმა წელმა ხომ მარტო ბედნიერება უნდა მოიტანოს!

**ოთარ ტურაბელიძე**



ნახ.
ა. კანდელაკისა

**P. S. ვიდრე სამართალდამცავები აღნიშნულ პრობლემას გადაჭრიდნენ და თუკი თქვენი ან თქვენი ახლობლები მაინც გადაწყვეტთ ახალი წლის მობრძანება საკუთარი სალუტით აღნიშნოთ, რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ იმის თაობაზე, თუ**

**რის გაკეთება არ შეიძლება ფეიერვერკების გაშვებისას:**

**1. სალუტების მოწყობა**
**აძ საცხოვრებლისგან 30 მეტრზე ახლო მანძილზე;**
**ბძ დაბალი გადახურვისას;**
**გძ ხეების ქვეშ.**
**2. პიროტექნიკურ ნაკეთობათა ჯიბით ტარება.**
**3. ანთებისას პატრუქის სახესთან ახლოს დაჭერა.**
**4. პიროტექნიკის გამოყენება ძლიერი ქარის დროს.**
**5. რაკეტებისა და ფეიერვერკების ადამიანებზე მიმართვა.**
**6. პეტარდების ფეხებქვეშ დაგდება.**
**7. ანთებულ ფეიერვერკთან ჩაჯდომა, დახრა.**
**8. ანთებულ სალუტებთან და ფეიერვერკებთან 15 მეტრზე ახლოს მისვლა.**

მოდა

# ტოპმოდელი, რომელიც ანა კარენინაზე როლზე ოცნებობს

**ინეს სასტრი პირველი ესპანელი ლამაზმანია, რომელმაც მსოფლიოს მოდის ბაზარზე სუპერმოდელის ტიტულის მოპოვება შეძლო. მას არც კი სჯერა, რომ ცხოვრებაში ასე იოლად გაუმართლა.**

ინესი მადრიდის ერთ-ერთ ჩვეულებრივ ესპანურ ოჯახში დაიბადა. მშობლები ქალიშვილებს — კანდელას და ინესს მკაცრად ზრდიდნენ. გოგონები ფრანგულ კათოლიკურ სკოლაში სწავლობდნენ, მათ კოსმეტიკური საშუალებებიც ეკრძალებოდათ. ასეთი ცხოვრების წესის მიუხედავად, მშობლებმა 13 წლის ინესს რატომღაც ნება დართეს ბედი სამოდელო ბიზნესში ეცადა. მისი დებიუტი მაკდონალდსის სარეკლამო კლიპში შედგა, სადაც ლამაზი გოგონა ჰამბურგერს რეკლამას უკეთებდა. ცნობილმა ესპანელმა რეჟისორმა კარლოს სურამ მისი კლიპი ნახა, გოგონა მოეწონა და ფილმში გადასაღებად მიიწვია. აქედან დაიწყო ინესის წარმატებული კარიერა. მან ნიუ-იორკში „წლის სახის“ ტიტული მოიპოვა, რასაც ორწლიანი კონტრაქტი მოჰყვა სააგენტოსთან. ნახევარი წლის შემდეგ ინესმა კონტრაქტი შეწყვიტა, კარიერა მიატოვა და კოლეჯში დაბრუნდა ბაკალავრის დიპლომის მოსაპოვებლად. საფრანგეთში სამოდელო სააგენტოებს არ ეკარებოდა, მაგრამ პარიზი ხომ ის ქალაქია, რომელიც ასეთ ულამაზეს გოგონებს „ხელიდან არ უშვებს“...

სააგენტო „სიტიმ“ შეძლო ლამაზმანის დათანხმება და ინესი კვლავ ფოტოკამერების წინ აღმოჩნდა. მან სტუდიას ულტიმატუმი წაუყენა — სწავლის პროცესში, კერძოდ, გამოცდების დროს, ყველანაირი ვალდებულებისგან გათავისუფლებულიყო, განათლება ხომ მისი უპირველესი მიზანი იყო. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ, ინესის პირველი დავალება დალაი ლამასთან ინტერვიუ იყო.

ინეს სასტრის ფოტოები ჟურნალ „ელეს“ გარეკანზეც გამოჩნდა. სწორედ მაშინ დაინტერესდა დიდი რეჟისორი მიქელანჯელო ანტონიონი. იგი ინესს ლუჩია ბოზეს ადარებდა, რომელიც ოდესღაც თავდავიწყებით უყვარდა. ანტონიონმა ფილმ „ღრუბლებში“ მიიწვია, რომლის პრემიერის შემდეგ ფრანგულმა კოსმეტიკურმა ფირმამ „ლანკომმა“ ესპანელ ლამაზმანს შესთავაზა ამ უდიდესი ფირმის სიმბოლო გამხდარიყო. ცნობილმა ფოტოხელოვანმა რიჩარდ ავერდონმა კი ინესის ფოტოები კალენდარში სახელწოდებით „მსოფლიოს ქალები“ შეიტანა, სადაც იგი ესპანელი ქალის სიმბოლოს წარმოადგენდა.




მოდაში ამ უდიდესი მიღწევების პარალელურად, ინესმა მეორე ფაკულტეტზეც დაიცვა დიპლომი, თანამედროვე ლიტერატურის განხრით, რის შემდეგაც იუნისეფის პროგრამით საქველმოქმედო საქმიანობისთვის გვატემალაში მიავლინეს.

დღეისთვის ინეს სასტრი მხოლოდ კინემატოგრაფიით არის დაინტერესებული. მან მთავარი როლი მიიღო ესპანურ ტელესერიალში „გრაფი მონტე კრისტო“, სადაც მისი პარტნიორები ჟერარ დეპარდიე და ორნელა მუტი არიან. ოცნებობს ითამაშოს ანა კარენინა, რომელიც მისი საყვარელი პერსონაჟია, სამომავლოდ კი ფიქრობს, კარიერა ჰოლივუდშიც გააგრძელოს.

**ლელა დონაძე**
**სურათებზე: ინეს სასტრი.**

# განცხადება

სს „საქჰიდროენერგომშენის“ კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის შესახებ

სს „საქჰიდროენერგომშენი“ აცხადებს კონკურსს, კუთვნილი თავისუფალი ფართის იჯარით გაცემის თაობაზე.

საიჯარო ფართი მდებარეობს **ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 50.**

საიჯარო ქირის მინიმალური ოდენობა შეადგენს **12 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში.**

განცხადება მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კონკურსში მონაწილეობისთვის დადგენილი „ბე“-ს სიდიდე შეადგენს **100 ლარს.**

კონკურსი ჩატარდება **2006 წლის 30 იანვარს 12 სთ-ზე.**

**განაცხადი მიიღება:**
ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 50, მე-3 სართული, სს „საქჰიდროენერგომშენის“ ადმინისტრაცია.

დამატებით ინფორმაციისთვის მიმართეთ სს „საქჰიდროენერგომშენის“ ადმინისტრაციას,
**საკონტაქტო ტელეფონები:**
25-09-59, 25-34-06, 25-30-35.





ზღვის დონიდან ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ყველაზე მაღალმთიან სოფელ უშგულიდან ჩამოყვანილი და კუს ტბაზე, სვანურ კოშკში დაბინავებული თოვლის ბაბუა (ეს მისი ნამდვილი სახელი და გვარია) „ქრისტეს სიყვარულითა და ჩვეულებისაებრ მამულისა სლვითა, ჭირთა მოთმინებითა" და მზის საგალობლის „ლილეოს" სიწმინდით მოგვილოცავს ახალ წელს და გვისურვებს: ერი და ბერი გაერთიანდეს, განმტკიცდეს, გამოფხიზლდეს, რომ სახელმწიფო კანცელარიაში, პარლამენტში, მთავრობაში შესანატრი ერთსულოვნება და პოლიტიკური გონიერება სუფევდეს, ქვეყნის პრეზიდენტს ხალხისადმი მიცემული დაპირებები თანმიმდევრულად შეესრულებინოს და დაუფიქრებლად არასოდეს ელაპარაკოს... რუსის ჯარი მალე, ძალიან მალე საბოლოოდ გასულიყოს საქართველოდან და ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა მოგვეპოვებინოს, აფხაზებსა და ოსებს ჭკუა ესწავლოთ და მშვიდობიანად შემომტკიცებოდნენ დედასაქართველოს, სომხებს არასოდეს გასჩენოდეთ ქართული ეკლესია-მონასტრების მითვისების ბრიყვული ამბიცია, ჩვენში მასპინძელივით მცხოვრებ უცხოტომელებს ქართველი ხალხის ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა გასჩენოდეთ... ემატოს და ემძლავროს ქართულ ჯარს, ჩვილთა ღუღუნს. საქართველოს დემოგრაფიულ ზამთარს მარადიული გაზაფხულები მოჰყოლოდეს. ჩვენი მიწის გუთნისდედების გული სახალხო დოვლათს აევსოს. ახალგაზრდობას წიგნი შეჰყვარებოდეს. ინტელიგენციას რწმენა, იმედი და მეცნიერული კვლევის სურვილი დაბრუნებოდეს... მაღალი ღმერთის წყალობით და ქართველი ხალხის ჯერარსმენილი მონდომებით ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა კვლავაც გაბრწყინებულიყოს. „დღეგრძელ იყოს საქართველოვ, შენი მზე და შენი ცა, მრავალ ახალ, მრავალ ახალ, მრავალ ახალ წელიწადს".

სპარტაკ ქოზულია

◉ პროგნოზი

# „როგორი ამინდი იქნება ხვალ?.."

**იანვარი საქართველოში წლის ყველაზე ცივი თვეა. კლიმატური მონაცემებით საქართველოში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა იანვარში დეკემბერთან შედარებით 3-4 გრადუსით დაბალია.** სანაპირო ზოლში იანვრის საშუალო ტემპერატურა +5, +7 გრადუსია, კოლხეთის დაბლობზე +3, +5 გრადუსი. მაღალმთიან ზონაში -3, -7 გრადუსია. აღმოსავლეთ საქართველოში იანვრის საშუალო ტემპერატურა ქვემო ქართლსა და შიდა კახეთში 0, -1 გრადუსია, შიდა ქართლსა და გარე კახეთში -1, -3 გრადუსი, მთაში -1, -6, ხოლო მაღალმთიან ზონაში -5, -10 გრადუსია.

ადრე დაფიქსირებული ყველაზე მაღალი ჰაერის ტემპერატურა შავი ზღვის სანაპირო ზოლსა და კოლხეთის დაბლობზე +20, +25, ქართლის ვაკესა და კახეთში +16, +21, ქვეყნის მთიან რაიონებში +14, +19, მაღალმთიან რაიონებში კი +6, +11 გრადუს სითბოს აღწევს.

ადრე დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ჰაერის ტემპერატურა სანაპირო ზოლში -9, -14, კოლხეთის დაბლობზე -15, -19, ქართლსა და კახეთში -23, -28 (შირაქის ველზე მაღალმთიან ზონაში -30, -35 გრადუსამდე იკლებს.

იანვარში ყველაზე მეტი ნალექი მოდის აჭარის სანაპირო ზოლში – 220-250 მმ. ყველაზე ნაკლები – სვანეთსა და რაჭაში 60-დან 90 მმ-მდე, დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში 100-დან 180 მმ-მდე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და მთიან რაიონებში მისი მნიშვნელობა 10-40 მმ-ს, ჩრდილო მთიან ზონაში კი ზოგან 90 მმ-ს შეადგენს.



ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით 2006 წლის იანვარში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე მოსალოდნელია +5, +7 გრადუსი, ქართლსა, კახეთში და დასავლეთ საქართველოს მთებში +1, +4, აღმოსავლეთ საქართველოს მთებში და დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში 0, -4 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალ მთებში -4, -6 გრადუსი, რაც 1-2 გრადუსით მაღალია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობაზე.

თვის ცალკეულ პერიოდში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობაზე -3, +2 გრადუსამდე, ქართლსა, კახეთში და დასავლეთ საქართველოს მთებში -5, -10 გრადუსამდე, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში და აღმოსავლეთ საქართველოს მთებში -12, -17 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთებში -19, -22 გრადუსამდე; თვის ცალკეულ დღეებში ტემპერატურის მომატება დღისით შავი ზღვის სანაპირო რაიონებში და კოლხეთის დაბლობზე -15, -20 გრადუსამდე, ქართლსა, კახეთში და დასავლეთ საქართველოს მთებში +11, +16 გრადუსამდე, დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან ზონაში და აღმოსავლეთ საქართველოს მთებში +5, +10 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთებში -2, +5 გრადუსამდე.

ნალექების რაოდენობა მოსალოდნელია დასავლეთ საქართველოში საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე ნაკლები და მასთან ახლოს, აღმოსავლეთ საქართველოში – მასზე ნაკლები.

იანვრის თვის ცალკეულ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს ბარის რაიონებში დღის ტემპერატურის აწევა საშემოდგომო ნათესი პურეულის ვეგეტაციის განახლებას არ გამოიწვევს, რადგან ღამით ეცივება. მათი ზამთრობისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები იქნება. მხოლოდ მოსალოდნელი მცირე ნალექი ნათესების ტენუზრუნველყოფის პირობებს გაამართლებს. უმეტესად თბილი იყო დეკემბერი, იანვრის თვეც თბილია მოსალოდნელი. სუბტროპიკულ ზონაში ციტრუსების ყინვაგამძლეობის უნარი ძალზე დაქვეითებულია და მოსალოდნელმა -3 გრადუსი ყინვამ შესაძლებელია მათი რამდენადმე დაზიანება გამოიწვიოს. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მოსალოდნელი თბილი ამინდი მინდვრის სამუშაოების ჩატარებისათვის ხელშემწყობი იქნება.

საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მოსალოდნელია ძირითადად ნორმის ფარგლებში.

ეს გაერთიანებული ნომერი 24-გვერდიანია.

მორიგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 იანვარს.

◉ ხალხის ხმა

## ახალი წლის მილოცვა

ახალ წელიწადს, წლის თავსა გიკვლევ ვაზისა რქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა ტყავკაბაზარბაბითამცა;
ცხენზედამც შეგისხდებიან მშვილდისრიანნი ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან ცხენჯორამაფრაშითამცა;
ტახტზედამც დაგიბრმავდების ეშმაკი ხმელით-ცითამცა,
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს, მოყვარე მრავალგზითამცა;
პურ-ღვინო დაულეველი, ვით მონადირე წელითამცა;
სიცოცხლე გახარებული, მოუწყინარი დღითამცა;
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით თაფლიფუტკრის სკითამცა,
უხვადაც მოგეცემოდეთ თვალ-მარგალიტი ზღვითამცა.

◉ საეკლესიო კალენდარი

## ღირსი გიორგი მწერალი და მისი ძმა საბა, ხახულელნი

1 იანვარს ქართული სამოციქულო ეკლესია ღირს გიორგი მწერალს და მის ძმას საბა ხახულელს იხსენიებს, რომლებიც ხახულის მონასტერში მოღვაწეობდნენ. ისინი გიორგი მთაწმინდელის ბიძები იყვნენ.

წმინდა მამები სავსენი იყვნენ სალმრთო მადლით; „ესენი მკვიდრ იყვნენ ხახულს ორითავე ცხოვრებითა შეზავებულად, რამეთუ სიმდიდრესა თანა სალმრთოისა მოქალაქობისა ხორციელიცა სიმდიდრე უხუებით აქუნდა".



ყრმა გიორგის აღზრდა და სწავლა-განათლება ითავეს ხახულელმა წმინდა მამებმა.

...ამ დროს დაბა ტვარწატაფში ცხოვრობდა დიდებული ფერის ჯოჯიკისძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბაგრატ III-ის ასული. მათ განიზრახეს გონიერი და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერის მიპატიჟება სასახლეში მასწავლებლად და სულიერი ცხოვრების საქმეთა გამგედ. მათი არჩევანი ღირს გიორგი მწერალზე შეჩერდა.

ღირსი გიორგი მონასტრიდან წავიდა, საცხოვრებლად ფერის ჯოჯიკისძის ოჯახში გადავიდა და თან წაიყვანა ყრმა გიორგი.

...მალე ბიზანტიის იმპერატორმა ცილი დასწამა ფერისს და თავი მოჰკვეთა. ხოლო ფერისის მეუღლე, გიორგი მწერალი და ყრმა გიორგი მთაწმინდელი კონსტანტინოპოლს წაიყვანა, სადაც თორმეტი წელი დაჰყვეს... შემდეგ კი, კვლავ დაბრუნდნენ. გიორგი ხახულელმა ჭაბუკი კვლავ ხახულის მონასტერში გაგზავნა წმინდა საბასთან.

ქრისტესმიერი მოღვაწეობით დამაშვრალი ღირსი მამები XI საუკუნის შუა წლებში მშვიდობით აღესრულნენ.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

ტრაგიკულად დაიღუპა წარსულში „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

მერი ყიფიანი



ის იყო ენერგიული, გულისხმიერი, კეთილი, საზოგადო საქმისთვის უაღრესად თავდადებული ქალბატონი. ჩვენო მერი, თქვენ ძალიან კეთილად გვახსოვხართ და გვემახსოვრებით ბოლომდე. მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა.

**კიტა შავიშვილი, ჯემალ გამბახიძე, მურთაზ გალკალიანი, ავთანდილ წილოსანი, თინათინ სხირტლაძე.**

საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას" წარმომადგენლობა საქართველოში და პირადად თამაზ პატარიძე გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას და უსამძიმრებენ ტრაგიკულად დაღუპული ქალბატონები,

მერი ყიფიანისა და
თინა გორგიაშვილის

ოჯახებს.

შპს „თბილმეტრომშენის" თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „თბილმეტრომშენის" სასწავლო ცენტრის ყოფილი დირექტორი

ნოდარ სულიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1" დირექტორი თენგიზ კალანდაძე. ქიზიყის ქ. №12, ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

# 2006 წელი



## გამოიწერეთ

## სანდო, მართალი და ტრადიციული გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

მიმართეთ „საქპრესას“ (ტელ: 35.51.40ძ, „მაცნეს“ (37.40.49ძ, „უწყებანს“ (93.64.72ძ, „პრეს-ექსპრესს“ (96.23.11ძ, „პლანეტა-ფორტეს“ (93.38.73ძ, „ინფოსერვისს“ (34.09.35ძ, „ელვა-სერვისს“ (36.35.75ძ რაიონებსა და ქალაქებში – „საქპრესის“ ადგილობრივ განყოფილებებს.

ძვირფასო მკითხველებო, ფინანსური სიძნელეების მიუხედავად, რედაქციამ გაითვალისწინა თქვენი შესაძლებლობებიც და, კვლავ თქვენი თანადგომის იმედით, არ გაზარდა გაზეთის ფასი – მისი ერთი ეგზემპლარის ღირებულება კვლავაც 50 თეთრია.

ამდენად, გაზეთის გამოწერა ეღირება: ერთი თვით – 13 ლარი, სამი თვით – 39 ლარი, 6 თვით – 78 ლარი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – მუდამ თქვენი თანამდგომი, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის გამზიარებელი გაზეთი!

**გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ უშუალოდ რედაქციაშიც. კოსტავას ქ. № 14, IV სართული. ტელ: 98.96.32; გაზეთის ინდექსი: 66434.**

## ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საყურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავცელებლები ბევრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.

მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო! ძვირფასო გამავრცელებლებო! – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. ნუ მოაკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შექმნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, ბათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, გორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დავიბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველვყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად იღოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წახალისდებიან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქცია, შპს „თანადგომა-1“

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 |
| სამშ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 |
| ოთხ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 |
| ხუთ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 |
| პარ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 |
| შაბ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 |
| კვი. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 |

| | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| სამშ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| ოთხ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |
| ხუთ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| პარ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| შაბ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| კვი. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |